დავით კუხალაშვილი

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ.

UDK(უაკ)355.401(100)
კ-991

რედაქტორი:

ფრიდონ დიასამიძე
სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი, შსს აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.

სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი.

რეცენზენტი:

თენგიზ ენდელაძე
ისტორიის დოქტორი, გენერალ-მაიორი, სპეციალისტ-ანალიტიკოსი სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების საკითხებში.

რამაზ კვარაცხელია
სსიპ შსს აკადემიის სამართლის სკოლის უფროსის მოად-გილე, პროფესორი, სამართლის დოქტორი

ISBN 978-9941-0-8663-2



ფრიდონ დიასამიძე

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი, შსს აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.

თქვენს ხელთ არსებული ნაშრომი ,,სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ" წარმოადგენს ავტორის მიერ რამდენიმე წლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის შედეგს, სადაც განხილულია სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციების საქმიანობის ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი, რაც საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა იყო და არის დღემდე.

წარმოდგენილი ნაშრომის ავტორს - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს და ამავდროულად სახელმწიფო უსაფრთხოების პოლკოვნიკს სიღრმისეულად შეუსწავლია და გაუანალიზებია სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის სპეციფიკა, რაც ნათლად ჩანს

მის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობაში და გაკეთებულ დასკვნებში.

ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია: შესავალ ნაწილში გადმოცემულია ისტორიული გამოცდილება სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციებისა, რომლებიც თავიანთი დამკვეთი სახელმწიფოს ინტერესების რეალიზებას სხვადასხვა ხერხებით, მეთოდებით აღწევენ. ნაშრომის მნიშვნელოვან და ძირითად ნაწილს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი რელიგიური სექტების როლი და კავშირი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან მიმართული კონსტიტუციური წეს-წყობილების შესუსტებისა და ანტისახელმწიფოებრივი ღონისძიებების განხორციელებისაკენ.

მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც განხორციელდა რუსეთის იმპერიის მიერ, როგორც მეფის რუსეთის პერიოდში (ეგზარხოსობის პერიოდი), ასევე საბჭოთა რუსეთის პერიოდში (1921-1992 წწ).

სიამოვნებით მინდა ავღნიშნო, რომ მონოგრაფიის მნიშვნელოვან ღირებულებას ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ იგი შესრულებულია კარგი სალიტერატურო ქართულით, რაც აადვილებს გადმოცემული აზრის აღქმადობას და საინტერესო საკითხავია.

სწორედ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი თეორიული მცდელობაა საზოგადოების ინფორმულობისა,

რომ მაქსიმალურად იქნას აცილებული უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მხრიდან ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის განხორციელების შესაძლებლობა, ე.წ. შეღწევადობისათვის ხელის შეშლა.

ვფიქრობთ, ავტორის მიზანი-საზოგადოების ფართო ნაწილს მიაწოდოს ინფორმაცია ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული რელიგიური ორგანიზაციების არსებობისა და საქმიანობის შესახებ მიღწეულია.

წინამდებარე ნაშრომი დროული მცდელობაა, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს პრაქტიკოსებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ანტიეროვნული და ანტისახემწიფოებრივი საქმიანობის გამოძიების დროს განსახორციელებელი ოპერატიულ და საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმვასა და რეალიზებაში.

ბოლოს მადლიერებით მინდა ავღნიშნო, რომ წინამდებარე ნაშრომი ,,სადაზვერვო და კოტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ" მნიშვნელოვანი შენაძენია საქართველოს ისტორიული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის, სტუდენტების, მეცნიერ მკვლევარებისა და პრაქტიკოსი თანამშრომლებისათვის.



სერგო ვარდოსანიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დავით კუხალაშვილის შრომები ეძღვნება საქართველოს ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვან პრობლემებს-სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას. ამ მიმართულებით დილეტანტი, საქმეში ჩაუხედავი ისტორიკოსი რაგინდ მონდომებულიც არ უნდა იყოს, ვერაფერს მიაღწევს თუ, სფერო, სპეციფიკა, მისი ყველა ნიუანსი კარგად არ იცის.

ბატონი დავითი არა მარტო პროფესიონალი ისტორიკოსია, არამედ დარგის მოქმედი თანამშრომელი, ამიტომ მისი წიგნები მკითხველისათვის საინტერესო და საჭიროა. წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი დაწვრილებით განიხილავს სხვადასხვა ქვეყნებში სპეც-

სამსახურების როლს დომინანტი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში, ავტორი თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად უხვად იყენებს წყაროებს, პუბლიკაციებს და უფრო დამაჯერებელს ხდის თავის მოსაზრებებსა და დასკვნებს.

საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მუშაობის ანალიზი საქართველოში მოქმედ სექტებთან, რომელთა უმრავლესობა თავისი საქმიანობით ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებს.

ნაშრომში ვრცლად არის განხილული ეგზარქოსობის პერიოდის (1811-1917 წწ.) სადაზვერვო საქმიანობა, რათა ეკლესია სასულიერო წოდება ყოფილიყო რუსეთის იმპერიის ერთგული, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) ეკლესიაში მიმდინარე რთული პროცესები, რასაც შეეწირნენ კათოლიკოს-პატრიარქები კირიონ II და ლეონიდე, საბჭოთა სპეცსამსახურების საქმიანობა (1921-1990 წწ.), რომელთა მიზანი იყო ეკლესიის სახით შეექმნა მტრის ხატი, ხოლო სასულიერო წოდებაში მოენახა დასაყრდენი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალური სულისკვეთების ადამიანები დაეწინაურებინა, შემდეგ კი გამოეყენებინა.

ავტორს კარგად ესმის რამდენად დელიკატურია ეს საკითხი და ცდილობს მაქსიმალურად ობიექტური სურათის აღდგენას.

ნაშრომი „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ“ ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.



თენგიზ ენდელაძე

ისტორიის დოქტორი, გენერალ-მაიორი, სპეციალისტ-ანალიტიკოსი სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების საკითხებში.

ნაშრომი „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ“ საყურადღებოა იმით, რომ მასში, ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია სპეცსამსახურების საქმიანობა, როგორც რელიგიურ სექტებში, ასევე ტრადიციულ რელიგიებში.

მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ დაზვერვის სამსახურების საქმიანობა რელიგიის ხაზით მიმართულია, როგორც ობიექტ ქვეყანაში რელიგიური სექტების შექმნა-გაძლიერებისაკენ, ასევე იქ მოქმედი დომინანტი რელიგიების პოზიციებისა და ზოგადად სახელმწიფოს შესუსტებისაკენ, მათზე ზეგავლენის მოპოვების და შენარჩუნების მიზნით.

ეხება, რა მეფის რუსეთისა და საბჭოთა კონტრდაზვერვის ორგანოების საქმიანობას, ავტორი ცდი-

ლობს დაგვანახოს, რომ მათი ძალისხმევა კონცენტრირებული იყო, როგორც მოწინააღმდეგის მიერ რელიგიის საფარქვეშ წარმოებული ძირგამომთხრელი საქმიანობის, ისე რელიგიურ მიმდინარეობათა ავტორიტეტის ზრდის ტენდენციათა გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ.



რამაზ კვარაცხელია

სსიპ შსს აკადემიის სამართლის სკოლის უფროსის მოადგილე. პროფესორი. სამართლის დოქტორი

წარმოდგენილ ნაშრომში „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ" განხილულია რელიგიის საფარქვეშ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია რელიგიური სექტების მონაწილეობით. რელიგიური ხასიათის ჯაშუშობის ორგანიზების კლასიფიკატორი. ოპერატიულ-აგენტურული ორგანიზაცია სასულიერო პირების კონტროლის მიზნით იმ პერიოდში როცა საქართველო იყო რუსეთის შემადგენლობაში.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული სასულიერო პირებზე ჭორების გავრცელების და მათი კომპრომეტაციის ხერხები და მეთოდები. ანტიქართული ისტერიის გაღვივების და ეროვნული მახასიათებლების კომპრომეტაციის მეთოდები და ისტორიული ფაქტები.

ნაშრომში ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიაში საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებულ მადესტაბილიზირებელი ორგანიზების საკითხის კვლევას, სადაც ნათლად ჩანს თუ როგორ იყენებდა რელიგიურ ჯაშუშობას საბჭოთა რუსეთი სადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, რასაც დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც წარმატებით და უფრო აქტიურად ახორციელებდა.

ნაშრომი საერთო ჯამში წარმოადგენს საინტერესო მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც გამოადგება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს, სტუდენტებს და პედაგოგებს, ასევე რელიგიური ჯაშუშობის თემით დაინტერესებულ ყველა პირს.



დავით კუხალაშვილი

ისტორიის დოქტორი, სსიპ შსს პოლიციის აკადემიის ასოცირებული პროფესორი, სახელმწიფო უსაფრთხოების პოლკოვნიკი.

ნაშრომში ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობების და სექტების წევრთა მხრიდან ჯაშუშობის მრავალი მაგალითი გვხვდება. რომლის განხორციელება აგენტურული ქსელის ორგანიზებით არის განპირობებული.

სექტების მასშტაბური ქმედებები ძირითადად ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობის ზეგავლენის შემცირებისაკენ არის მიმართული, რაც მრავალი ქვეყნის სადაზვერვო ხასიათის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს.

რელიგიური მიმდინარეობის, სექტის წარმატებული საქმიანობის წინაპირობას სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად მისი რაოდენობრივი, ხარისხობრივი კომპლექტაცია განსაზღვრავს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქმედებებითა და რაოდენობრივი მასშტაბურობით გამორჩეული სექტე-

ბის კომპლექტაციის ორგანიზაცია პრაქტიკულად სპეცსამსახურების კომპლექტაციის პროცესთან მიახლოებულია. საინტერესო იქნება ჩამოვაყალიბოთ სექტების ზეგავლენის ქვეშ ადვილად მოხვედრის პერსპექტივის მქონე ადამიანთა კატეგორიები:[1]

- კრიზისში მყოფი ადამიანები;
- მოზარდები (გარდამავალი ეტაპი);
- ახლად დაშორებული მეუღლეები;
- უცნობ ქალაქში საცხოვრებლად გადასული ადამიანები;
- ნარკოტიკების მომხმარებლები;

<u>ურთიერთობის გამყარების მეთოდებად შეიძლება გამოიყენებოდეს:</u>

☛ზრდილობიანი მოპყრობა;
☛ნარკოტიკებით აღჭურვა;
☛დიდი რაოდენობით თანხების კრედიტად გაცემა;
☛ტრანსში ჩაგდება;
☛სისტემატიური იდეოლოგიური მუშაობა;
☛ადამიანში „მე"-ს გაქრობა და „ჩვენ"-ით ჩანაცვლება;

ეს განფენა სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზების, აგენტურულ-ოპერატიული შესწავლის კარგ შესაძლებლობას იძლევა. შესასწავლი ობიექტის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნით მასზე სასურველი ზემოქმედებისათვის, ხელოვნური სიტუაციების შექმნა,

[1] „Totalitarian sects turn humans into zombies, destroying their inner world." 28.12.2006. http://english.pravda.ru;

[2] „Luc Reychler. RELIGION AND CONFLICT Introduction: Towards a

ან არსებულის მართვა სადაზვერვო გადაბი-რების ხელსაყრელი პირობაა.


შესწავლის ობიექტის გადაბირების პროვოცი-რების ხელშემწყობ ერთ-ერთ ძირითად მიმართულე-ბად ობიექტის რელიგიური ხასიათის რწმენის გამო-ყენება ითვლება.

ვიმედოვნებ, ნაშრომი საყურადღებო იქნება აღნიშნული მიმართულებით და ზოგადად ოპერატი-ული საქმიანობით დაინტერესებული მკითხველისა-თვის.

1. რელიგია, როგორც სადაზვერვო ზემოქმედების სეგმენტი

მსოფლიოში განვითარებული კონფლიქტების ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებს შიგნით და სახელმწიფოებს შორის რელიგიური ხასიათის კონფლიქტების (შეიარაღებული და საბრძოლო მოქმედებები) ინსპირირებას მასშტაბური ხასიათი აქვს, რაც გლობალური, რეგიონალური, კონკრეტულ სახელმწიფოთა უსაფრთხოების სერიოზული რყევის საფუძველი შეიძლება გახდეს. ამ მიმართულებით საყურადღებოა:[2]

[2] „Luc Reychler. RELIGION AND CONFLICT Introduction: Towards a Religion of World Politics?" www.gmu.edu;



„ცივი ომის" პერიოდში დომინანტი სახელმწიფოები რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირებას საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურად ახორციელებდნენ, რაშიდაც სადაზვერვო სამსახურები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ.

რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირების თვალსაზრისით ვითარება კომუნისტური სივრცის რღვევის შემდგომი პერიოდიდან დღემდე აქტიურია. მსგავსი სიტუაცია სახელმწიფოთა სადაზვერვო აქტივობებზე, ე.ი. სადაზვერვო ორგანიზაციის უწყვეტ ციკლზე მიანიშნებს, რაც პერსპექტივაში ამ მიმართულებით სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო აქტივობების კიდევ უფრო გაზრდის მანიშნებელია.

ზოგადად მიმოვიხილოთ რელიგიის საფარქვეშ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის ზოგიერთი მიმართულება.

☛ XI საუკუნეში *ევროპის სახელმწიფოთა* პოლიტიკის განსაზღვრაში უპირატესი უფლება *კათოლიკურმა ეკლესიამ* მოიპო-ვა, რომლის წინაპირობა აქტიური სადაზვერვო ორ-განიზაცია გახდა.

1095 წელს დაწყებუ-ლი ჯვაროსნული ლაშქრობისას,[3] იერუსალიმის და წმინდა მიწის უკან დასაბრუნებლად, სამხედრო ქმე-დებათა დაგეგმარება, განხორციელება მზვერავების მიერ იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის დაცვის შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფის საფუძველზე ხდებოდა.

სახეზეა:

➢ რელიგიური მიმდინარეობის მხრიდან სადაზვერვო ქმედებების ორგანიზაციის ძირითადი ნიშნები:

✓ რელიგიური მიმდინარეობის გავრცობის, პოლიტიკური, ტერიტორიული, შესაბამისად ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდების მიზნით სადაზვერვო ორგანიზაცია;



✓ საომარი მოქმედებების დაწყებამდე მოწინააღმდეგის ტერიტორიების დაცულობის (სუსტი

[3] ADRIENNE WILMOTH LERNERE. „Spionage and Intelligence, Early Histo-rical Foundations." www.faqs.org. [სურათის წყარო: „В 1095 году папа Римский призвал к войне «освобождения Гроба Господня»." www.the-pope.ru];

წერტილე-ბის) შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა.

☛1839 წელს კორეის მთავრობამ სახლმწიფოს განვითარების საწინააღმდეგოდ მოქმედ ძალად ქრისტიანები და ევროპელი მისიონერები მიიჩნია.[4] რაც მათ მიმართ რეპრესიების დაწყების საფუძველი გახდა.

ქმედების მართლზომიერების განსასაზღვრად, საინტერესო იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ ქრისტიანობის გავრცობის ისტორია კორეაში.

XVII–XVIII საუკუნეებში კორეაში არსებული მმართველობის მოწინააღმდეგეები თავიანთი წარმატების საფუძვლად ქრისტიანობის გავრცელებას მიიჩნევდნენ. ამ პოზიციამ XIX საუკუნის დასაწყისში კოლონიზაციური პროცესების მიმდინარეობისას ხელი შეუწყო კორეაში ევროპელი მისიონერების პირველად შეღწევადობას, რაც მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების წარმატებული ორგანიზაციით (უმოკლეს პერიოდში 10000 კორეელის კათოლიკედ მოქცევით) დასრულდა.

1831 წლისათვის რომის პაპის ორგანიზებით კორეის საეპისკოპოსო ჩამოყალიბდა.

[4] „Миссионеры в Корее. «Тонхак».“ http://historic.ru;



კათოლიკური ტაძარი სეულში. 1904 წელი.[5]

ამ პროცესებს თან დაერთო ევროპული სახელმწიფოების სავაჭრო, ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გააქტიურება, რაც ჩინეთთან და იაპონიასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საზიანო ქმედებებით დასრულდა.

სახეზეა:

- სადაზვერვო ორგანიზაციას დაქვემდებარებულ ქვეყანაზე სათანადო კონტროლის უზრუნველსაყოფად, სტრატეგიულად პარტნიორ სახელმწიფოებში დომინანტი რელიგიური მიმდინარეობის კოორდინირებული სადაზვერვო ორგანიზაცია:
  - ✓სადაზვერვო ზემოქმედების ქვეყნების რელიგიური ერთობის შესუსტების მიზნით, კონკრეტულ ქვეყანაში ახალი რელიგიური მიმდინარეობის გავრცობის ინსპირირებით;


[5] „ПРАВОСЛАВНАЯ КОРЕЙСКАЯ ДУХОВНАЯ МИССИЯ В СЕУЛЕ." Из книги От Сеула до Владивостока, изданной Сретенским монастырем в 2012 г. http://www.pravoslavie.ru;

- ✓დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში დომინანტი რელიგიის თანაფარდობის დარღვევის ფონზე, რელიგიურ ერთობაზე დამყარებული სხვადასხვა სახის კავშირების რღვევის ინსპირირებით;
- ✓სადაზვერვო ორგანიზაციას დაქვემდებარებული ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ბერკეტებზე კონტროლის უზრუნველყოფით.

☛მეორე მსოფლიო ომის დროს, საკუთარ სახელმწიფოში ტაძრების ნგრევის, სასულიერო პირების მასშტაბური რეპრესიების ფონზე, ფაშისტური *გერმანია* ოკუპირებულ ტერიტორიებზე დადებითი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ფართოდ იყენებდა რელიგიურ ფაქტორს.

გერმანიის საიმპერიო უსაფრთხოების სამსახურში ფუნქციონირებდა სპეციალური „საეკლესიო განყოფილება.“[6] რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა:

[6]М.В.Шкаровский. „"Религиозноевозрождение" на оккупированной тер-ритории Белоруссии, Прибалтики и Северо-запада России.“ http://vojnik.org;



ამ სამსახურის მიერ სადაზვერვო ღონისძიებები განსაკუთრებული აქტივობით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიების ოკუპაციის შემდგომ პერიოდში წარმატებით ხორციელდებოდა.

ეფექტურ ქმედებებს ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის მიერ საკუთარ სახელმწიფოში რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობის აკრძალვამ, სასულიერო პირთა და საერთოდ მოქალაქეთა მასობრივმა რეპრესიებმა, ტაძრების ნგრევის მასშტაბურმა ორგანიზაციამ.

სახეზეა:

- მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების პირობებში, რელიგიური კუთხით სადაზვერვო ორგანიზაცია:

  ✓რელიგიის მიმართულებით სპეცსამსახურის ფუნქციონირება;

✓რელიგიური ორგანიზაციების და კონფესიების, მორწმუნეთა, სასულიერო პირების განწყობების კონტროლი;

✓ოკუპაციის პირობებში აქტიურ სადაზვერვო ორგანიზაციას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში აკრძალული რელიგიური მიმდინარეობის საქმიანობის გააქტიურება;

✓დაზვერვას დაქვემდებარებულ ქვეყანაში პოლიტიკური მომართულებით ოპერატიული ვითარების აქტიური შესწავლა.

„ცივი ომის" პირობებში რელიგიის საფარქვეშ საქმიანობა აქტიური სადაზვერვო ორგანიზაციის ერთერთი ძირითადი მიმართულება იყო.

☛„ცივი ომის" პერიოდში *საბჭოთა სახელმწიფო* სხვადასხვა საშუალებებით ყოველთვის ავიწროებდა რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობას, რადგან თვლიდნენ, რომ მათი გავრცობის მასშტაბურობა ქვეყნის უსაფრთხოებაზე უარყოფით ზემოქმედებას გამოიწვევდა.

ამ მიმართულებით მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, აქტიური კონტრსადაზვერვო ქმედებად რელიგიური სახის ლიტერატურის უცხოეთიდან შემოტანის და გავრცელების აღკვეთა წარმოადგენდა.

შესაბამისად, უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესში რელიგიური ლიტერატურის საბჭოთა კავშირში, კომუნისტურ სივრცეში გავრცობის უზრუნველყოფა შედიოდა.

გ.ფრიდრიხის მიერ ბერლინი-ვარშავას (საბჭოთა კავშირის სტრატეგიული პარტნიორ სახელმწიფოთა დედაქალაქები) მატარებლის გამოყენებით საბჭოთა კავშირში 1968 წელს 150 ბიბლიის შემოზიდვა[7] განხორციელდა.



სახეზეა:

- დომინანტის როლისათვის მებრძოლ სახელმწიფოებს შორის ბრძოლისას სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება, გამოხატული:
  - ✓დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში, კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის მიზნით შევიწროებული რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობის გააქტიურების ინსპირირებაზე ხელშეწყობა რელიგიური ლიტერატურის კონტრაბანდის გზით შემოტანით;
  - ✓აქტიურ დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ტერიტორიის გავლით, კონტრაბანდული ტვირთის გადატანით;

[7] „DDR-Bibelschmuggler "Kaltblütig, raffiniert, verschlagen." [ფოტოსურათის წყარო] http://eines-tages. spiegel.de;

☛„ცივი ომის" პირობებში რელიგიური ორგანიზაციების წინააღმდეგ აქტიურ საქმიანობას ეწეოდა *საბჭოთა კავშირის* სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.



მოსკოვის საპატრიარქო[8]

1961 წლის საიდუმლო დირექტივიდან[9] ირკვევა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე კონტროლის მიზნით აქტიური ოპერატიული ქმედებები (აგენტურის ჩანერგვა) ხორციელდებოდა მოსკოვში განთავსებულ ორ სასულიერო აკადემიაზე და ხუთ სასულიერო სემინარიაზე, სადაც დაახლოებით 600 პირი სწავლობდა.

[8]С.Л.Фирсов. „ИСТОРИЯ ВОССТАНОВЛЕНИЯ МОСКОВСКОЙ ПАТРИАРХИИ СТАЛИНЫМ в 1943 году." www.rusbaptist.stunda.org;

[9]Сергей Голованов. „Проникновение спецслужб СССР в религиозные организации в 60–70-е гг." Реферат по книге Кристофера Эндрю и Василия Митрохина «Щит и меч: Архив Митрохина и тайная история КГБ».*http://veraisvoboda.info;*

სახეზეა:

- რელიგიის საფარქვეშ სადაზვერვო შეღწევადობის აღკვეთის კონტრსადაზვერვო ღონისძიებები:
  - ✓ სახელმწიფოში რელიგიური მიმდინარეობების, მათ შორის საგანმანათლებლო ობიექტების საქმიანობის კონტროლის საფუძველზე მოწინააღმდეგის სპეცსამსახურების შეღწევადობის ძირითადი ობიექტის გამოკვეთა, რაც ოპერატიულ-ოპერაციული, ანალიტიკური ციკლის ორგანიზაციით მიიღწევა;
  - ✓ ოპერატიული კონტროლის უზრუნველმყოფი აგენტურული ჩანერგვის ორგანიზაცია, რომელიც აქტიური ოპერაციული, ანალიტიკური ციკლის შემადგენელი ნაწილია.

☛გასული საუკუნის 70-80-იან წლებში *საბჭოთა კავშირის* [სსრკ] წყობის წინააღმდეგ აქტიურად მოღვაწეობდა მსოფლიო საეკლესიო საბჭო,[10] რომლის ქმედებათა გასანეიტრალებლად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, ბულგარეთის (სსრკ-ს სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფო) შესაბამის სამსახურთან კოორდინაციაში[11] ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობა საბჭოთა სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების სასარგებლოდ წარმართა. ამ ქმედებით მსოფლიო საეკ-

[10] „ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანების მსოფლიო ორგანიზაციის სიმბოლო"-„*Всемирный совет церквей.*" *https://ru.wikipedia.org;*

[11] Mark D. Tooley Bio. „World Council of Churches: The KGB Connection." 2010. http://frontpagemag.com;

ლესიო საბჭოში სადაზვერვო საქმიანობას ხელსაყრელი პირობა შეექმნა.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საიდუმლო შეტყობინებით ირკვევა, რომ 1969 წლისათვის მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ორგანიზებულ ქმედებებში მონაწილეობდნენ აგენტები: „ალტარი", „სვიატოსლავი", „ადამანტი", „მაგისტრი", „როშინი", „ზემნეგორსკი."[12]

სახეზეა:

➢სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია:

- საერთაშორისო ასპარეზზე სადაზვერვო აქტივობის საზღვრების გაფართოების მიზნით მზვერავი სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულად პარტნიორ სახელმწიფოში დომინირებად რელიგიურ მიმდინარეობაში შეღწევადობის უზრუნველყოფა;

- სტრატეგიულად პარტნიორი სახელმწიფოს დომინირებად რელიგიურ მიმდინარეობაში სადაზვერვო შეღწევადობით, არსებული წეს-წყობილების საწინააღმდეგოდ მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებში აგენტურული ხასიათის შეღწევადობა;

☛„ცივი ომის" პერიოდში კომუნისტური ბლოკის სადაზვერვო სამსახურები აქტიურად მუშაობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესების

[12]Сергей Голованов. „Проникновение спецслужб СССР в религиозные организации в 60–70-е гг." Реферат по книге Кристофера Эндрю и Василия Митрохина «Щит и меч: Архив Митрохина и тайная история КГБ».*http://veraisvoboda.info;*

თანამგრძნობი სახელმწიფოს ვატიკანის საწინააღმდეგოდ.



პირველ ფოტოზე იეზუიტის შენიღბვით, საბჭოთა ჯაშუში ტომაშ ტუროვსკი იოანე პავლე II-თან შეხვედრაზე, ხოლო მეორე სურათზე პოლონელი დიპლომატი ტომაშ ტუროვსკი.[13]

სადაზვერვო ხასიათის აგენტურული ღონისძიების ძირითად მიმართულებად ვატიკანში შეღწევადობის უზრუნველყოფა გახდა, რაც წარმატებით განხორციელდა კიდეც.

ვატიკანის მიერ ორგანიზებული სწავლების პროცესში ჩართვით სადაზვერვო ქმედებების ორგანიზაცია დაიწყეს აგენტებმა:

- „პეტროვი", და „როგულინი" (რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეები);

- „ანტანასი", „დაკტარასი", „ჯიბუტე" და „ვიდმანტასი" (ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეები);

- „პოტოჩინი" (ქალი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე);

---

[13] „*Smolensk Crash Actors: Tomasz Turowski, Poland SCNDATT. The Nine Lives of Tomasz Turowski.*" *www.smolenskcrashnews.com;*

სახეზეა:

➢რელიგიური სწავლების საფარქვეშ სადაზვერვო შეღწევადობის მასშტაბების გასაზრდელად, მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სტრატეგიულ პარტნიორი ავტორიტეტული რელიგიური მიმდინარეობის მმართველ წრებში, კორდინირებული ქმედებებით სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოების სადაზვერვო-აგენტურული შეღწევადობის ორგანიზება;

☛ცივი ომის პერიოდში საბჭოთა დაზვერვა და კონტრდაზვერვა აქტიურად საქმიანობდა საბჭოთა წყობისათვის საფრთხის შემცველი უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის საწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთის მიზნით.



საბჭოთა წყობილებისათვის საშიში უკრაინის ნაციონალისტების ორგანიზაციის იატაქვეშა მებრძოლებთან წირვას აღავლენს ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი. [14]

[14]Дмитрий Веденеев. *Ведущий «сектовед» Украины: полковник КГБ Виктор Сухонин. ЧАСТЬ. 13 June 2013 http://2010.orthodoxy.org.ua;*

აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებების მონაწილეები იყვნენ აგენტები:



სახეზეა:

- სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო აგენტურული ორგანიზაციით:

- სახელმწიფოში რელიგიური მიმდინარეობების ქმედებების სისტემატიური აგენტურული კონტროლი არსებული ხელისუფლების და წეს-წყობილების საწინააღმდეგო აქციების დროული გამოვლენა და აღკვეთა;
- სახელმწიფოში რელიგიურ მიმდინარეობების ქმედებების სისტემატიური კონტრსადაზვერვო აგენტურული კონტროლის შედეგად საერთაშორისო ასპარეზზე სადაზვერვო შეღწევადობაზე ხელშეწყობა.

☛ისრაელი, პალესტინის რადიკალური ისლამური ორგანიზაციის „ჰამაზის“[15] წინააღმდეგ სადაზ-


[15]„Udo Ulfkotte Spionage-Coup oder gezielte Desinformation.“ http://inge09.blog. de;

ვერვო ხასიათის ოპერატიულ-აგენტურულ ორგანიზაციას აქტიურად ახორციელებს.

ქმედებების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:


✓ ტერორისტული ორგანიზაციების, მათი მმართველების, კავშირების, აგრეთვე ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციების შეკრება;

✓ორგანიზაციის ლიდერების უახლოეს გარემოცვაში სადაზვერვო შეღწევადობა:



✓თვითმკვლელი ტერორისტების გამოვლენა, მათი გადაადგილების მარშუტების დადგენა, კონტროლი, დაგეგმილი დამაზიანებელი ქმედებების დროული გამოვლენა, აღკვეთა;

✓დეზინფორმაციით, ორგანიზაციის წევრთა შორის უცხო ქვეყნების აგენტურის არსებობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის მომზადება, სქემაზე აღნიშნული მიზნებით:



წარმატებული სადაზვერვო უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფა, რაოდენობრივი და შედეგობრივი მასშტაბების თვალსაზრისით, დამაზიანებელ ქმედებათა შემცირების საფუძველი შეიძლება გახდეს.


სახეზეა:

➢ კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის ხელშეწყობა სადაზვერვო კონტროლის გაფართოებით:

- სადაზვერვო სამსახურის ტერორისტულ საქმიანობაში პირდაპირი და ირიბი ფორმით აქტიური აგენტურულ-ოპერატიული და ოპერაციული მონაწილეობა;
- კომპრომენტაციით და რწმენის შეცვლის პროვოცირებით გადაბირების მეთოდები;

☛2011 წლის მდგომარეობით *პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში* (მათ შორის უკრაინა, ბელორუსია და სხვა) აქტიურ საქმიანობას ეწევიან პროტესტანტული ორგანიზაციები. მათი წარმატებული ტერიტორიული გავრცობის, რაოდენობრივი ზრდის პროცესების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად არის განპირობებული საერთაშორისო მხარდაჭერით.[16]

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით მათი მხრიდან განხორციელებული ქმედებებიდან გამორჩეულია:



<u>სახეზეა:</u>

➢სადაზვერვო შენიღბვით რელიგიური მიმდინარეობის ობიექტ სახელმწიფოში შეღწევის და აქტიური საქმიანობის მხარდაჭერის ორგანიზაცია:

[16] «Крестовый поход против Православия.“ http://neve-somoe.ru;

- დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტების ხელში ჩაგდების, სადაზვერვო აგენტურული აპარატის გაფართოების მიზნით;

☛ *ირანი, აზერბაიჯანის* კონსტიტუციური წყობილების რღვევის ინსპირირებისათვის, შიიტური მოძრაობის გაძლიერების ორგანიზებას აქტიურად ახორციელებს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს:

✓აზერბაიჯანში ტრადიციული და ლიდერი არა რადიკალური რელიგიის, სახელმწიფოს გაძლიერების პროცესებთან შერწყმაზე ხელის შეშლა;

✓ირანში, სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებისათვის ხელშეწყობილი რადიკალური რელიგიური მიმდინარეობის დომინირებაზე ხელშეშლის აღკვეთა;

✓ კონსტიტუციური წყობილების რღვევის შემ-თხვევაში მდიდარ სტრატეგიულ მარაგებზე კონტროლის უზნველყოფა.

უახლეს ისტორიაში აზერბაიჯანის სპეცსამსახურების მიერ დაკავებულია დამნაშავეთა ჯუფი:

-ჯაშუშობის, ტერაქტების მომზადების, იარაღის კონტრაბანდისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ბრალდებით, ირანის ყალბი პასპორტებით დააკავეს საზღვრის გადმომკვეთი ლიბიის ორი მოქალაქე. აგრეთვე, სახელმწიფოს ღალატსა და ტერაქტების მომზადების ბრალდებით ამ დანაშაულებრივ ჯგუფთან ალიანსში მყოფი აზერბაიჯანის ოთხი მოქალაქე.

ერთ-ერთი დაკავებულთაგანი 2009 წლიდან ახლო კავშირში იყო ქვემოჩამოთვლილი ტერორისტული ორგანიზაციების წევრებთან:

- ირანის ისლამური რევოლუციის დაცვის კორპუსი (Iran's Islamic Revo-lutionary Guard Corps);[17]
- „ჰეზბოლა“ (ჰეზბოლლაჰ);

სახეზეა:

✓ სადაზვერვო ორგანიზაცია:

- სახელმწიფოს რელიგიური ტოლერანტობის პროცესის რღვევის ინსპირირება რადიკალური რელიგიური მიმდინარეობის დამაზიანებელი ქმედებების, მათ შორის ტერორისტული ქმედებების პროვოცირებით;
- საზღვარზე მოწყვლადი ადგილების შესწავლით, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ყალბი დოკუმენტებით, იარაღის კონტრაბანდით, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვით შეღწევის ორგანიზაცია.


☛2012 წლის მაისის ბოლოს *ვატიკანში* ჯაშუშობის (წმინდა საყდარის კომპრომენტაციისათვის საიდუმლოს გამჟღავნება) ფაქტი გამოაშკარავდა.[18]

რომის პაპის ბენედიქტე XVI უახლოეს გარემოცვაში თანაშემწის რანგში მსახურებდა პაულო გაბრიელე (იგივე პაულეტო, იგივე პავლუშო), რომელიც სათანადო ნებართვის გარეშე პაპის და პაპისადმი გაგზავნილი წერილების, ფაქსების და მოხსენებების კოპირებას სისტემატიურად ახდენდა.

---

[17] „Azerbaijan.Islamist Activity.“ http://almanac.afpc.org;

[18] „Помощник папы римского оказался шпионом.“ www.newstube.ru;



ბენედიქტე XVI



პაუ-ლოგაბრიელე[19]

პაულო დილის დადგომისთანავე იყო ადამიანი, რომელიც პირველი შედიოდა რომის პაპის საძინებელ ოთახში, ემსახურებოდა მას კვების დროს, ესწრებოდა ყველა მოგზაურობას, ამასთანავე ყველა აუდიენციის თანადამსწრე პირიც იყო. პავლუშოს ჯაშუშობაზე ეჭვის მიტანა ვატიკანში არსებული კორუფციის შესახებ იმ ინფორმაციის პრესაში გაჟონვამ გამოიწვია, რომლის შესახებ მისაწვდომობა რომის პაპთან ერთად შეზღუდულ პირთა ჯგუფს შეეძლო.

სახეზეა:

✓ საეკლესიო იერარქიაში წარმატებული სადაზვერვო ორგანიზაცია:

- საეკლესიო იერარქიის პირველი პირის ქმედებების (შეხვედრები და მათი მონაწილეების, ამ შეხვედრებზე განსახილველი საკითხების, ეკლესიის სტრატეგიული გეგმების, ეკლესიის სადაზვერვო კომპრო-

[19] Bharata Bharati. „Vatileaks: A sinister power struggle in the Vatican to get an Italian pope next time round – RIC." http://rajeev2004.blogspot.com;

მენტაციისათვის საიდუმლო მიმოწერის მასალების ხელში ჩაგდების და ა. შ.) შესახებ ინფორმაციის შეკრების ორგანიზაცია. ყოველივე ტერაქტის სადაზვერვო ორგანიზაციის ხელშემწყობი გარემოებაცაა;

<u>ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ, რელიგიის საფარქვეშ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:</u>

რელიგიური მიმდინარეობის გავრცობით, პოლიტიკური, ტერიტორიული, ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდება;

საომარი მოქმედებების დაწყებამდე მოწინააღმდეგის ტერიტორიების დაცულობის (სუსტი წერტილების) შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა;

სადაზვერვო ზემოქმედების ქვეყნების რელიგიური ერთობის შესუსტების მიზნით, კონკრეტულ ქვეყანაში ახალი რელიგიური მიმდინარეობის განვრცობის ინსპირირება;

დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში დომინანტი რელიგიის თანაფარდობის დარღვევის ფონზე, რელიგიურ ერთობაზე დამყარებული სხვადასხვა სახის კავშირების, ურთიერთობების რღვევის ინსპირირება;

სახელმწიფოს სპეცსამსახურში სათანადო ქვედანაყოფების ფუნქციონირებით, რელიგიური მიმდინარეობე-

ბის, განშტოებების მიმართულებით აგენტურული შესწავლის ორგანიზება;

- რელიგიური ორგანიზაციების, კონფენსიების, მორწმუნეთა, სასულიერო პირების განწყობების კონტროლის ორგანიზება;

- ოკუპაციის პირობებში დაპირისპირებულ სახელმწიფოებში აკრძალული რელიგიური მიმდინარეობის საქმიანობის გააქტიურება;

- მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში პოლიტიკური კუთხით ოპერატიული ვითარების აქტიური შესწავლის ორგანიზება;

- სახელმწიფოში კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის მიზნით შევიწროებული რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობის (მათ შორის რელიგიური ლიტერატურის კონტრაბანდით) გააქტიურების ინსპირირება;

- კონტრაბანდის ორგანიზაციისათვის სახელმწიფოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება;

- სახელმწიფოში რელიგიური მიმდინარეობების საგანმანათლებლო ობიექტების საქმიანობის ოპერატიული, ანალიტიკური, ოპერაციული ციკლის ორგანიზება;

აქტიური ოპერაციული, ანალიტიკური ციკლის მეშვეობით ოპერატიული კონტროლის უზრუნველმყოფი აგენტურული ჩანერგვის ორგანიზება:

სტრატეგიულად პარტნიორ სახელმწიფოში დომინირებადი რელიგიური მიმდინარეობის გამოყენებით ობიექტი სახელმწიფოს წეს-წყობილების საწინააღმდეგოდ მოქმედ რელიგიურ გართიანებებში აგენტურული შეღწევადობა:

გადაბირების ორგანიზაცია კომპრომენტაციის, რწმენის შეცვლის პროვოცირების მეთოდების გამოყენებით:

სადაზვერვო აგენტურული აპარატის უწყვეტი გაფართოების პროცესის ორგანიზება:

სახელმწიფოს რელიგიური ტოლერანტობის პროცესის რღვევის ინსპირირება. რადიკალური რელიგიური მიმდინარეობის მხრიდან ტერორისტული ქმედებების პროვოცირებით:

საზღვარზე მოწყვლადი ადგილების შესწავლით. ყალბი დოკუმენტებით. იარაღის კონტრაბანდით, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვით შეღწევის ორგანიზაცია.

საეკლესიო იერარქიის პირველი პირის შეხვედრების, მათი მონაწილეების, ამ შეხვედრებზე განსახილველი საკითხების, ეკლესიის სტრატეგიული გეგმების. ეკლესიის სადაზვერვო კომპრომეტაციისათვის საიდუმლო მი-

მოწერის მასალების ხელში ჩაგდების მიზნით ინფორმაციის შეკრების ორგანიზება, რაც ტერაქტის სადაზვერვო ორგანიზაციის ხელშემწყობი გარემოებაცაა;

2. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია რელიგიური სექტების მონაწილეობით

მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი სხვადასხვა მიმართულების რელიგიური სექტების უმრავლესობის საქმიანობა ტრადიციული რელიგიის საფუძვლების და რწმენის რყევისაკენ არის მიმართული. ისინი ეწინააღმდეგებიან ტრადიციულ დოგმებს და პრინციპებს, რაც სხვადასხვა სახის კონფლიქტების ინსპირირების საფუძველია.

ამ ვითარებაში, წარმატებული სადაზვერვო (შენიღბული) ქმედებების განხორციელების ალბათობა მაღალია, რაც კონსტიტუციური წყობილების შენარჩუნების თვალსაზრისით დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზემოქმედების საუკეთესო საშუალებაა.


საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომი პერიოდიდან საქართველოში, ტრადიციული რელიგიების მეთაურები ცდილობენ მათ ზეგავლენას დაქვემდებარებულ მორწმუნეთა მხრიდან რაიმე სახის კონფლიქტის საწყისშივე აღკვეთას, რაც დაინტერესებულ უცხო სახელმწიფოთა სტრატეგიულ ინტერესებში არ შეიძლება შედიოდეს.

სწორედ ამიტომ, დესტრუქციული ქმედებების ინსპირირებისათვის დღის წესრიგში სექტათა წარმოქმნის (ან უკვე წარმოქმნილი) და კონკრეტულ ტერიტორიებზე მათი მოღვაწეობის გადატანის ფინანსური, მორალური მხარდაჭერის ღონისძიებათა უზრუნველყოფა დგება.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა სექტა, უცხო ქვეყნებშია ჩამოყალიბებული.

ჩვენს ქვეყანაში მათი აქტიური ქმედებები უცხოეთიდან მყარი დაფინანსებით, მათი უფლებების დაცვის მუდმივი კონტროლით მიიღწევა.

განსხვავებული მიზნებით ალიანსის ფონზე უცხო ქვეყნების სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, არსებობს მუდმივი საფრთხე შემდეგი მიმართულებებით:



იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სექტათა გარკვეული რაოდენობა უკვე მოქმედებს, მათი რაოდენობრივი ზრდის ალბათობაც არ არის გამორიცხული, ზოგადად მიმოვიხილოთ საზოგადოებისათვის საშიშ სექტათა კონკრეტული ქმედებები.


სექტათა უმრავლესობა თავის საქმიანობაში იყენებს ისეთ მეთოდებს, რომლებიც წარმოშობს მცირე კონფლიქტებს, რომელთაც ფართო მასშტაბიან კონფ-

ლიქტებში გადაზრდის რეალური პერსპექტივა გააჩნიათ.

☛XVII საუკუნეში ინგლისში ჩამოყალიბებული ანტიმართლმადიდებლური „ბაპტისტური" სექტა" ადვილად გავრცელდა ევროპასა და ამერიკაში.

სექტის მონაცემებით, მათმა რიცხვმა 1928 წელს 10 მილიონს მიაღწია.

საქართველოში ბაპტისტური ორგანიზაციის რეგისტრაცია 1944 წელს განხორციელდა, რასაც მასთან სქემაზე მინიშნებული სექტების გაერთიანება მოყვა:



სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების თვალსაზრისით საინტერესოა „ბაპტისტური" ორგანიზაციების ახლო კავშირების არსებობა რასისტულ ორგანიზაციასთან „კუ-კლუქს-კლანი."

„ბაპტისტური" ორგანიზაციების დამფინანსებლად გვევლინებოდნენ ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურთან, საკუთარი ბიზნესისათვის მომგებიანი ურთ-

იერთობით გამორჩეული ისეთი პიროვნებები, როგორიცაა: ფორდი და როკფელერი.

პირველი მსოფლიო ომის დროს[20] და საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ პერიოდში ბაპტისტების სოლიდური ნაწილი რელიგიური მწარმსის გამო უარს აცხადებდა იარაღით საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლაზე.

1922 წლის ბოლოს *საბჭოთა კავშირში* მართლმადიდებლური ეკლესიის დარბევის ფონზე ევანგელისტური ეკლესიის (ბაპტისტების) საზოგადოების ლიკვიდაცია მიმდინარეობდა.

ლიკვიდაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი *სექტის წევრების მიერ იარაღით ხელში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლაზე მასობრივად უარის თქმა* გახდა.

საკანონმდებლო უზრუნველყოფით (დოკუმენტი I სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოს („ОГПУ") დანაყოფებისადმი გადაგზავნილი ცირკულარი 51342)[21] საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი იყო *რელიგიური სექტების რეგისტრაცია.*

კონტრსადაზვერვო საკანონმდებლო, ოპერატიული საქმიანობის ორგანიზებით, რეგისტრაცია პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

---

[20] „Russian Baptists and the Military Question, 1920-1929." www.2.stetson.edu;

[21] А.И.Савин. „ОГПУ СССР ПРОТИВ ХРИСТИАН-БАПТИСТОВ Из документов руководства ОГПУ СССР о методах борьбы с религиозными организациями в первой половине 1920-х годов." http://rusbaptist.stunda.org;

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაპტისტებთან ვითარების მოგვარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ბაპტისტების საოლქო ყრილობების დასრულების შემდგომ, კავკასიელების მეშვეობით საერთო რუსული ყრილობის ორგანიზებას გეგმავდა, რათა მიღებულიყო გადაწყვეტილება ბაპტისტების იარაღით ხელში სამხედრო სავალდებულო სამსახურში მონაწილეობის შესახებ.

ვითარების ოპერატიული კონტროლისათვის, ახალი აგენტურული აპარატის შექმნა, პერსპექტივაში რეპრესიების ორგანიზებისათვის მასშტაბურად მიმდინარეობდა.

1927 წელს დაიხურა ბაპტისტთა სემინარია.[22] ხოლო 1929 წლისათვის ბაპტისტთა პერიოდული გამოცემების დახურვის პარალელურად საბჭოთა პრესაში საერთოდ აიკრძალა რელიგიური ხასიათის პუბლიკაციების გამოქვეყნება. ამ ქმედებით სექტები არალეგალური მოღვაწეობის რეჟიმზე გადავიდნენ, რასაც სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით გააჩნდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა.

სტალინის მმართველობის დასრულებისას ბაპტისტური მოძრაობა საბჭოთა კავშირში კვლავ გააქტიურდა. ე.წ. დათბობის პერიოდისათვის, ბაპტისტების ორგანიზებით საბჭოთა კავშირისათვის წარმოუდგენელი საპროტესტო აქციების ორგანიზებაც კი განხორციელდა,

[22] ERNEST A. PAYNE. „Baptists on the Continent: A Plea for more Interest and Concern.“ www.biblicalstudies.org.uk;

რაც საბჭოთა წესწყობილების დისკრედიტაციის წინაპირობა იყო.



ბაპტისტების საპროტესტო ლოცვა კომპარტიის ცენტრალურ ოფისთთან. 16.05.1966.[23]

1973-1974 წლებში ამერიკის შეერთებული შტატები ბაპტისტთა ქმედებების სადაზვერვო შესწავლას უცხო ქვეყნებში აქტიურად ანხორციელებდა.

[23] „Как баптисты два дня протестовали в Москве в 1966 году." 21.08.2014. http://ttolk.ru

აშშ-ის ჯარისკაცის როდნიკიდის მონათხრობიდან[24] ირკვევა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (ამ პერიოდისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფო), ამერიკის ბლოკში თარჯიმანად მუშაობის პერიოდში ის ატარებდა მრავალრიცხოვან შეხვედრებს ამ ქვეყნის მოქალაქეებთან მათი რელიგიური კუთვნილებების დასადგენად.

ქმედება სადაზვერვო ხასიათის გამოკითხვის შინაარსის თანმხვედრია, რაც საინტერესოა, როგორც შეხვედრების ორგანიზების უზრუნველმყოფი რგოლის და პირობის, ისე სხვა ხასიათის სადაზვერვო მონაცემების მოპოვებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის თვალსაზრისითაც.

აღნიშნული სექტის წევრთა მხრიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლაზე უარის თქმის თვალსაზრისით საყურადღებო ვითარება იყო საქართველოს უახლოეს ისტორიაში.

ალტერნატიული სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლის შესახებ. საქართველოში 1997 წლიდან არსებობს სათანადო კანონმდებლობა. მიუხედავად ამისა, 1998 წლიდან სექტანტთა (მათ შორის ბაპტისტთა) მხრიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლაზე უარის თქმის მრავალ შემთხვევას ქონდა ადგილი, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენებით დასჯილი[25] არავინ ყოფილა.

---

[24] „UNSER PASTOR." www.fbg-mannheim.de

[25] „Militärdienst und Kriegsdienstverweigerung in Georgien. von Quaker Council for European Affairs." www.connection-ev.de

მსგავსი ვითარების სიმძიმეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2002 წლის მოხსენების თანახმად, საქართველოს სამხედრო პროკურატურაში 2001 წლისათვის დეზერტირობის ბრალდებით 2498 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

გასათვალისწინებელია სპეციალისტთა მოსაზრებები, მასზედ რომ სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით სექტანტთა რაოდენობა საქართველოში ფართოვდება. არსებობს მაღალი ალბათობა სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფას შორის დისბალანსის ინსპირირებაზე, რაც პერსპექტივაში ეროვნული უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუარესებას შეიძლება დაუკავშირდეს. პერსპექტივის ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებად მინიშნებული პერიოდისათვის სახელმწიფოში არსებული ტოტალური კორუფცია უნდა მივიჩნიოთ, რაც სადაზვერვო შეღწევადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სერიოზული მიმართულებაცაა.

<u>სახეზეა:</u> სადაზვერვო ორგანიზაციის აგენტურული უზრუნველყოფის ხელსაყრელი პირობები:

- ✓ *რელიგიური სექტის ორგანიზაციული მართვა. სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების სასარგებლო გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად.*
- ✓ *საზოგადოებრივი აზრის შექმნის თვალსაზრისით, რელიგიური სექტის გამოყენებით წარმატებული სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია საერთაშორისო არენაზე და სახელმწიფოს შიგნით;*

✓ *მასშტაბურობის თვალსაზრისით სექტის განვრცობის აღმკვეთი ღონისძიების–სექტის პერიოდული გამოცემის დახურვა, სახელმწიფოში რელიგიური მიმართულებით პროპაგანდის აკრძალვა;*

✓ *სამხედრო დაზვერვის მონაწილეობა რელიგიური მიმდინარეობის პირთა დამოკიდებულებების გარკვევის მიმართულებით;*

☛XVIII საუკუნის დასასრულს მეფის რუსეთში შეიქმნა დუხობორთა სექტა, რომელმაც თავისი საქმიანობა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საწინააღმდეგო საქმიანობით დაიწყო.

სექტა არ ცნობს სულიწმინდას, ხატებს, ჯვარს, პირჯვრისწერას, მარხვას, ნათლობას, მონაზვნობაბერობას, მართლმადიდებლურ დღესასწაულს, რიტუალს.

სექტის მოღვაწეობა ხელისუფლებისა (სექტანტები უარს აცხადებდნენ ჯარში სამსახურზე და პროტესტის ნიშნად ორგანიზებულად ცეცხლსასროლი იარაღის დაწვა განახორციელეს)[26] და მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან იმპერიის საწინააღმდეგო საქმიანობად *იყო მიჩნეული. რაც კონტრსადაზვერვო (შესაბამისად აგენტურული) ორგანიზაციის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა.*

წმინდა სინოდის ზეწოლის შედეგად მეფის (ნიკოლოზ I) ხელისუფლებამ ამ სექტის რუსეთის ტერიტორიიდან განდევნა მათ შორის საქართველოში (20000 ერთეულის თბილისის გუბერნიის ახალქალაქის და

[26] „Why did doukhobors come to Canada?" http://wiki.answers.com;

ელიზავეტპოლსკის მაზრებში) გადასახლება განახორციელა.

აღნიშნულ პროცესს საქართველოში რუსული სოფლების (სლავიანკა, გორელოვკა, სპასოვკა კალინოვკა, და სხვა)[27] ჩამოყალიბება მოყვა, რაც იმპერიის დაქვემდებარებული გუბერნიის კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფასაც ნიშნავდა.

მოსაზრება მყარდება იმ გარემოებით, რომ დუხობორების გადმოსახლებამ საქართველოში მცხოვრებ მთიელ ტომებთან კონფლიქტური ვითარება შექმნა, რომლის დროსაც სექტანტების შეიარაღება მეფის ხელისუფლების მიერ განხორციელდა. კანადაში სექტანტების გადასახლება 1899 წლის ბოლოს განხორციელდა. მათი რაოდენობა 7500 ადამიანს შეადგენდა.[28]

სექტანტებმა, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან განთავისუფლების პირობებში, კანადის ხელისუფლებისადმი მასშტაბური დაუმორჩილებლობა 1906 წელს განახორციელეს, როდესაც მათ სამეფო გვირგვინის ერთგულებაზე, თავიანთი ფირმების, როგორც კერძო პირად რეგისტრაციის შესახებ უარი განაცხადეს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირებით სექტა სამ ნაწილად გაიყო, რამაც ერთიანობის თვალსაზრისით მათი დამაზიანებელი ზემოქმედება შეამცირა და ციმბირში გა-

---

[27] Н.Крылов. „Духоборы Александру Первому." www.melitopol.net. (В.Сомин. „Духоборы." http://chri-soc.narod.ru/duhobor.htm);

[28] „Brève histoire des Doukhobors au Canada. Les origines." www.ertatcrg.org;

დასახლებაში მყოფი სექტის ლიდერი ამ პერიოდისათვის კანადაში იმყოფებოდა. მაშინ სახეზეა რუსეთის იმპერიის მხრიდან წარმატებული სადაზვერვო, კანადის ხელისუფლების მხრიდან კი კონტრსადაზვერვო ორგანიზების მნიშვნელოვანი სეგმენტები.

წარუმატებლობად უნდა მივიჩნიოთ:

- რუსეთის იმპერიის სადაზვერვო სამსახურის მხრიდან კონფლიქტში არასწორი მანევრირება, რომლის შედეგადაც სექტანტებს საკუთრება ჩამოერთვათ. რომელიც რეალიზაციას დაექვემდებარა.

  ამასთან ერთად, ინსპირირებული იქნა კანადიდან მათი ემიგრაციის პროცესი. რაც სადაზვერვო შეღწევადობის ხარისხის შემცირების მაინსპირირებელ გარემოებად, ან ამ მიმართულებაზე ოპერატიულ-აგენტურული მისიის დასასრულად უნდა მივიჩნიოთ.

- სექტანტების ქვეყანაში ჩამოსახლების მიზანშეწონილობის შესახებ კანადის სადაზვერვო სამსახურს არ გააჩნდა სადაზვერვო ინფორმაცია, ან ხელისუფლებამ მათი ემიგრაციის შესაფერხებლად მიზანმიმართულად არ გამოიყენა დუხობორების დამაზიანებელი ქმედების შესახებ წინმსწრები სადაზვერვო მონაცემები.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის გაფართოების მნიშვნელოვან პირობად უნდა მივიჩნიოთ, გასული საუკუნის დასაწყისში ემიგრანტი რუსი დუხობორების მიერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში

სექტის: „სახარების რწმენის ქრისტიანები“ (იგივე „ორმოცდაათიანელები“) ჩამოყალიბება, რომლის ორგანიზაციული საქმიანობას სხვა სექტების მიერთების მცდელობებსაც მოიცავდა.



დუხობორთა შიშველი პროტესტი აშშ-ი (1905-1921)[29]

სახეზეა:

- ✓ სექტის მხრიდან სამეფო ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა, იარაღით სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმით, პროტესტის ნიშნად ცეცხლსასროლი იარაღის დაწვის ორგანიზება;
- ✓ სექტის მხრიდან იმპერიაში ტრადიციული, დომინანტი რელიგიის საწინააღმდეგო საქმიანობა;
- ✓ სექტის დამაზიანებელი ქმედებების დროული გამოვლენის და აღკვეთის მიზნით კონტრსადაზვერვო

[29] „Old Print Articles: The Doukhobors Protest Naked (1905-21).“ May 11, 2014. Urban Studies | Permalink. http://afflictor.com;

(მათ შორის სადაზვერვო) ორგანიზაციით, სადაზვერვო აქციის ემიგრაციის მიზანმიმართული ინსპირიება:

ა) იმპერიას დაქვემდებარებულ გუბერნიაში არსებული ვითარების კონტროლისათვის (კონტრსადაზვერვო ორგანიზაციისათვის), კონფლიქტების ინსპირირებისათვის და წარმატების უზრუნველსაყოფად სექტანტების შეიარაღებითი ორგანიზაცია;

ბ) უცხო სახელმწიფოში სადაზვერვო (კონფლიქტების ინსპირირება, უკანონო ეკონომიკური საქმიანობა) ორგანიზაციისათვის;

✓ დაზვერვას დაქვემდებარეული სახელმწიფოს მხრიდან კონტსადაზვერვო ორგანიზაცია:

ა)სექტანტების განწყობების შესწავლის საფუძველზე სექტანტების ხელისუფლებასთან საკანონმდებლო კომ- 53
ფლიქტში ჩართვის ინსპირირება;

ბ)კონფლიქტის ინსპირირებით სექტანტებს შორის განხეთქილების, ქვეყნიდან ემიგრაციის მიზანმიმართული ორგანიზაცია.

✓ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის გაფართოება სექტის დანაწევრების პირობებში.

☛ანტიმართლადიდებლური მიმართულებისაა მალაკანთა სექტაც, რომელიც XVIII საუკუნეში, რუსეთის იმპერიაში (ტამბოვის გუბერნიაში) ჩამოყალიბდა. სექტის სახელწოდება მარხვის დროს სექტანტების მხრიდან რძის მიღების ტრადიციიდან მომდინარეობს.

სექტანტები უარყოფენ მართლმადიდებლურ წესჩვეულებებს, შეკრებებისას კმაყოფილდებიან საღვთო

წერილების კითხვით, რელიგიური საგალობლების შესრულებით.



მალაკანთა ლოცვა[30]

ამ სექტის დევნა მეფის რუსეთში XIX საუკუნეში დაიწყო და სოლიდური ნაწილის განდევნა საქართველოში[31] (მათ შორის საბჭოთა კავშირის დროს თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში) განხორციელდა.

საბჭოთა კავშირის დროს ისინი უარს ამბობდნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევაზე. მალაკანთა სექტის წევრების ემიგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1905 წელს[32] განხორციელდა. 1917-1926 წლებში სექტანტები პოლიტიკური პოლიციის მკაცრი ყურადღების ქვეშ იყვნენ, ხშირად ნათესავებთან მიმოწერის

[30] „Molokans."www.youtube.com;

[31] „МОЛОКАНЕ." Философская энциклопедия. http://dic.academic.ru;

[32] „Sectarians in America: The "Jumpers."Written by Lillian Sokoloff, AB, 1918, from The Russians in Los Angeles." www.leben.us;

პროცესში სადაზვერვო ინფორმაციების შეკრებაში[33] იყვნენ ბრალდებულნი.



მალაკანთა შვილების პირველი თაობა, რომლებიც აშშ-ი დაიბადნენ 1938 წელი.[34]

სახეზეა:

- ✓ სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებულ და დაუქვემდებარებელ ტერიტორიაზე კონტრსადაზვერვო ორგანიზაციისათვის სექტანტების მკვიდრი ადგილებიდან აყრა, კონკრეტულ ტერიტორიებზე ჩასახლება;
- ✓ სახელმწიფოს მიერ სექტანტების მიზანმიმართული ემიგრაციის ორგანიზება, როგორც სადაზვერვო ორ-

[33] „The 2001 Bechtel Lectures in Anabaptist Mennonite Studies. The Conrad Grebel Review. 2002." https://uwaterloo.ca;

[34] В.ИВАНОВ. „Молокане." 23.03.2004. Из архива Библиотеки Конгресса США. http://amikeco.ru/

განიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება:


- ✓ უცხო ქვეყანაში შეკრებილი სადაზვერვო ინფორმაციის გადაგზავნა წერილების საშუალებით;
- ✓ აგენტურული სადაზვერვო ინფორმაციის მიღების ობიექტებად ნათესავების გამოყენება, რაც დაწყვილებული აგენტურული ორგანიზაციის სეგმენტის არსებობაზე მიანიშნებს;
- ✓ უცხო სახელმწიფოებში (ან უცხო სახელმწიფოებიდან) კორესპოდენციის მიმოქცევის კონტროლი.

☛XX საუკუნეში ასპარეზზე გამოვიდა ანტიმართლმადიდებლური, ოკულტურ-სატანურ მოძღვრებაზე დაფუძნებული რელიგიური ორგანიზაცია „საენტოლოგიის ეკლესია“, რომლის ფუძემდებელი ნარკოტიკების, ხოლო წევრების სოლიდური ნაწილი ფსიქოტროპული საშუალებების აქტიური მომხმარებლები იყვნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებული ორგანიზაცია დიდი ფინანსური შესაძლებლობებით, ქველმოქმედების საფარქვეშ სხვადასხვა ქვეყნებში შეღწევის კარგი ტაქტიკით, პრაქტიკით არის გამორჩეული.

„საენტოლოგიის ეკლესიის“ საკუთრებაში არსებული ჰუმანიტარული, პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო, სამეცნიერო-სასწავლო ცენტრები, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ სადაზვერვო ორგანიზების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. 2004 წლისათვის ცნობილი იყო ამ ორგანიზაციის კუთვნილი, საზოგადოების ჯანმრთელობის, ზნეობრივი და სოციალური

თვალსაზრისით საზიანო საქმიანობის გამტარებელი ორგანიზაციები:



„*საენტოლოგიის ეკლესიის*“ საზიანო საქმიანობის ფაქტები დაფიქსირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, იტალიაში, საბერძნეთში, საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.




საენტოლოგიის ეკლესიის ოფისის წინ, მისი საქმიანობის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია ლონდონში 2008 წელი.[35]

[35] „Anonymous protest against the Church of Scientology – London.“ 12 April 2008 by Clarence Holmes. www.demotix.com;

სწორედ საზიანო საქმიანობა დაედო საფუძვლად ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში (მათ შორის ისეთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში, როგორიცაა საბერძნეთი) ამ ორგანიზაციის საქმიანობის აკრძალვას.

იტალიის პოლიციის მიერ, 2010 წელს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად[36] სპეცსამსახურების სტრუქტურით, ქმედებებით მოღვაწე სექტის: „საენტელოგთა ეკლესიის“ რომის ოფისებიდან ამოღებული დოკუმენტალური მასალებიდან ირკვევა, რომ გროვდებოდა მასალები იმ პირთა შესახებ, რომლებიც სექტის ქმედებებთან დაკავშირებით გამოხატავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას. ინფორმაციების დოკუმენტირება, როგორც ფურცელზე, ისე კომპიუტერული ქსელის მეშვეობით ხორციელდებოდა. შესწავლას ექვემდებარებოდნენ სქემაზე მინიშნებული ობიექტები:



[36]Игорь ШЕРШУН. „У саентологов конфисковали досье на «врагов цер-кви».“ 2010. http://ukrsekta.info/news;

ობიექტების შესწავლის მნიშვნელოვან მიმართულებას მათი ჯანმრთელობის, სექსუალური ცხოვრების, პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის შეგროება წარმოადგენდა, რაც სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის აგენტურული ღონისძიებების ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს სექტა გერმანიაშიც აქტიურად მოღვაწეობდა და მოღვაწეობს.

საინტერესოა სექტის ქმედებათა მიმართულებები სხვადასხვა პერიოდში:[37]

ა) კონკრეტული მიზნების თვალსაზრისით (1987 წლისათვის):

- ,,მედია საშუალებების კონტროლზე აყვანა ან ამ საშუალებების ხელმძღვანელთა ლოიალობის მიღწევა;
- საკვანძო პოლიტიკური ფიგურების კონტროლზე დაქვემდებარება, ან მათი მხრიდან ლოიალური დამოკიდებულების მიღწევა...'';

ბ) შეღწევის თვალსაზრისით (2004 წელი):

- მერია;
- საქალაქო საბჭოს წევრები;
- რელიგიური ლიდერები;
- სავაჭრო პალატა;

[37] „Scientology internal promotion (circa 2004): "Spearheading the Religious Movement with Source"; Church of Scientology International (September 24, 1987): "TARGETS, DEFENSE"." www.xenu-directory.net;

- სახანძრო დეპო;
- პოლიციის სამმართველო;
- ხელოვნების, კულტურის, სასწავლო ცენტრები;
- სავადმყოფოები;
- სასამართლო დაწესებულებები;
- ბიზნესი;

ამ ფაქტის დამადასტურებლად სექტის ორგანიზაციული ქმედებისათვის შედგენილი დოკუმენტები გამოდგება:[38]

HCO PL 16.2.69 IV - 2 -
Reiss. 24.8.87

TARGETS

The vital targets on which we must invest most of our time 60
pre:

T1. Depopularizing the enemy to a point of total obliteration.

T2. Taking over the control or allegiance of the heads or proprietors of all news media.

T3. Taking over the control or allegiance of key political figures.


T4. Taking over the control or allegiance of those who monitor international finance and shifting them to a less precarious finance standard.

T5. Generally revitalizing the societies in which we are operating.

T6. Winning overwhelming public support.

T7. Use all other similar groups as allies.

[38] „Scientology internal promotion (2004): "Spearheading the Reli-gious Movement with Source"; Church of Scientology Inter-national (1987): "TARGETS, DEFENSE"." www.xenu-directory.net;



☛2011 წლის მდგომარეობით, რუსეთის ფედერაციის ქალაქ არხანგელსკში საგანმანათლებო ცენტრში („პრაკსის-კარიერა") დაფიქსირდა მოსწავლეთა (16-30 წლამდე) გადაბირების ფაქტები.[39]

მოსწავლეებს სწავლების კონკრეტული მიზნების დამალვით საგნები ეკითხებოდათ „საინტელოგთა სექტის" დამაარსებლის რონჰაბარდის მეთოდიკის და ნაშრომების მიხედვით.

<u>სახეზეა</u>:

- ✓ *სადაზვერვო საქმიანობაში სექტათა გამოყენების თვალსაზრისით შეღწევადობის მასშტაბების გასაზრდელად აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობისათვის, აგენტურული ქმედებების უზრუნველსაყოფად სექტების საკუთრებაში ჰუმანიტა-*

[39] „Тоталитарная секта вербовала молодежь во Дворце детского творчества в Архангельске. 2012." www.iriney.ru;

რული. პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო, სამეცნიერო-სასწავლო ცენტრების არსებობა;

- ✓ *სადაზვერვო თვალსაზრისით მაღალი და დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელეების, სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო, სტრატეგიული ობიექტების ირგვლივ მონაცემების შეკრება, ამ ინფორმაციების კომპიუტერული ქსელის მეშვეობით დოკუმენტირების პროცესი;*
- ✓ *მედია საშუალებების, საკვანძო პოლიტიკური ფიგურების, აგრეთვე სექტის ქმედებებთან დაკავშირებით უარყოფითი დამოკიდებულებების მქონე პირების კონტროლზე აყვანა, მათი მხრიდან ლოიალობის მიღწევის ორგანიზაციით, რაც სადაზვერვო ორგანიზაციის ხელშემწყობ გარემოებებად უნდა ჩაითვალოს.*

☛გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა თვითმკვლელთა სექტა სახელწოდებით: ,,მზის ტაძრის ორდენი``.

სექტანტთა სწავლება ალქიმიის, მისტიციზმის, ასტროლოგიის, იოგას და კაბალისტიკის სწავლებების საფუძვლებზე იყო დამყარებული. სწავლების პროცესში სექტის წევრებზე ფსიქოლოგიური ზემოქმდება ხორციელდებოდა, რაც მათ თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილს ხდიდა.

სექტანტების იდეოლოგიის მიხედვით, სამყაროს დაღუპვამდე სექტის წევრები ვალდებული არიან გაეცალნონ ამ ქვეყანას, წმინდა ადგილზე მოსახვედრად, თვითმკვლელობა-ცეცხლში დაწვით უნდა განახორციელონ. სექტის ერთ-ერთი ლიდერის მიერ რიტუალური

მკვლელობისას განხორციელდა ჯერ საკუთარი ქალი-შვილის, ხოლო შემდგომ შხამით საკუთარი თავის ლიკვიდაცია. ამასთან ერთად: 1993-1994 წლებში სექტის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა 2 რიტუალურ თვით-მკვლელობასა და 3 რიტუალურ, მათ შორის პატარა ბავშვის მკვლელობას, რადგან მასში ანტიქრისტე ამოიცნეს.[40] 1995 წელს ფრანგულ ალპებში სექტის 16 წევრმა (მათ შორის 1 გოგონა და 2 ბიჭი) განახორციელეს თავის დაწვა.[41]



1994 წლის 4-5 ოქტომბრის ღამეს სექტის წევრთა თვითმკვლელობა შვეიცარიასა და კანადაში.[42]

[40] „Наиболее известные преступления деструктивных культов против общества и личности и самоубийства адептов.“Стр.3; www.azov-sobor.ru;

[41] „Наиболее известные преступления деструктивных культов против общества и личности и самоубийства адептов.“ Стр.2. www.azov-sobor.ru;

[42] „Самые известные массовые самоубийства. Члены религиозного движения «Орден солнечного Храма», Швейцария и Канада.“ www.molomo.ru;

სახეზეა:

- ✓ *სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის მიზნით ტერორიზმის უზრუნველმყოფელი თვითმკვლელების მზადების პროცესი;*
- ✓ *სექტის გავრცელებით სახელმწიფოში დესტაბილიზაციის მასშტაბების ზრდის პერსპექტივა.*

☞სექტის, სახელწოდებით: „აუმსინრი-კიოს“ დაფუძნების ადგილია იაპონია.



სექტის დამფუძნებელია ***შოკო ასახარა.***[43] ქვეყნის მთავრობამ ამ სექტის მოღვაწეობა საზოგადოებრივი უშიშროებისათვის სახიფათოდ მიიჩნია და აკრძალა კიდეც. სექტის წევრთა (400-მდე დაკავებული) მიერ:

- დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისათვის;
- მკვლელობების ორგანიზებისათვის;
- ნერვო-პარალიტიკური მომწამვლელი გაზის მასობრივი წარმოებისათვის აუცილებელი მსხვილი ფაბრიკის მშენებლობისათვის;
- გატაცებების ორგანიზებისათვის;
- თვითმკვლელობების (ტოკიოს მეტროში მომწამვლელი გაზის-ზარინის გაშვებით)[44] ადამიანთა მასობრივი დაღუპვის ორგანიზებისათვის;

---

[43]ДЕНИС СИНЯКОВ. „Культы, повергающие в ужас.“ http://big picture.ru;

[44]„Holly Fletcher Aum Shinrikyo (Japan, cultists, Aleph, Aum Supreme Truth).“ www.cfr.org;



1995 წლის 20 მარტს სექტანტების მიერ, ნერვო-პარალიტიკური გაზით: „ზარინის" ტოკიოს მეტროში გაშვებით დაიღუპა 11, ხო-ლო სულ დაზარალდა 3,7 ათასი ადამიანი.[45]


- ბაქტეოროლოგიური იარაღის დამზადებისათვის:

აკრძალვის, სექტის წევრების მასობრივი დაპატიმრების მიუხედავად, იაპონიაში სექტის საქმიანობა კონსპირაციულად კვლავ გაგრძელდა. 2004 წლის მდგომარეობით სექტამ რუსეთის ფედერაციაში შეაღწია. *სახეზეა*:

- ✓ *სადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით უცხო ქვეყნებში სექტის ორგანიზებული ექსპორტით დესტაბილიზაციასთან ერთად მოსახლეობის მასობრივი მოწამვლის ორგანიზება;*
- ✓ *ტერორისტული ორგანიზაციის კუთხით სექტის მხრიდან სამეცნიერო მუშაობის ორგანიზების შესაძლებლობა;*

[45] „История и обществознание."http://vk.com;

☛სექტა „შემოქმედებითი ინტელექტის მეცნიერება“ ინდოეთში 1958 წელს ჩამოყალიბდა. მისი დამფუძნებელი მახარიში იოგი, იგივე მახეშ პრასად ვარმა იყო.[46] დღეის მდგომარეობით, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში სექტის 400-მდე სასწავლო ცენტრია, საიდანაც მოხდა კიდეც სექტის გავრცობა, განვითარება. სპეციალისტების მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, სექტის წევრებს სჯერათ, რომ რიტუალური მედიტაციის საშუალებით დემონურ ძალებს უკავშირდებიან. ამით სულიერ სიმშვიდეს იპოვებენ. სექტის ლიდერების გამოქვეყნებული პროგრამების მიხედვით კონკრეტული თანხების გადახდის შემთხვევაში (3000-5000 აშშ დოლარი) მათ შეუძლიათ ადამიანები ზებუნებრივ ძალებს დაუკავშირონ. ამ საქმიანობიდან სექტის ლიდერის შემოსავალი 20 000 000 დოლარამდე გაიზარდა. აღნიშნული სექტის სამედიტაციო, სასწავლო ცენტრები ფუნქციონირებენ სქემაზე მინიშნებულ ქვეყნებში:



[46] „Секта Махариши Махеш Йоги "Трансцендентальная медитация"" www.k-istine.ru;

ამასთან ერთად, რუსეთის ფედერაციასა და სომხეთში 12000 ადეპტი (ამა თუ იმ მოძღვრების თავგამოდებული მიმდევარი)[47] მოღვაწეობს.

სექტის მიზანს სამხედრო დანაყოფებში, ციხეებში, ბიზნესში, კერძო სკოლებში შეღწევა წარმოადგენს,[48] რაც სადაზვერვო მიზნების აღსრულებისათვის საუკეთესო პირობაა.

<u>სახეზეა</u>:

- ✓ *სადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით მედიტაციის პირობებში სექტის მიერ მასშტაბური ინფორმაციული (მ.შ. კონტრსადაზვერვო) უზრუნველყოფის შესაძლებლობა;*
- ✓ *უცხო სახელმწიფოებში სამედიტაციო, სასწავლო ცენტრების ფუნქციონირების ორგანიზებით ინფორმაციული (მათ შორის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო) უზრუნველყოფის მასშტაბების გაზრდა;*

☛დესტრუქციულ სექტათა რიცხვს ჩამოთვლილის გარდა შეგვიძლია მივაკუთნოთ: რუსეთის ფედერაციაში (მომრავლებული სატანისტური სექტები)[49] მოქმედი:

- „რუსეთის სატანური ეკლესია";
- „სამხრეთის ჯვარი";

---

[47] „ეკლესიის სტრუქტურა ლექსიკონი". ტომი I. გამომცემლობა შპს „კენარი", 2001;

[48] „Для йогических полетов ангелы обмана запросили 200 гектаров воронежской земли // Воронеж Православный, май 1997 г. - №2-3. Секта Махариши Махеш Йоги "Трансцендентальная медитация"." www.k-istine.ru;

[49] „SATANISM FLOURISHING IN RUSSIA."www.wnd.com;

- „შავი ანგელოზი“;
- „შავი დრაკონი“;

აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი:

- „დრუიდების საერთაშორისო საზოგადოება“ (5 მილიონამდე წევრი).

ამ სექტებს შორის მსგავსება შეინიშნება უამრავი სახის ბოროტების პატივისცემაში, ხოლო გარკვეული განსხვავებებია გაწევრიანებისა და მსხვერპლთშეწირვის რიტუალების თვალსაზრისით.

სექტის მიმდევრები თვლიან, რომ სატანა ყველაზე ძლიერია, ცხოვრება ძალადობის გარეშე არაფერია. ამ მოტივებით სექტის წევრები მონაწილეობენ აღვირახსნილ ორგიებში, ცხოველების, ადამიანების, მათ შორის ჩვილ ბავშვთა რიტუალურ მსხვერპლშეწირვებში, ტრადიციული რელიგიების სხვადასხვა ფორმით შეურაცყოფაში.

სატანისტთა მიმდევრები საქართველოშიაც არიან შემოჭრილები და ადამიანთა გარკვეულ კატეგორიაზე საკმაოდ კონსპირაციულად ზემოქმედებდნენ.

<u>სახეზეა</u>:

- ✓ *სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების თვალსაზრისით ისეთი პროცესის მართვის ალბათობა, როგორიცაა მასობრივი არეულობა;*
- ✓ *ქვეყანაში ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობის ზეგავლენის შემცირების მიზანმიმართული ქმედებები;*
- ✓ *ე.წ. სექტის წევრთა გადაბირების პროცესის სიმყარისათვის შემდგომი კომპრომენტაციის, შიშის ინს-*

პირირებისათვის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულობებში მონაწილეობის პროცესის ორგანიზება.

☛სექტის ,,ერთადერთი რელიგიის" (,,ოშო") მოძღვრება ემყარება ტანტრიზმს (ყველაფერი ნებადართულია), რომელიც დაფუძნებულია შავ მაგიაზე, სექსუალურ ორგიებსა და ნარკოტიკების სისტემატიურ გამოყენებაზე, ადამიანის მსხვერპლად შეწირვაზე.

პრაქტიკულ საქმიანობაში სექტა მედიტაციურ ტექნიკას იყენებს.

ინდოეთის სხვადასხვა ქალაქებში ფუნქციონირებენ მედიტაციური ბანაკები, სადაც ნაქადაგები, აქტიური პროპაგანდისათვის წიგნების სახით, უცხო ქვეყნებში ვრცელდება.

<u>სახეზეა</u>:

- ✓ *სადაზვერვო ორგანიზაციისათვის მასობრივი არეულობისის ინსპირირება, მართვის ალბათობის მაღალი დონე;*
- ✓ *სექტის წევრთა მყარი გადაბირების უზრუნველსაყოფად ე.წ. კანდიდატების სისხლის სამართლის მძიმე ორგანიზებულ დანაშაულობებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.*

☛,,ვაჰაბისტების" სექტა პოსტსაბჭოურ სივრცეში წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს (ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოს) საუდის არაბეთიდან გავრცელდა. არსებობს არაუსაფუძვლო მოსაზრება ინგლისის სახელმწიფოს (აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფო) მიერ

სექტის სადაზვერვო აქტიურობის მიზნით ჩამოყალიბების[50] შესახებ.



ვაჰაბისტები[51]

სექტანტები გამოირჩევიან ფანატიზმით, დაუნდობლობით, ექსტრემიზმით. ისინი ებრძვიან ყოველგვარ სიახლეს, რაც ისლამს უკავშირდება.

ამ მიზნით ისინი ყოველ ურწმუნოსთან წინააღმდეგ ბრძოლას (ჯიჰადი) ახორციელებენ, მათ შორის ტერორიზმის კუთხით.

სექტანტები ფიქსირდებიან რუსეთის ფედერაციაში და საქართველოში. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებიდან [მათ შორის, რუსეთის ფედერაციიდან (სამხრეთ კავკასია, ვოლგისპირეთი, ციმბირი)][52] ვაჰაბისტების ექსპორტი განხორციელებული იყო სირიის კონფლიქტში. სექტის წევრების მხრიდან ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ჯაშუშობის ფაქტებიც (მათ შო-

[50] „Memoirs Of Mr. Hempher, The British Spy To The Middle East [part 1].“ www.surrenderingislam.com;

[51] Владимир Ефимов. „Что такое Ваххабизм, кто такие ваххабиты?“ www.iran.ru;

[52] „В Поволжье Возвращаются Ваххабиты, Воевавшие В Сирии.“ http://irsolo.ru;

რის სერბეთის პრემიერ-მინისტრზე ოპერატიული თვალთვალი)[53] დაფიქსირდა.

<u>სახეზეა</u>:

- ✓ *სადაზვერვო ორგანიზაციის გაფართოების მიზნით სტრატეგიულად პარტნიორი ქვეყნების ტერიტორიებზე სექტის ჩამოყალიბების, დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში მათი ექსპორტის ღონისძიებები;*
- ✓ *სექტანტების ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობა. რაც სადაზვერვო ზემოქმედების ხარისხის ზრდის ხელშემწყობ გარემოებად უნდა ჩაითვალოს;*

- ✓ *მსოფლიოში დომინანტის როლისათვის მებრძოლი სახელმწიფოების მიერ აქტიურ დაზვერვას დაქვემდებარებულ ქვეყანაში ინსპირირებულ სამოქალაქო დაპირისპირებაში სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები სექტანტების სადაზვერვო მიზნებით ექსპორტის ორგანიზება;*

- ✓ *სექტანტების უშუალოდ ჯაშუშურ (ოპერატიული თვალთვალი, სახელმწიფოს მაღალი რანგის თანამდებობის პირზე) ქმედებებში მონაწილეობა.*

☛„იეჰოვას“ სექტა ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიაში, ქალაქ ბრუკლინში 1852 წელს

[53]Rade Segrt. „Bosnian security officials comment on report about Wahhabis spying on Serb PM.“ www.accessmylibrary.com;

ჩამოყალიბდა. დიდი ფინანსური უზრუნველყოფის პირობებში სექტამ გავრცელება ევროპის, აზიის და ამერიკის ბევრ ქვეყანაში პოვა.

სექტის მოძღვრების თანახმად, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს „იეჰოვა“ წარმოადგენს. ისინი მიიჩნევენ, რომ იესო ქრისტე დედამიწას 1915 წელს დაუბრუნდა, რათა დამყარებულიყო ათასწლიანი მეფობა და მომზადებულიყო ე.წ. არმაგედონის ბრძოლა სინათლესა („იეჰოვას“ მოწმეები) და სიბნელეს (სხვა დანარჩენ ხალხს და ქვეყნებს) შორის.

სექტანტები უარყოფენ წმინდა სამებას, საიდუმლოებებს, ხატებს, მღვდლობას, ტაძრებს და მონასტრებს. ისინი ერთ ღმერთში სამი ღმერთის (მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა) არსებობას აღიარებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ქრისტე მკვდრეთით აღდგა არა სხეულში, არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც სული.

ნაცისტური დიქტატურის და კომუნისტური გერმანიის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) პირობებში „იეჰოვას მოწმეები“სახელმწიფოსათვის სახიფათო რელიგიურ მიმდინარეობას წარმოადგენდნენ. ნაცისტების მიერ იეჰოვას მოწმეების მასშტაბური შევიწროება, სექტის 80 ავტორიტეტული მქადაგებლის[54] დაკავებით დაიწყო.

1950 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (საბჭოთა კავშირის სტრატეგიული პარტნი-

[54] „Kriegsverbrecher, verrecke (CHRISTENVERFOLGUNG).“ DER SPIEGEL 37/ 1950. www.spiegel.de;

ორი) აღნიშნული სექტის საქმიანობის აკრძალვის[55] ძირითად მიზეზად მათი მხრიდან რელიგიის საფარქვეშ (საბჭოთა ბლოკის მოწინააღმდეგე სახელმწიფოების) ამერიკის შეერთებული შტატების და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობა სახელდებოდა.

სექტის მოღვაწეობის არეალი 203 ქვეყანას მოიცავს, სადაც აქტიური პროპაგანდისტული ციკლის უზრუნველსაყოფად მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულ ლიტერატურას უფასოდ, წარმატებით ავრცელებენ.

სექტანტთა სიჭარბით გამოირჩევა რუსეთის ფედერაცია და საქართველო.

1996 წელს რუსეთის ფედერაციაში, „იეჰოვას" სექტის წევრის მიერ, მოძღვრების საფუძველზე ექიმს არ დართო ნება, დიდი ოდენობით დაკარგული სისხლის სანაცვლოდ თავისი შვილისათვის სისხლის გადასხმაზე, რის გამოც იგი გარდაიცვალა.

ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ქონდა საქართველოში (ცაში გაფრენის შესაძლებლობებში დარწმუნებული „იეჰოვას" სექტის წევრები გორიჯვრის ციხიდან გადმოხტნენ, რის შედეგადაც სხვადასხვა სიმძიმის და-ზიანებები მიიღეს) და სხვა ქვეყნებშიც (ტყუპების დაბადების შემდგომ სისხლის გადასხმაზე უარის თქმის გამო დედა გარდაიცვალა). 2007 წელს დიდ ბრიტანეთში ანალოგიური პრობლემის გამო 17 ქალბატონი

[55]Hubert Roser, Mannheim, Hans Hesse, Göttingen. „Die Zeu-gen jehovas unter der NS-und der SED-Diktatur." http://hsozkult.-geschichte.hu-berlin.de;

გარდაიცვალა.[56]2006 წლის დეკემბერში აზერბაიჯანში[57] კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის დააკავეს „იეჰოვას“ სექტის წევრები დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, რუსეთის და საქართველოს მოქალაქეები. ოფისში ჩხრეკვის შედეგად სხვა ნივთებთან ერთად, სპეცსამსახურების გამოყენების არეალში არსებული სატელიტური კავშირგაბმულობის უზრუნველმყოფი მინი „ATC“ იყო ამოღებული.

საინტერესოა ამ სექტის საქართველოში საქმიანობის ზოგიერთი ასპექტის განხილვა.

თ.ენდელაძის მოგონებით,[58] საქართველოში ეს სექტა ფეხს იკიდებდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან აფხაზეთში, შიდა ქართლში, შემდეგ თითქმის მთელ საქართველოში.

სოხუმსა და ფოთის პორტებში, პერიოდულად არალეგალურად, შემოჰქონდათ ტონობით ლიტერატურა განსაკუთრებით გააქტიურდნენ, რაც სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, აფხაზეთში კი არძინბას რეჟიმმა აკრძალეს მათი საქმიანობა.

სექტანტებმა დაიწყეს შეღწევა სახელმწიფო სტრუქტურებში (პროკურატურა, სასამართლო), მრა-

[56]LIZ HULL, ANDY DOLAN and DAN NEWLING. „Jehovah's Witness mother dies after refusing blood transfusion after giving birth to twins.“ www.dailymail.co.uk;

[57]„Азербайджанские спецслужбы арестовали лидеров секты иеговистов.“ http://rusk.ru;

[58]თ.ენდელაძე-ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გენერალმაიორი, სპეციალისტ-ანალიტიკოსი სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების საკითხებში (პირადი საუბარი, წერილობითი ინფორმაცია);

ვალრიცხოვანი, დემონსტრაციული ყრილობების გამართვა მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

უშიშროების ორგანოების მიერ ფიქსირდება ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის მიერ სანკტ-პეტერბურგში (რუსეთის ფედერაცია) სადაზვერვო ინფორმაციის გაგზავნის ფაქტები.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში „იეღოვას მოწმეთა“ რიგები სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარების მიზნით, ძირითადად ივსებოდა იმ ქართველი და სომეხი ეროვნების მოქალაქეების ხარჯზე, რომლებსაც საზღვარგარეთ (აშშ, კანადა, ავსტრალია და ისრაელი) ემიგრირების სურვილი ქონდათ“.[59] საქართველოდან ემიგრირებული მოქალაქეების აბსოლიტური უმრავლესობა უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობისათვის იღწვოდა და უკან მობრუნებას ნაკლებად ფიქრობდა.

სექტის წევრების ერთ-ერთი ოფისი მდებარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო რადიო გადამცემის შენობის მეორე სართულზე, რომლის შესახებაც სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელმა არაფერი იცოდა. თუმც არსებული დოკუმენტალური მასალები (ამ საქმეში მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირგაბმულობისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარის გიორგი კალანდაძის,[60] აგ-

[59] „ეკლესია და სახელმწიფო. ისტორიული რელიგიები საქართველოში“. www.patriarchate.ge:

[60] ნ.გერმესაშვილი.„შარაძის ახალი ბრალდებები სექტანტები და...სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ.“ გაზეთი: „დილის გაზეთი“, 23 აგვისტო 2000. http://guramsharadze.Wordpress.com;

რეთვე რუსეთის და უკრაინის მოქალაქეების, ბორის ივანოვისა და თედორე შინდრიკის აქტიურობა)[61] საპირისპიროს ამტკიცებენ.

სახეზეა:

- სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციას შორის დისბალანსის ხელშემწყობი გარემოებები:

- ✓ სექტაში გაწევრიანებით პირადი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამოსწორების მოტივით მოქალაქეების უცხო სახელმწიფოებში ემიგრაციის - ე.ი. იაფი მუშა-ხელის, ინტელექტის, ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის, სამეცნიერო პოტენციალის გადინების ინსპირირება.

- ✓ სათანადო აპარატურით სექტის აღჭურვის შემთხვევაში, რადიოდაზვერვის აქტიური ქმედებების კონტროლის გამარტივება, ამ ქმედების ორგანიზებაში სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის ალიანსი, ე.ი. კონტრსადაზვერვო უმოქმედობა.

☛ *1999 წელს ჩინეთში*. ეროვნული უსაფრთხოებისათვის საშიში ქმედებების ორგანიზაციის გამო აიკრძალა სექტა სახელწოდებით: *„ფალუნგუნი.“*[62]

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა სექტის მიერ განხორიელებული ქმედებები:[63]

---

[61] „შარაძის მორიგი გამარჯვება.“გაზეთი: „ალია“, 26 სექტემბერი. 2000. http://guramsharadze. wordpress.com;

[62] „FALUNGONG.“ http://factsanddetails.com;

- ✓ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შეკრება, უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა;
- ✓ უკანონო სამეწარმეო საქმიანობა;
- ✓ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობით სახელმწიფოს დესტაბილიზაციის პროცესების ხელშეწყობა.

<u>სახეზეა</u>:

- ✓ სექტის ჯაშუშური საქმიანობით სახელმწიფოს ეკონომიკის საზიანო ორგანიზაცია;
- ✓ სექტის მხრიდან პოლიტიკურ სექტორში შეღწევის, მართვის ორგანიზაცია:

☛2007 წლისათვის რუსეთის ფედერაციაში 300-500-მდე სექტა მოღვაწეობდა. დესტრუქციულ, ოკულტულ რელიგურ ორგანიზაციებში 1 მილიონი ადამიანი იყო (70%-ახალგაზრდები 18-27 წლამდე)[63] გაერთიანებული.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის კუთხით სექტების მიერ განხორციელებულ მასშტაბურ ქმედებებს შორის გამორჩეულია:

- ➢ *სექტის მხრიდან ეკონომიკურ სტრუქტურებში შეღწევადობის ორგანიზება (რაც სადაზვერვო აგენტურულ-ოპერატიული შეღწევადობის საფუძველია);*
- ➢ *სექტის მხრიდან ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდების ორგანიზაცია (რაც სახელმწიფოზე სა-*

---

[63] „Культы Восточного Направления Фалуньгунь." www.lib.eparhia-sara-tov.ru;

[64] Алексей Боковов Методы контроля сознания в деструктив-ных культах. http://www.k-istine.ru;

დაზვერვო კონტროლის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა);

- სექტის მხრიდან სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენა (რაც დაინტერესებული სახელმწიფოს მხრიდან. მასშტაბური არასამართლიანი გადაწყვეტილებების ორგანიზაციის შემთხვევაში. მასობრივი პროტესტის, არეულობის ძირითადი საფუძველი ხდება. რაც შესაძლოა სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების რღვევას დაუკავშირდეს);

<u>ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:</u>

თუ გავითვალისწინებთ, რომ ძლიერი ქვეყნების სპეცსამსახურები გარკვეულ ტერიტორიებზე (სახელმწიფოებზე) კონტროლის უფლების მოსაპოვებლად რელიგიური, ეთნიკური კუთხით კონფლიქტების ინსპირირებას მიმართავენ, სექტათა ოპერატიული თვალსაზრისით არაკონტროლირებადი საქმიანობა ქვეყნის კონსტიტუციური რღვევის საფუძველი შეიძლება გახდეს.

რაკი უცხო სახელმწიფოებს საქართველოში გააჩნიათ კონკრეტული ინტერესები. რელიგიური კუთხით (მათ შორის სექტათა მონაწილეობით) ჩვენს ქვეყანაში წარმოქმნილი კონფლიქტები ამ ინტერესებთან დაკავშირებულ კონფლიქტთა კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთნოთ.

2.1 რელიგიური [სექტანტური] ხასიათის ჯაშუშობის (სადაზვერვო) ორგანიზების კლასიფიკატორი

ოპერატიულ-ოპერაციული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

ჩ წარმატებული სადაზვერვო ზედამხედველობისათვის ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლს დაქვემდებარებული ახალი ან არსებული რელიგიური მიმდინარეობის ობიექტ სახელმწიფოში მასშტაბური გავრცობის ორგანიზება;

ჩ ოპერატიულ-აგენტურული შეღწევადობისათვის დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში მოღვაწე რელიგიურ მიმდინარეობებში მოწყვლადი ადგილების დადგენის ორგანიზება;

ჩ დაზვერვას დაქვემდებარებულ ეროვნულ ან რელიგიურ სახელმწიფოში დომინანტი რელიგიის პოზიციების რღვევის ორგანიზება;

ჩ ოპერატიულ-აგენტურული შეღწევადობით რელიგიური მიმდინარეობებსა და განშტოებებში, სისტემატიურობით გამორჩეული ახალი აგენტურული ქსელის ორგანიზება;

ჩ დაბალი ან მაღალი ხარისხის სადაზვერვო ხასიათის ოპერატიულ-აგენტურული შეღწევადობით რელიგიური მიმდინარეობების, ორგანიზაციების და კონფენსიების, მორწმუნეთა (წევრთა) და სასულიერო პირების (ლიდერების)

განწყობების შესახებ ინფორმაციების სისტემატიურ რეჟიმში შეკრების ორგანიზება;

ჰ) მზვერავი სახელმწიფოს კონტროლქვეშ, ოკუპაციას დაქვემდებარებულ ან დაპირისპირებულ (მათ შორის საომარ მოქმედებებში მყოფ) სახელმწიფოებში აკრძალული რელიგიური მიმდინარეობის საქმიანობის აღდგენის და გააქტიურების პროცესის ხელშეწყობა;

ზ) მზვერავი სახელმწიფოს ორგანიზებით დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ სასურველი რელიგიური ჯგუფის მხარდაჭერისათვის რელიგიური ხასიათის ლიტერატურის კონტრაბანდის ინსპირირების და გააქტიურების ორგანიზება, მათ შორის ამ მიზნის და ამოცანის განსახორციელებლად სახელმწიფოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება;

თ) დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში რელიგიური მიმდინარეობების საგანმანათლებლო ობიექტების ფუნქციონირებაზე ხელშეწყობის სადაზვერვო ორგანიზება;

ი) მზვერავი სახელმწიფოს სტრატეგიულად პარტნიორ სახელმწიფოში დომინირებადი რელიგიური მიმდინარეობის გამოყენებით მოწინააღმდეგე სახელმწიფოს წეს-წყობილების საწინააღმდეგოდ მოქმედ რელიგიურ გართიანებაში

აგენტურული შეღწევადობის ორგანიზება (სახელმწიფოთა სადაზვერვო კოორდინაცია);

ზ) სადაზვერვო ხასიათის გადაბირების მასშტაბურობის ორგანიზებისას, ობიექტი ქვეყნის დომინირებადი რელიგიური მიმდინარეობის ზეგავლენის დასუსტების მიზნით კომპრომეტაციის და რწმენის შეცვლის მაპროვოცირებელი მეთოდების გამოყენება;

თ) მზვერავი სახელმწიფოს ორგანიზებით, ობიექტი სახელმწიფოს იმიჯის მიზანმიმართული კომპრომენტაციისათვის რელიგიური ტოლერანტობის პროცესის რღვევის ინსპირირება რადიკალური რელიგიური მიმდინარეობის მხრიდან ტერორისტული ქმედებების პროვოცირებით;

ი) მზვერავი სახელმწიფოს მხრიდან, საკუთარი სახელმწიფოს ფინანსების დაზოგვის, სადაზვერვო ქმედებების და დაფინანსების წყაროების შენიღბვის მიზნით, ობიექტი ქვეყნის საზღვარზე მოწყვლადი ადგილების შესწავლის ორგანიზება, ყალბი დოკუმენტებით მოქალაქეთა აღჭურვის, იარაღის კონტრაბანდის და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ინსპირირებისათვის, ან უკვე არსებულის მასშტაბების გასაზრდელად;

ხ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციული უზრუნველყოფის და ოპერაციული (მათ შორის ტერორისტული) ქმედებების მნიშვნელოვანი წარმატების საწინდარი სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი პირის ახლო გარემოცვაში შეღწევის ორგანიზება;

ხ მზვერავი ქვეყნის კონტროლს დაქვემდებარებული რელიგიური სექტების გავრცო-ბის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, ობიექტ ქვეყანაში ჰუმანიტარული, პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო, სამეცნიერო-სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბების და გაფართოების (მათ შორის მედიტაციის პირობებში მასშტაბური სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციული უზრუნველყოფის) ორგანიზება;

ხ დაზვერვას დაქვემდებარებული სექტის წევრების მეშვეობით კონკრეტული პირების, პირთა ჯგუფების, ობიექტი სახელმწიფოს სტრატეგიული და სასიცოცხლო სტატუსის მქონე ობიექტების შესახებ მონაცემების შეკრების ორგანიზება;

ხ დაზვერვას დაქვემდებარებული სექტის წევრების მხრიდან ობიექტ ქვეყანაში, სექტისადმი უარყოფითად განწყობილი პირების კონტროლის, საჭიროების შემთხვევაში კომპრომეტაციის ორგანიზება, ამ მიზნებით მასმედიის გამოყენება;

ჰ) სადაზვერვო მიზნების აღსრულებისათვის, ობიექტ ქვეყანაში სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული სექტის საფარქვეშ ტერორისტული მიზნებისათვის სექტანტთა თვითმკვლელებად ჩამოყალიბების პროცესის ორგანიზება;

ჰ) მზვერავი სახელმწიფოს მხრიდან, ობიექტ ქვეყანაში სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული სექტის წევრთა ზრდადობის უზრუნველყოფით სადაზვერვო ხასიათის მადესტაბილიზირებელი პროცესების (მასობრივი პროტესტის მასობრივ არეულობაში გადაზრდის, მასობრივი მოწამვლის და ა.შ. პროცესების) მართვის ორგანიზება;

ჰ) მზვერავი სახელმწიფოს მხრიდან ობიექტ ქვეყანაში სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული სექტის წევრთა გადაბირების პროცესის სიმყარისათვის, კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის სასურველი განწყობის (შემდგომი კომპრომენტაციის და შიშის) ინსპირირებისათვის, მათი ორგანიზებულ დანაშაულებრივ ქმედებებში მიზანმიმართულად ჩართვის პროცესის ორგანიზება;

ჰ) მზვერავი სახელმწიფოს ორგანიზებით და კონტროლით, წარმატებული ინფორმაციული უზრუნველყოფის და ოპერაციული ციკლის

განხორციელებისათვის ხელსაყრელი ციკლის ინსპირირებისათვის სადაზვერვო კოორდინაციის ფარგლებში სტრატეგიულად პარტნიორი ქვეყნების ტერიტორიებზე სექტის ჩამოყალიბა-სწავლების და ობიექტ სახელმწიფოებში მათი ექსპორტის ორგანიზება;

ბ მზვერავი სახელმწიფოს კონტროლქვეშ, ობიექტ ქვეყანაში სადაზვერვო მიზნებით მოღვაწე სექტის წევრების საკუთარი სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ უცხო სახელმწიფოებში ემიგრაციის-ე.ი. იაფი მუშახელის და ინტელექტის გადინების, ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის, სამეცნიერო პოტენციალის შემცირების ორგანიზების ინსპირირება, ან არსებულის გაფართოება;

გ მზვერავი სახელმწიფოს ორგანიზებით, ობიექტ ქვეყანაში სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული სექტის ჯაშუშური ქმედებების რადიოდაზვერვის უზრუნველმყოფი აპარატურით აღჭურვის ორგანიზება;

დ მზვერავი სახელმწიფოს მიერ, ობიექტ ქვეყანაში სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული სექტის წევრთა სახელმწიფო და პოლიტიკურ სექტორში შეღწევის, მართვის, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური ბერკეტების ხელში ჩაგდების ორგანიზება;

ხ) მზვერავი სახელმწიფოს მიერ, ობიექტ ქვეყანაში სადაზვერვო კონტროლს დაქვემდე- ბარებული სექტის წევრთა გამოყენებით, სასა- მართლო სექტორში შეღწევის უზრუნველყო- ფით არასამართლიანი გადაწყვეტილებების მი- ღების პროვოცირება, მისი მასშტაბების გაზრდა, მასობრივი პროტესტის, არეულობის, ხოლო დასკვნით ეტაპზე სახელმწიფოს კონსტიტუციუ- რი წყობილების რღვევის ორგანიზება;

3. ოპერატიულ-აგენტურული ორგანიზაცია სასულიერო პირების კონტროლის მიზნით

3.1. საქართველო, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

ისტორიული პროცესების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ხელსაყრელ დროსა და პირობებში სადაზვერვო ხასიათის ოპერატიულ-აგენტურული და ოპერატიულ-ოპერაციული ქმედებებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- მზვერავი სახელმწიფოს მიერ, ხელისუფლების, არსებული წეს-წყობილების, კონკრეტული პირის კომპრომეტაციისათვის დეზინფორმაციის (ჭორების) გავრცელება;
- ეროვნულ სახელმწიფოში, მზვერავი სახელმწიფოს ეთნიკური, ან რელიგიური ნიშნით თანხვედრილ ჯგუფებში სახელმწიფოს ძირძველი მოსახლეობის საწინააღმდეგო განწყობების ორგანიზება დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს შიგნით ან საერთაშორისო არენაზე;

ამ მიმართულებით საყურადღებოა რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიასთან.

იმპერიის საზღვრების მყარი კონტროლისათვის საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის უფლებების ე.ი. დამოუკიდებელი მართვის და გამგეობის შეკვეცა აუცილებელი გახდა.

რუსეთის საიმპერიო კარზე (ე.ი. სპეცსამსახურებში) დაგეგმილი სპეციალური ღონისძიებების უზრუნველ-

საყოფად ავტოკეფალიის დაკარგვას 1811 წელს საქართველოს საეგზარქოსოს ჩამოყალიბება მოჰყვა.

ქართველი ეგზარქოსის ვარლამის ექვსწლიანი მართველობის შემდგომ, ამ ინსტიტუტის გაუქმებამდე რუსეთის საიმპერიო კარი, საქართველოში ყოველთვის რუს ეგზარქოსებს აგზავნიდა.

ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცეული საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ მსგავსი მეთოდოლოგია კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფისათვის იყო გამოყენებული.

ამავე ხასიათის აგენტურულ-ოპერატიული კონტროლის დამადასტურებელია რუსეთის საიმპერატორო კარის, საერო, სასულიერო პირების მხრიდან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებული ისეთი ქმედებები, როგორიცაა:

ა)*სასულიერო პირებზე ჭორების გავრცელება და მათი კომპრომეტაცია:*

- ✓ {„1875 წელს გაბრიელ ეპისკოპოსს *მიზანმიმართულად ბრალად დასდეს* ქუთაისისა და გელათის *ეკლესიების სიძველეთა მოპარვა;*

- ✓ ვიდრე სიმართლე გაირკვეოდა მაშინდელ *პრესაშიც, სასულიერო წრეებშიც და ხალხშიც ათასგვარი მითქმა-მოთქმა თუ ჭორი გავრცელდა.* დაინიშნა გამოძიება, შეიქმნა კომისიები...საბო-

ლოოდ გაირკვა ბრალდების სრული სიყალბე.“[65]

[*სახეზეა:* სადაზვერო ხასიათის დეზინფორმაციული პროცესის ორგანიზება პროპაგანდისტული ორგანოს, უახლესი გარემოცვის მონაწილეობით, გავრცელების მასშტაბების გასაზრდელად, ე.ი. საზოგადოებრივი აზრის მიზანმიმართული ფორმირება]

- ✓ ქართველ სასულიერო პირებთან და თავადაზნაურობასთან ახლო მეგობრული კავშირებით გამორჩეულ ეგზარქოსს პლადი რაევს[66], რომელიც 1886-1892 წლებში საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოღვაწეობდა, ქართველი *წმინდანების არსებობაში ეჭვი შეჰქონდა,* რის გამოც მოისურვა და აღასრულა კიდეც რუსეთის იმპერიის კონტრსადაზვერვო ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანი ქმედებები.



პლადი რაევმა „სინოდის კანტორის სახელით განკარგულება გამოსცა ქართული სახელები ბერძნულ-რუსულით შეე-

[65]ა.ნიკოლეიშვილი. „გაბრიელ ეპისკოპოსი“. ქუთაისი. 1990. გვ.21 [ს.ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტატე (1932-1952 წ.წ.)“ გვ.10];

[66][სურთის წყარო] „Палладий, митрополит Петербургский и Ладо-жский, проводивший чин внчания на царство Николая II.“ https://ru.wikipedia.org

ცვალა".[67]



- ✓ მეოცე საუკუნის დასაწყისში „ივ. რატიევმა (რატიშვილი) ანჩისხატის ტაძარში, როდესაც კირიონი მწირველი იყო, თვით წირვის დროს *კირიონს, მის ამომრჩევლებს და ნაკურთხებს უწოდა "კინტოები" და სხვა უცენზურო სახელები*";[68]
- ✓ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ქართველი ავტოკეფალისტების დისკრედიტაციისათვის იმპერიის სპეცსამსახურებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს *გაევრცელებინათ ჭორები, სასულიერო პირების "ტერორისტობის" შესახებ* და დაიწყო რეპრესიები.

[*სახეზეა:* სადაზვერო ხასიათის რწმენის მაკომპრომეტირებელი ისტორიული სინამდვილის და იმპერიული პოლიტიკისათვის მიუღებელი სასულიერო პირების დისკრედიტაციის პროცესის ორგანიზება დეზიფორმაციის გამოყენებით]. 91

ბ) საიმპერატორო კარის დამოკიდებულების შესაბამისად ანტიქართული ისტერიის გაღვივება და ეროვნული მახასიათებლების კომპრომენტაცია;

---

[67]კ.ცინცაძე. „ჩემი მოგონებებიდან". თბილისი. 2001. გვ.29 [ს.ვარდოსანიძე.„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტატე (1932-1952 წ.წ.)" გვ.18];

[68]ს.ვარდოსანიძე. „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები". 2011. www.library. church.ge;

[ამ პროცესის ორგანიზაციაში აქტიურ როლს რუსი ეგზარქოსები თამაშობდნენ, რასაც ადასტურებს მათი გამონათქვამები:



- {1882 წელს საქართველოს ეგზარქოსი იოანიკე რუდნევი[69] საქართველოდან გასვლისას „ჯვრის უღელტეხილზე შეჩერდა, მობრუნდა საქართველოსაკენ, პირჯვარი გადაიწერა და თქვა: გმადლობ შენ, ყოვლად წმინდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცი, *ამ ველურებს ცოცხალი გადავრჩენოდიო*“.[70]

- ეგზარქოსი პავლე ლებედევი,[71] რომელიც საქართველოში 1882-1887 წლებში მოღვაწეობდა აღნიშნავდა, რომ: *„საქართველო მიილტვის სეპარატიზმისაკენ...იქ არის ნიჰილისტური, სეპარატისტული ხროვა“*[72]*;*

[69][სურ.წყ.]„Митрополит Киевский Иоанникий (Руднев).“ Wikipedia.org;

[70]კ.ცინცაძე. „ჩემი მოგონებებიდან“. თბ.2001. გვ.16 [ს.ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტატე (1932-1952 წ.წ.)“ გვ.16];

[71][სურათის წყარო] „Павел (Лебедев), архиеп. Казанский и Свияжский.“ http://drevo-info.ru;

[72]ს.ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტატე (1932-1952 წ.წ.)“ გვ.16;

ასეთი შეფასებების ფონზე, ძნელად წარმოსადგენი არ იქნება საქართველოში, მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებული ოპერატიული ვითარების შესახებ რა შინაარსის საიდუმლო ინფორმაციები ეგზარქოსების მიერ გადაეგზავნებოდა რუსეთის საიმპერატორო სპეცსამსახურს.

ყურადღებას იმსახურებს ეგზარქოსის პავლე ლებედევის დროს გატარებული ანტიქართული [ეგზარქოს პავლეს მიერ შემოკრებული „ახლანდელი რუსი დამრიგებლების წრე არის კორპორაცია, რომელიც ყოველივე ქართულს უარყოფითად უყურებს. მას არ სურს, იცოდეს არც ენა, არც ისტორია და არც ყოფა-ცხოვრება იმ ხალხისა, რომლისთვისაც მოღვაწეებს ამზადებს. ისინი ზრუნვით, ჰუმანურად ეპყრობიან რუს მოსწავლეებს, ხოლო ქართველებს-გულცივად, მკაცრად.“][73] ღონისძიებების ქრონოლოგია:

- სასულიერო სასწავლებლების ქართველი ზედამხედველების, ქართულის არმცოდნე არაქართველებით შეცვლა;
- სემინარიაში პედაგოგიური საბჭოს წევრობიდან ქართველების გამოდევნა;
- სასულიერო სასწავლებლებში საღმრთო ისტორიის და კატეხიზმოს ქართულად სწავლების აკრძალვა;

[73]გიორგი ჯოჯუა. „ი.გოგებაშვილის 1886-1887 წლის ჩანაწერები, ეგზარქოს პავლეს შესახებ.“http://vountrystorysecrets.blogspot.com;

- ქართველი ერის მომავალ მოძღვართათვის ქართული ენის შესწავლის ვალდებულების მოხსნა;
- რუსი მღვდელმთავრებისათვის ღვთისმსახურებისათვის ქართული ენის სწავლების აკრძალვა;
- ქართულ ეკლესიებში, ქართული ენის არმცოდნე რუსი მღვდლების დანიშვნის ორგანიზება, წირვა-ლოცვა გასაგებ ენაზე მოსმენის შესაფერხებლად;
- ქართული სასულიერო პირების რუსული ენის სწავლებაზე ვალდებულება, მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასულიერო პირად მოღვაწეობის აკრძალვა;
- ქართული საეკლესიო გალობის აღდგენისა და განვითარების პროცესების შეფერხება-აღკვეთისათვის, ქართული საეკლესიო გალობის საუკეთესო მცოდნე სასულიერო პირების პროვინციებში გადასახლება;
- სასულიერო სემინარიებიდან მოსწავლეების წინასწარი განზრახვით გარიცხვის, დათხოვნის, მათთვის პირობების მიზანმიმართული დამძიმების ორგანიზება, რაც სხვა მნიშვნელოვან მიზნებთან ერთად, პერსპექტივაში სასულიერო სეგმენტის ქართული საკადრო სრულყოფის გამორიცხვას ემსახურებოდა.

პრაქტიკულად სახეზეა, კონტრსადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, ეროვნული იდენტობის, ერთიანობის განმაპირობებელი, მშობლიური ენის ეტაპობრივი გან-

დევნის ფონზე, რუსული ენის ძალდატანებითი გავრცელების ორგანიზება, რაც ინფორმაციული უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაც იყო. ამ ვითარების მიღწევა, სათანადო პროპაგანდის ფონზე პრორუსული განწყობების შექმნის საუკეთესო პირობაც იქნებოდა.

გამოთქმული მოსაზრებების გასამყარებლად გამოდგება საქართველოში მოვლენილი ეგზარქოსების საქმიანობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთის საიმპერიო კარის მიერ ოპერაციული ხასიათის კონტრსადაზვერვო ორგანიზაციას უნდა მივაკუთნოთ ისეთი ღონისძიებები როგორიცაა:

- ✓ <u>ეგზარქოსი ნიკონი სოფიისკის[74] (1906-1908 წ.წ.) მმართველობისას:</u>
- *ქართველ სამღვდელოებისათვის ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულების აკრძალვა* [„თბილისის სიონის, ბოდბის, ბათუმის და სხვა ტაძარსა და ეკლესიებში];[75]



- *ქართველი ეროვნების პატრიოტიზმით გამორჩეული სასული-*

74 [სურათის წყარო] „Убийство экзарха Грузии.“ РУССКОЕ СЛОВО. 11 июня (29 мая) 1908 года. http://starosti.ru;

[75] „ნიკონი სოფიისკი (1906-1908 წ.წ.).“ თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტ ივანე ჟივიძის სადიპლომო ნამუშევარი. www.sg-sakdari.ge;

ერო პირების ინტრიგების მეშვეობით თანამდებობიდან ჩამოცილება და რუსი ეროვნების ეპისკოპოსით ჩანაცვლება;

- *სასულიერო სემინარიაში და სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლების შესაზღუდად სახელმწიფო ხაზინიდან დაფინანსების შეწყვეტა;*
- *სეპარატიზმით გამორჩეულ რეგიონებში განთავსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებში მოღვაწე სასულიერო პირების, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაპირისპირების საფუძვლების ჩაყრა;*

[ეგზარქოსის ინიციატივით აფხაზეთში აყვავება დაიწყო აფხაზურმა მთარგმნელობითი კომისიის მოღვაწეობამ,[76] რაც აფხაზურ ენაზე ღვთის მსახურებაში გადაიზარდა];

[*სახეზეა*:

ა) ოპერატიული ვითარების კონტროლის ფარგლებში, საკუთარი ენის რწმენის მსახურებაში გამოყენების აკრძალვით უცხო ენის სწავლების იძულება, საბოლო ჯამში აგენტურული, ინფორმაციული უზრუნველყოფის, მაკონტროლებელი სახელმწიფოს მიმართ პრო-განწყობების შეუფერხებელი ორგანიზებისათვის;

[76] В.Григорян. „ПЕРВЫЙ СВЯЩЕННОМУЧЕНИК.“ www.vladkan.ru;

ბ) ოპერატიული ვითარების დესტაბილიზაციის გამოსარიცხად არაკეთილსაიმედო (ეროვნული სულისკვეთების მქონე) სასულიერო პირებზე ოპერატიული მეთვალყურეობა, სასულიერო თანამდებობებზე მაკონტროლებელი სახელმწიფოს ერთგული (მათ შორის ეროვნული თვალსაზრისით) სასულიერო პირების დანიშვნა;

გ) სასულიერო სექტორში ეროვნული ხასიათის სასწავლო პროცესის მოშლისათვის მკვიდრი ენის სწავლების დაფინანსების შეწყვეტის ორგანიზება;

დ) სასულიერო სექტორში განხეთქილების ორგანიზებისათვის სეპარატიზმის გამოყენება.

პრქატიკულად სახეზეა სადაზვერვო ორგანიზების ნიშნები];

- ✓ ინოკენტი ბელიაევის[77] (1909-1913 წ.წ.) მმართველობისას:
- *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ ბრძოლა;*
- *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების დისკრედიტა-*



[77] „Иннокентий (Беляев), архиеп. Картлинский и Кахетинский, экзарх Грузии." Фотография. Нач. 10-х гг. XX в. (РГИА). www.pravenc.ru;

ცია.

[ტამბოველ სემინარიელებთან გამოსვლისას დააფიქსირა, რომ „ღვთის ნებამ მომისაჯა...ივერიის ეკლესიის მწყემსმთავრის კათედრაზე ჩემი წამებული წინამორბედის სისხლით შეღებილ კათედრაზე ასვლა...მივდივარ პირადი სიცოცხლისთვის საკმაოდ სახიფათო ღვთიურ საქმეზე ... სიკვდილის შიშმა მომიცვა, შიშმა და კანკალმა ამიტანა...იქ შორეულ უცხო მხარეში ხომ არ მელის ჩემი საფლავი“...

ანალოგიური გაიმეორა საქართველოში ჩამოვლისას ქართველ მღვდელმთავრებთან სიტყვით გამოსვლისას];[78]

- *რწმენის განსამტკიცებლად მწყემსმთავრულ მოვალეობებზე გულგრილი დამოკიდებულება;*

[*სახეზეა*: ოპერატიული ვითარების კონტროლის ფარგლებში, კონტრსადაზვერვო ორგანიზებას დაქვემდებარებული სახელმწიფოს სასულიერო პირების მიზანმიმართული დისკრედიტაცია, რელიგიური მიმდინარეობის დამოუკიდებლობის შეზღუდვის ოპერაციულ ციკლის წარმატებული განხორციელებისათვის].

78„ინოკენტი ბელიაევი (1909-1913 წ.წ.).“ თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტ ივანე ჟივიძის სადიპლომო ნამუშევარი. www.sg-sakdari.ge;

ანალოგიურად მოქმედებდნენ სხვა ეგზარქოსებიც:

- ✓ <u>ალექსი მოლჩანოვის (1913-1914წ.წ.) მმართველობისას:</u>



- ➢ ეგზარქოსი თვლიდა, რომ: „არ დაუშვებდა ივერიის ეკლესიის რაღაც მისწრაფებებისა და უფლებების აღდგენას“,[79] ხოლო 1913-1914 წლებში ეგზარქოსი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისაკენ სწრაფვას ბოდვად მოიხსენიებდა.

- ✓ <u>პიტირიმე ოკნოვის (1914-1915 წ.წ.) მმართველობისას:</u>



- ➢ *საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ ბრძოლა;*
- ➢ *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების დიკრედიტაცია*

[თითქოს მას სურდა, რომ საქართველოს დაბრუნებოდა ავტოკეფალია,

[79]ს.ვარდოსანიძე.„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტატე (1932-1952 წ.წ.)“ გვ.21;

მაგრამ ვითომ წინააღმდეგი მეუფე ლეონიდე იყო.];[80]

- ✓ <u>პლატონ როჟდესტვენსკის[81](1915-1917 წ.წ.) მმართველობისას:</u>
- ➢ *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ ბრძოლა;*



[ავტოკეფალიის მოთხოვნით სტუმრად მისულ ქართველ სასულიერო პირებს პლატონი უარით ისტუმრებს და თან დასძენს: „თბილისში ბევრი რუსული ხიშტია, რომლებიც ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებენ!"... ხიშტების, რომელთა პატრონებს მეუფე კომპეტენტურ მსაჯულებად იწვევდა საეკლესიო საკითხების გადაწყვეტისას.].[82]

სწორედ ეგზარქოს პლატონის მმართველობის პერიოდში რუსეთის საიმპერიო კარის სპეცსამსახურებს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოში მადესტაბილიზირებელი პროცესების მართვისათვის ხელსაყრელი პირობა გააჩნდა, ეკლესიის შიდა დაპირისპირების ინსპირირების კუთხით: „ტიმოთე ბაკურაძე...დაუდგომელი ბუნების კაცი იყო და

[80]„პიტირიმე ოკნოვი (1914-1915 წ.წ.)." თბილისის სასულიერო აკად. V კურსის სტუდენტ ივანე ჟივიძის სადიპლომო ნამუშევარი. www.sg-sakdari.ge[სურ.წყ.:„Питирим Окнов."www.hrono. ru;];

[81]Митр. Платон (Рождественский). http://drevo-info.ru;

[82]„პლატონ როჟდესტვენსკი (1915-1917 წ.წ.)."თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტ ივანე ჟივიძის სადიპლომო ნამუშევარი. www.sg-sakdari.ge;

ხელმძღვანელობდა ე.წ. "დიაკონთა" მოძრაობას, რომელიც 1916-17 წლებში გაიშალა საქართველოში და მიმართული იყო მღვდლების უფლებების შეზღუდვისაკენ... რომელიც ანარქიას უქადდა ეკლესიას,."[83]

საქართველოს დამოუკიდებლობამდე, რუსეთის იმპერიის მხრიდან, მადესტაბილიზირებელი ორგანიზების კუთხით დაგეგმილი იყო კონტრსადაზვერვო, ხოლო პერსპექტივაში სადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში ოპერატიული ხასიათის ღონისძიება, რომლის მიხედვითაც არსებობდა განძრახვა „კათალიკოსი დააბინაონ მცხეთაში, ხოლო რუსის მიტროპოლიტი თბილისში. ე.ი. ქართველებმა უნდა აიღონ ხელი დედაქალაქზედ, დედა ეკლესიაზედ, სიონზედ...უეჭველად ატყდება სისხლისღვრა..."[84]

ამ მიმართებით მადესტაბილიზირებელი ორგანიზაცია მცირე ხნით გადავადდა.

ზემოგანხილულ ქმედებებთან ერთად საყურადღებოა, *კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში სასულიერო პირების მეთვალყურეობა ოპერატიულ-აგენტურული უზრუნველყოფით [*ასე მაგალითად:

- ქრისტეფორე ციცქიშვილი იხსენებდა: „გენერალმა ამილახვარმა დამიბარა ქართლში მოგზაურობის დროს და სხვათა შორის მკითხა რატომ ესა და ეს

[83] „ს.ვარდოსანიძე. "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში". თბილისი, 2001 წ. www.library.church.ge";

[84] „გ.ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, სერგი გიორგაძის ფონდი #6945 [სერგო ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში"]." გვ.29;

ქალაქელი მღვდელი არ აირჩიეს კრებაზე თავმჯდომარედ და შენ აგირჩიესო."[85]

[*სახეზეა*: ოპერატიული საქმიანობის წარმატების ხელშემწყობი, კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობა, რაც კონკრეტული ოპერატიული და ოპერაციული ციკლის (მათ შორის სანდო ურთიერთობის დამყარება, გადაბირება) შემადგენელი ნაწილია];

- რუსეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ ეპისკოპოსი კირიონი იყო ავტოკეფალური მოძრაობის ხელმძღვანელი და ამიტომ დევნიდა მას.

კირიონი თავისი სურვილით არ წასულა რუსეთში, აიძულეს დაეტოვებინა სამშობლო, ხშირად უცვლიდნენ ეპარქიებს, ბოლოს კი სანაქსარის უდაბნოში გადაასახლეს პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ჩამოართვეს ეპისკოპოსის ხარისხიც.[86] [*სახეზეა*: ოპერატიული ვითარების კონტროლის ფარგლებში, რუსეთის საიმპერიო კარის სტრატეგიული ინტერესებისათვის მიუღებელი მადესტაბილიზირებელი ობიექტების გამოვლენის, დასჯის ორგანიზება];

პრაქტიკულად რუსეთის საიმპერიო კარის

[85] „ქრისტეფორე ციცქიშვილი (1927–1932წწ.)." www.wminda giorgi. ge;

[86] იქვე;

კონტრდაზვერვით ორგანიზებაში მკვეთრად გამოხატულია სადაზვერვო ორგანიზაციის ნიშნები, რაც ერთი სახელმწიფო ქოლგის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად ყოფნის პირობებში საქართველოს მიმართ არ უნდა განხორციელებულიყო.

სადაზვერვო საქმიანობის ისტორიაში ცნობილია უამრავი ფაქტი, როდესაც სადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში დაზვერვას დაქვემდებარებული, ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, რელიგიურ კავშირში შემავალი სახელმწიფო მასშტაბურად იზღუდება დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით.

ერთიან *რელიგიურ* კავშირში ყოფნის კუთხით საყურადღებოა რუსეთის იმპერიის კონტრსადაზვერვო ორგანიზება საქართველოს წინააღმდეგ.

განხილული მაგალითებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის იმპერიის კონტრსადაზვერვო ორგანიზების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას *ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისაკენ სწრაფვის ჩახშობა წარმოადგენდა.* ამ მიზნით საიმპერიო კარი მასობრივ დარბევებსაც არ ერიდებოდა.

მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის დასაფიქსირებლად 1905 წლის ზაფხულში თბილისში, ქართველი სამღვდელობის გამოსვ-

ლა დარბევით დასრულდა. ამ პროცესში იმპერიის მხრიდან ეკლესიის ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლზე მიანიშნებს გამოსვლის დასარბევად, უშუალოდ ეგზარქოს ალექსის განკარგულებაზე მორჩილება რუსული საჯარისო შენაერთებისა, რომლებმაც სასულიერო პირებს: „გზა გადაუღობეს ... დროშები და წმინდა ხატები თავზე გადაამსხვრიეს.“ [87] [*სახეზეა*: **ოპერატიული ვითარების კონტროლის ფარგლებში, სასულიერო პირების დარბევის ორგანიზებაში ეგზარქოსების ინსტიტუტის კოორდინაცია რუსეთის საიმპერიო კარის სპეცსამსახურებთან**].

1908 წლის 28 მაისს ეგზარქოსი ნიკონი მოკლულ იქნა. რუსეთის ხელისუფლებამ ეს ფაქტი თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

საიმპერიო კარმა ოპერატიულ-ოპერაციული პროცესები ეროვნული მოძრაობის [„ეროვნული მოძრაობის მრავალი ცნობილი მოღვაწე იძულებული გახდა საქართველოდან გადახვეწილიყო“][88] ლიდერების და სასულიერო პირების დევნის [მკვლელობაში ბრალი ქართველ ავტოკეფალისტებს დასდეს, განსაკუთრებით დევნაში მოექცა ეპისკოპოსი კირიონი, არქიმანდრიტი

---

[87] ს.ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II“. თბ. 2008. გვ.33;

[88] ივ.ჯავახიშვილი. „საქართველოს ისტორია მეოცე საუკუნე“. სახელმძღვანელო ისტ. ფაკ. სტუდენტთათვის. www.bu.org.ge;

ამბროსი ხელაია“.][89] თვალსაზრისით პარალელურ რეჟიმში დაიწყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთის საიმპერიო კარის (ე.ი. სპეცსამსახურების) მითითებით ეგზარქოსები, საქართველოს მაღალი სასულიერო იერარქიის წევრებს (მათ შორის ეპისკოპოს კირიონს)[90] სისტემატიურად უცვლიდნენ ეპარქიებს, სასულიერო წოდების ჩამორთმევის გარეშე, რაც რუსეთის საიმპერიო კარის კონტრსადაზვერვო ორგანიზებას უნდა მივაკუთნოთ.

[*სახეზეა: სასულიერო პირების კონტროლით პერსპექტიული ლიდერების გამოკვეთის (ე.ი. ოპერატიული შესწავლის) და მათი მიზანმიმართული კომპრომეტაციის, დევნისა და მეთვალყურეობის პროცესების ორგანიზება].*

ეგზაქორსების ინსტიტუტის საიმპერიო კართან (ე.ი. სპეცსამსახურებთან) თანამშრომლობის დამადასტურებელია ეგზარქოსთა მიმოწერები.

1907 წლის დეკემბერში საეკლესიო კრებამ დაადგინა საიმპერიო კარისათვის მიუღებელი გადაწყვეტილება, სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში ღვთისმეტყველების ქართულ ენაზე სწავლების შესახებ. ამ ფაქტის

---

[89]ს.ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტატე(1932-1952 წ.წ.)“ გვ.21;

[90]მიხეილ ბასილაძე. „კირიონ II“. 20.02 2010. www.24saati.ge;

ირგვლივ ეგზარქოსი ნიკონი სოფიისკის მიერ საიმპერიო კარისათვის გაკეთდა შეტყობინება, რომლის მიხედვითაც: „სემინარიას, თუ იქ ეროვნულ ენაზე შემოიღებენ სწავლებას, აღეკვეთოს სახელმწიფო ხაზინის დახმარება".[91]

შეტყობინების შინაარსდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეგზარქოსების ვალდებულებაში შედიოდა საიმპერიო კარისათვის (ე.ი. სპეცსამსახურებისათვის) *ინფორმაციის მიწოდება*:

- *საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებების შესახებ;*
- *სასულიერო პირების ამა თუ იმ საკითხებზე დამოკიდებულების შესახებ;*

ამასთან ერთად, ეგზარქოსი ფლობდა სათანადო ინსტრუქციას, იმპერიის ინტერესებში ქართული ენის შევიწროების, რუსული ენის იძულებითი შესწავლის მიზნით ხელოვნური პირობების შექმნაზე.

წერილის დასკვნით ნაწილში „დაფინანსების შეწყვეტის მიზანშეწონილობა" ოპერატიული საქმიანობის მნიშვნელოვან ეტაპის-ინფორმაციის ანალიტიკურ დამუშავებაზე უნდა მიანიშნებდეს.

ქართველ სასულიერო მსახურთა თხოვნას, რომ

---

[91] „ნიკონი სოფიისკი (1906-1908 წ.წ.)." თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტ ივანე ჟივიძის სადიპლომო ნამუშევარი. www.sg-sakdari.ge;

ახლად დანიშნული ეგზარქოსისადმი თხოვნას ეზრუნა საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ ეგზარქოსმა ინოკენტი ბელიაევმა უპასუხა, რომ: „მშვიდობიანი შრომა რუსეთის ეკლესიისაგან განუყოფელი, მას დაქვემდებარებული ივერიის ეკლესიის საკეთილდღეოდ ჩემი ვალია და უწმინდესი მოვალეობა, გადაჭრით ვამბობ უარს, ხელი შევუწყო ივერიის ეკლესიის, რაღაც მისწრაფებებისა და უფლებების აღდგენას“.[92]

გამოდის, რომ ეგზარქოსი რუსეთის საიმპერიო კარის (ე.ი. სპეცსამსახურის) სპეციალური ინსტრუქტაჟის გავლის შემდგომ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო, ხოლო საიმპერიო კარისათვის სასარგებლო ქმედებების განსახორციელებლად მოდიოდა საკუთარი მოვალეობის შესასრულებლად.

საიმპერიო კარისათვის, ქართველ სასულიერო პირთა განწყობებისა და ქმედებების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფით გამორჩეული იყო ეგზარქოსი ალექსი მოლჩანოვი, რომელმაც ჩამოსვლისთანავე რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში დაადასტურა ქართველი სასულიერო პირების სწრაფვა ავტოკეფალიის მოპოვებისადმი.

ეგზარქოსების და ქართული სასულიერო

[92](Проф. А.А. Цагарели стати и заметки по грузинскому церковному вопросу.) სპბ-1912 წ. გვ 114.“ინოკენტი ბელიაევი (1909-1913 წ.წ.). თბ. სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტ ივანე ჟივიძის სადიპლომო ნამუშევარი. www.sg-sakdari.ge;

პირების ოპერატიულ-აგენტურული კონტროლის უზრუნველსაყოფად რუსეთის საიმპერიო კარს გააჩნდა ინფორმაციული უზრუნველყოფის კიდევ ერთი დამატებითი სეგმენტი საქართველოში მოღვაწე რუსი სასულიერო პირები. ასე მაგალითად, 1900 წელს საქართველოში მოვლენილი საეგზარქოსოს ადმინისტრატორი და სამრევლო სკოლების მზრუნველმა „ვოსტორგოვმა, ცნობილმა რუსმა შავრაზმელმა მღვდელმა, დეპეშები გააგზავნა პეტერბურგს. ამ დეპეშით, ის აბეზღებდა სინოდთან ქართველ სამღვდელოებას და სამრევლო სკოლებს.“[93]

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- რუსეთის საიმპერიო სპეცსამსახურების მხრიდან რელიგიის ოპერატიულ-აგენტურული და ანალიტიკური კონტროლი საქართველოში სისტემატიურ რეჟიმში მიმდინარეობდა, რაზედაც მეტყველებს: ოპერატიულ ვითარებაზე დამაზიანებლად მოქმედი, მიუღებელი, იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი სასულიერო პირის რეზიდენციის ტერიტორიული ცვალებადობა მოვლენათა ეპიცენტრიდან მოშორების თვალსაზრისით;

ქართველი სასულიერო პირების ოპერატიული კონტროლი ორ იარუსიანი სისტემით რუსეთის საიმ-

[93] ვაჟა კიკნაძე. „ილია ჭავჭავაძე და მე-19 საუკუნის სამღვდელოება.“ თბილისი, 2007. https://ijhei.wordpress.com;

პერიო კარის (ე.ი.სპეცსამსახურების) კონტროლის ქვეშ საქართველოში მოვლენილი ეგზარქოსის და რუსი მღვდელმსახურების მიერ ხორციელდებოდა.

- დაბალ იერარქიაზე მყოფი რუსი სასულიერო პირები ეგზარქოსის ოპერატიული კონტროლის მიზნითაც საქმიანობდნენ;
- კონტრსადაზვერვო ქმედებათა ფარგლებში ხდებოდა სადაზვერვო ორგანიზების ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა:

✓ ქართველი სასულიერო პირების დისკრედიტაცია;

✓ ქართველ სასულიერო პირებს შორის განხეთქილების ჩამოგდება;

✓ სასულიერო ცხოვრებიდან ქართული ენის განდევნა და რუსული ენის ძალდატანებითი შემოჭრის ორგანიზება;

✓ ქართველი სასულიერო პირების ქართველებით ჩანაცვლების შესაფერხებლად სასულიერო სასწავლებებიდან ქართველი ბავშვების განდევნის ორგანიზება;

✓ ეკლესიის შიგნით სასულიერო პირთა მოძრაობის შექმნა ქართველ სასულიერო პირებში განხეთქილების შესატანად და ა.შ.

<u>განხილული მასალების ანალიზი იძლევა საშუალებას, ვარაუდის გამოსათქმელად, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართ-</u>

ველო დიდწილად ითვლებოდა სადაზვერვო და არა კონტრსადაზვერვო ორგანიზების უზრუნველყოფის ობიექტად.

3.2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)

საქართველოში, შესაბამისად მართლმადიდებლურ ეკლესიაში მადესტაბილიზირებელი ორგანიზება რუსეთის იმპერიის მემკვიდრე საბჭოთა რუსეთმა თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით გააგრძელა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს სადაზვერვო კონტროლის წინაპირობა, ქვეყნის გამაერთიანებელი, გამაძლიერებელი მნიშვნელოვანი ძალის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დანაწევრებასა და დაუძლურებაში მდგომარეობდა.

ეს მიზანი ამოძრავებდა ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოს ტერიტორიული, ბუნებრივი რესურსების კონტროლის კუთხით დანაწევრებით, მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნელო სარგებლის მიღებაში.

როგორც წინა თავში ავღნიშნეთ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის საიმპერიო კარის ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლს ექვემდებარებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში საბჭოთა რუსეთს ამ სექტორზე მემკვიდრეობით ერგო მნიშვნელოვანი ინფორმაციული ბადე, რაც მისი კიდევ უფრო გაფართოების წინაპირობა იყო.

ამასთან ერთად, საიმპერიო კარს ოპერატიული ხასიათის აგენტურული-ანალიტიკური ინფორმაციების საფუძველზე გამოკვეთილი ჰყავდა სადაზვერვო მიზნების განხორციელებისათვის მიუღებელი, ხელის შემშლელი სასულიერო პირები, რომელთა გადაბირება,

საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება იმპერიული მმართველობის პირობებში ვერ მოხერხდა.

საქართველოს მომავალი კათალიკოს პატრიარქი კირიონ II რუსეთის საიმპერიო კარისათვის მიუღებელი იყო იმ ქმედებების გამო, რასაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის ახორციელებდა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის, ეროვნული სულიერების, ერთობის განწყობების ამაღლების მნიშვნელოვანი პირობა იყო. მისი პიროვნება საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა რუსეთსაც, რადგან ქართველი ერის ერთიანობა, მთლიანობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარების ხელის შემწყობი მნიშვნელოვანი გარემოება იყო.

სათანადო სადაზვერვო ხასიათის შეღწევადობის, ან ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოუპოვებლობა 1918 წლის 27 ივნისს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II-ს ლიკვიდაციის საფუძველი გახდა.

ამ კუთხით საყურადღებოა, შეფასება {ცნობილი საზოგადო მოღვაწე რ.ინგილო (ივანიცკი)}, რომლის მიხედვითაც: „მარტყოფის მონასტრის საიდუმლო უცნობია! რა მოხდა წმ. ანტონის მონასტერში, დანამდვილებით არავინ იცის...საუკუნეებში წარხდომილმა უნეტარესმა კათალიკოზმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მის სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი კი ჰფარავს უღრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილი მონასტრის საიდუმლოებასაც.“[94]

[94]სერგო ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“.გვ.33;

ეჭვის საფუძველი ნამდვილად არსებობდა. ამ მიმართებით საყურადღებოა ისტორიკოს ელდარ ბულბულაშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც: „კირიონის მკვლელი, სავარაუდოდ, მასთან დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო.



კირიონ II.[95]

ეს მოსაზრება იქიდან გამომდინარეობს, რომ გართულებული ვითარების გამო, კირიონი ბევრს არ ენდობოდა. იგი ხშირად მუქარის წერილებსაც კი იღებდა. ამიტომ, როგორც ჩანს, დამკვეთმა მკვლელი, ან თანამოაზრე, კირიონის უახლოეს გარემოცვაში მოძებნა."[96] გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს დოდო საძა-

[95] „კირიონ II." https://ka.wikipedia.org;

[96] მიხეილ ბასილაძე. „კირიონ II". 20.02 2010. www.24saati.ge;

გლიშვილის შეფასება: „კირიონის მოკვლა მის შინა კაცს არქიმანდრიტ ტარასის დაავალეს“.

ტარასი კანდელაკი 20 წელი ემსახურებოდა კირიონ მეორეს. როგორც მერე თქვეს, დავიდოვმა მოისყიდა–500 თუმანი მისცაო. „იმასაც იტყვიან ამ 500 თუმნით ტარასიმ კავკაზში ძროხები იყიდა და თბილისში ფერმა ააშენაო. მოკლული კათალიკოზის მიერ შეკრებული ხალხური ლექსებიც ტარასიმ მიითვისა, რომელიც მერე ლიტერატურულ მუზეუმს შესწირა და თავმომწონეთ იტყვის: „ჩემი შეკრებილია“.“[97]



არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკი[98]

[97]ნათია უტიაშვილი. „ვინ სცადა ორჯერ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის მოკვლა და რა ბედი ეწია მის ანტიკვარულ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს და კოლექციებს.“ 21.01.13. www.tbilise-lebi.ge/;

[98]„არქიმანდრიტ ტარასი.“ https://ka.wikipedia.org;

დავით დავიდოვ-დავითაშვილი, რწმენისაგან შორს მდგარი იერარქიულ მორჩილებაზე უარის მთქმელი, ეგზარქოსების ჯაშუშური აპარატის წევრი იყო „რომელიც დასცინოდა სასულიერო წოდებას...თანამშრომლობდა "ჩეკასთან"...“,[99] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოსთან მიმართებაში განხორციელდა რუსეთის საიმპერიო კარის სპეცსამსახურების კონტრსადაზვერვო ხასიათის აგენტურული აპარატის საბჭოთა სპეცსამსახურებზე გადაცემა, შემდგომში მისი სადაზვერვო ინტერესებით გამოყენება.

პრაქტიკულად სახეზეა სადაზვერვო ოპერაციული ციკლის ორგანიზებისათვის მახასიათებელი ისეთი ქმედებები, როგორიცაა:

- *დაშინება*, მათ შორის *მკვლელობის მცდელობა* [რაც მზვერავი სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებისაგან თავშეკავებისაკენ მინიშნებას უნდა ნიშნავდეს];
- *დაზვერვის ზემოქმედების ობიექტის უახლოეს გარემოცვაში აგენტურული შეღწევის* (ინფორმაციული კონტროლი, დასკვნით ეტაპზე ლიკვიდაცია) *ორგანიზება*;.

ოპერატიულ-ოპერაციული ხასიათის ლიკვიდაციის დამადასტურებელია მკვლელობის განხორციელების შემდგომ სათანადო საზოგადოებრივი აზრის შექმნის მცდელობა პატრიარქის კომპრომეტაციის მიზნით. ამ მოსაზრების დამადასტურებლად გამოდგება ფაქტი: „გამოძიებით დადგინდა, რომ ტყვიები, რომელიც

[99]ს. ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში“. თბილისი, 2001 წ. www.library.church.ge;

კირიონს მოხვდა საწოლთან დაგდებული იარაღიდან არ იყო ნასროლი.

გარდა ამისა...68 წლის ასაკში კათალიკოსს დამბლა ჰქონდა და მას პირთან ჭიქაც ვერ მიჰქონდა. ასეთ მდგომარეობაში იგი ჩახმახს უბრალოდ ვერ გამოჰკრავდა."[100]

გამოდის, რომ სადაზვერვო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებდა ***აგენტი-ლიკვიდატორი***.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კირიონ II-ის დაკრძალვის ცერემონიალი[101]

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დეზინფორმატორები კათალიკოსის მოწინააღმდეგეები იყვნენ, დასაშვებია ვერსია მათზე ***პირდაპირი (აგენტურული გადაბირება)*** ან ***ირიბი (სადაზვერვო***

[100]მიხეილ ბასილაძე. „კირიონ II". 20.02 2010. www.24saati.ge;

[101]„საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კირიონ II-ის დაკრძალვის ცერემონიალი." https://ka.wikipedia.org

პროპაგანდის გავრცელების ხელშემწყობი) სადაზვერვო შეღწევადობის უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის პატრიარქის სამუდამო ჩამოცილება, საბჭოთა რუსეთის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების კურსის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობა იყო.

სადაზვერვო ორგანიზების ნიშნების შემცველია საზოგადოებრივი აზრის მობილიზება სასულიერო პირების კომპრომეტირების მიმართულებით პრესის (ისტორიკოსის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის მოსაზრებით ჟურნალში „ახალი სიტყვა" სტატიები ქვეყნდებოდა ფსევდონიმებით, რომლის უკან, მაღალი რანგის სასულიერო პირები იყვნენ ამოფარებულნი)[102] გამოყენება.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში და სახელმწიფოში სტაბილურობაზე ე.ი. ოპერატიულ ვითარებაზე მავნე ზემოქმედების ორგანიზების მიზნით, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის კონტროლს დაქვემდებარებულ საქართველოში კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში ავტოკეფალისტების აგენტურული მეთვალყურეობის, დევნის სადაზვერვო სტატუსით გაგრძელება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდშიც ხორციელდებოდა.

მოსაზრების სისწორეზე მეტყველებს „ავტოკეფა-

[102]ს.ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში".გვ.55-56;

ლისტად“ შერაცხული კათალიკოსის უახლესი გარემოცვის წევრებზე გახორციელებული ქმედებები:[103]

- ✓ 1918 წლის 18 სექტემბერს მოწამლეს ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი.

[ლიკვიდატორი მტრებისაგან მოსყიდული მიტროპოლიტის სიძე გვარად რედიგერი, მოწამვლის სახეობა საჭმელში ვერცხლისწყლის შერევა იყო];

- ✓ 1918 წლის შემოდგომაზე მღვდელი ტიმოთე ბაკურაძის, ხოლო არმაზში, საკუთარი სახლის წინ არქიმანდრიტი მირიანის ლიკვიდაცია;
- ✓ საკათალიკოსო საბჭოდან დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძის გაძევება;

პრაქტიკულად ადგილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან სადაზვერვო, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან რეჟიმის შენარჩუნების კუთხით კონტრსადაზვერვო ხასიათის ლიკვიდაციას.

ყოველივე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაზე საბჭოთა რუსეთის სადაზვერვო ხასიათის შეღწევადობაზე უნდა მიანიშნებდეს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შეწყვეტის ორგანიზების პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპი-რწმენის უსაფრთხოების მოშლის თვალსაზრისით საბჭოთა რუ-

[103]ს. ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“.გვ.55;


სეთმა სპეცსამსახურების მეშვეობით წარმატებით დაასრულა. დღის წესრიგში საქართველოს ხელისუფლებასა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის განხეთქილების მასშტაბების გაზრდის ინსპირირება დადგა.

საბჭოთა რუსეთს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გააჩნდა სადაზვერვო ხასიათის მადესტაბილიზირებელი ქმედებებისათვის ისეთი ხელსაყრელი პირობა, როგორიცაა სახელმწიფოს ხელისუფლებასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დაპირისპირება. მასშტაბების გაზრდის ხელსაყრელ პირობას საქართველოში (მართლმადიდებელ ეკლესიაში) ჯერ კიდევ ეგზარქოსების ინსტიტუტის პირობებში მოქმედი და შევსებული აგენტურული აპარატის წევრების არსებობა წარმოადგენდა. განხეთქილების პირობების შექმნა უმოკლეს ვადაში გახდა შესაძლებელი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი ნოე ჟორდანია მიიჩნევდა, რომ საეკლესიო ქონება და სიწმინდეები წარმოადგენდნენ სახელმწიფო საკუთრებას, რაც მათი სურვილისამებრ გამოყენების უფლებას იძლეოდა. ამასთან ერთად, ჟორდანიას მიაჩნდა, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის სახით „სახელმწიფოში სახელმწიფოს“[104] ვერ შექმნიდა, რაც საქართველოს მართლმადიდებელი

[104]ნინო მიქიაშვილი. „ეკლესიის წინააღმდეგ მენშევიკურ-ბოლშევიკური ბრძოლის მოუძველებელი მეთოდები. 07.12.09. http://inter-net.ge;

ეკლესიის, როგორც სახელმწიფოს გამაერთიანებელ მნიშვნელოვან ძალაზე სახელმწიფოს მხრიდან ძალადობრივ (მათ შორის) კონტრსადაზვერვო ზემოქმედების ორგანიზებასაც გულისხმობდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გარემოება, რომ სახელმწიფოს პირველი პირი მართლმადიდებლური რწმენისაგან საერთოდ შორს იდგა, რასაც ადასტურებს კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდეს მიმართვაზე „მთავრობას და მხედრობას ლოცვებში მოგიხსენებთო", ჟორდანიას პასუხი: „თქვენი მოხსენიება ჩვენ არაფერში გვჭირდებაო".[105]



ნოე ჟორდანია[106]

სასულიერო ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებათა მიუღებლობაზე მეტყველებს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლე-

[105]ნინო მიქიაშვილი. „ეკლესიის წინააღმდეგ მენშევიკურ-ბოლშევიკური ბრძოლის მოუძველებელი მეთოდები. 07.12.09. http://inter-net.ge;

[106]„ნოე ჟორდანია-ეროვნული გმირი თუ სამშობლოს მოღალატე". https://tinnatinni.wordpress.com

ონიდეს შეფასება: „ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეჰგუებია ეკლესიას.“[107]

მართლმადიდებელ ეკლესიასა და დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას შორის კონფლიქტის მასშტაბების ზრდა სისტემატიურ ხასიათს ატარებდა, რასაც ადასტურებს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის მმართველობის პირველივე წელსვე სასულიერო სასწავლებლების გაუქმება, სასწავლებლებში საღვთო რჯულის სწავლების აკრძალვა, მმართველობიდან 2 წლის შემდგომ საეკლესიო მიწების, ქონების სახელმწიფო საკუთრებას დაქვემდებარება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ: „1918 წლის 26 აგვისტოს მონაცემებით საქართველოს საკათალიკოსოში ირიცხებოდა 1425 სამრევლო, აქედან 914 ქუთაისის გუბერნიაში, 453 თბილისის გუბერნიაში, 56 სოხუმის ოლქში, 2 განჯის გუბერნიაში, სულ მსახურობდა 1520 მღვდელი, 21 დიაკვანი და 1501 მედავითნე.“[108]

საკათალიკოსოს საეკლესიო მიწების ჩამორთმევა ეკლესიაში სოციალური ვითარების დაძაბვის, მისგან მომდინარე ეკლესიის დაშლისაკენ მიმართული ღონისძიება უნდა ყოფილიყო.

---

[107]საქ. საპატრ. არქ., კათალიკოს პატრიარქ ლეონიდეს ფონდი #6443. [ს.ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II“. თბ. 2008. გვ.49];

[108]მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. „საქართველოს ეკლესია 1918–1921 წლებში“. 23 მარტი, 2007 წელი. http://meufeanania.info;

უარყოფითი შედეგიც დადგა, რაც აისახა კიდეც 1919 წლის 9 ივნისს უწმიდესი ლეონიდის მიერ ნ.ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში: „ბერები ზოგნი შიმშილისაგან იხოცებიან, ზოგნიც კი არაფერს საიმედოს აღარ ხედავენ გარშემო.

გარბიან მონასტრებიდან და ამის გამო საქართველოს საამაყო ისტორიული ნაშთები სულ უპატრონოდ დატოვებულნი ხდებიანო".[109]



ეპისკოპოსი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონ II..[110]

პრაქტიკულად, ამ გადაწყვეტილებით საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა სოციალური

[109] ჟურნალ "მებრძოლი ათეისტი" 1941 წ. №2-3 გვ.18 [ს..ვარდოსანიძე. "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში". თბილისი, 2001 წ. www.library.church.ge];

[110] „ეკლესიის ფოტომატიანე." www.facebook.com;

და ეკონომიკური თვალსაზრისით ეკლესიაში არსებული ოპერატიული ვითარება.

ფაქტობრივად, სახეზე იყო საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით (თუ არა ორგანიზებით) მყარი დაპირისპირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოს გამთლიანებისათვის მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას გაუთავისებელი ჰქონდა, ან ანხორციელებდა საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული (სადაზვერვო) ინტერესებისათვის ხელსაყრელ ქმედებებს.

გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლებას ხელთ არ ჰქონდა შექმნილი და პროგნოზირებადი ვითარების შესახებ ოპერატიულ-ანალიტიკური მონაცემები, ან ჰქონდა და მიზანმიმართულად არ გამოიყენა ისინი.

საქართველოს ინტერესების საზიანოდ მოქმედი, უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების დამაზიანებელ ქმედებებზე ოპერატიულ-ანალიტიკური მონაცემების არქონაზე, ან არსებობაზე და მის მიზანმიმართულ გამოუყენებლობაზე მიანიშნებს ოპერატიული თვალსაზრისით დაგვიანებით 1920 წლის 21 თებერვალს კანონის მიღება „კავკასიის სინოდალური კანტორის გაუქმების შესახებ" და მისი ამოქმედება.

მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ ხელისუფლებას გააჩნდა ინფორმაციები:

- რუსულ საეგზარქოსოს შემადგენლობით დაკომპლექტებულ "სინოდალურ კანტორაში მუშაობდნენ სახელმწიფოსათვის არა სანდო ელემენტები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მკვიდრ მოსახლეობას ერთმანეთს უპირისპირებდნენ";[111]
- კანტორაში მოღვაწე პირების მხრიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის მიუღებლობაზე გამონათქვამების, პოზიციების შესახებ პრესაში;
- ეგზარქოსები საიმპერიო კარის სპეცსამსახურის ინფორმატორები იყვნენ და მათ დავალებებს ასრულებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი პოზიცია რუსეთის იმპერიის მმართველების პოზიცია და სტრატეგიული ინტერესი იყო.

<u>ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:</u>

- ✓ *საბჭოთა რუსეთი სადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აქტიურად იყენებდა რელიგიური ხასიათის ჯაშუშობას;*

[111] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. „საქართველოს ეკლესია 1918–1921 წლებში". 23 მარტი, 2007 წელი. http://meufeanania.info;

- ✓ სადაზვერვო ხასიათის ოპერატიულ-ოპერაციული ციკლის ორგანიზებას ხელს უწყობდა რელიგიურ სეგმენტზე კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში, რუსეთის იმპერიის კონტროლს დაქვემდებარების პირობებში აგენტურული აპარატის არსებობა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში სადაზვერვო აგენტურული ხასიათი შეიძინა;
- ✓ საქართველოს დამოუკიდებლობის შეწყვეტის მიზნით სადაზვერვო კონტროლის დასამყარებლად საბჭოთა რუსეთმა, სპეცსამსახურების ორგანიზებით ოპერატიული ხასიათის ოპერაციული ციკლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ისტორიულად, ქართველი ერის გამაერთიანებელი მართლმადიდებელი ეკლესიის <u>გამაერთიანებლის სტატუსის</u> დაზიანება განიზრახა ორი ძირითადი გზით:

ა) ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლს დაქვემდებარებული, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი: „რადიკალი“ სასულიერო პირების, მიზანმიმართული კომპრომენტაციის, შანტაჟის, ლიკვიდაციის გზით;

ბ) საქართველოს ხელისუფლებას და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიას შორის კონფლიქტის ინსპირირების და მისი მასშტაბების გაზრდის გზით;

- ✓ *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დასუსტების და მასში განხეთქილების უზრუნველსაყოფად სისტემატიური ხასიათი ჰქონდა სასულიერო პირების მისამართით სადაზვერვო საქმიანობისათვის დამახასიათებელ ისეთ ორგანიზაციას, როგორიცაა: ჭორების, დეზინფორმაციის გავრცელება, მათ შორის პრესის მეშვეობით;*
- ✓ *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მისამართით, საკუთარი და საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების სტრატეგიული ინტერესების თანხვედრილი დამაზიანებელი პოზიციების და ქმედებების სისტემურობა საქართველოს ხელისუფლების საბჭოთა რუსეთის სადაზვერვო შეღწევადობაზე უნდა მიანიშნებდეს, რადგან სახეზეა საქართველოს ინტერესების საზიანოდ მოქმედი, უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების დამაზიანებელ ქმედებებზე ოპერატიულ-ანალიტიკური მონაცემების არარსებობა, ან არსებობა და მისი*

მიზანმიმართული გამოუყენებლობა (არ რეა-
გირება);

3.2. საბჭოთა საქართველო, საბჭოთა კავშირის (რუსეთის) შემადგენლობაში

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ, საბჭოთა წეს-წყობილებისათვის მიუღებელი იყო მართლმადიდებლური ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის შენარჩუნება საბჭოთა საქართველოში. როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს საზოგადოებაში რელიგიური რწმენა ახალი საბჭოთა წეს-წყობილების, პოლიტიკური, სახელისუფლებო ლიდერების ავტორიტეტის დამკვიდრების ხელისშემშლელი გარემოება იყო.

მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მენშევიკური მთავრობის უდიერი დამოკიდებულება საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების პირობებში კიდევ უფრო რთულ დამოკიდებულებაში გადაიზარდა.

საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ კონტრსადაზერვო ორგანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად სასულიერო პირების მიმართ, საზოგადოების განწყობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ამ მიზნით, სათანადო ოპერატიულ-აგენტურული შეღწევადობის უზრუნველყოფა იქცა.

აგენტურულ-ინფორმაციული კუთხით შესწავლის მნიშვნელოვან ობიექტად საქართველოს კათალიკოზი [„ჩეკას“ მსტოვრები თავიანთ ჩანაწერებში მიუთითებდნენ, რომ ხალხი განსაკუთრებით აღტაცებულია კათალიკოზის საქციელით, ცდილობენ მის გამხნევებას.“[112]]

[112]სერგო ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“.გვ.83;

და შესაბამისად ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და მრევლი, ერთმანეთისადმი, სხვადასხვა პროცესებისადმი მათი დამოკიდებულებები იქცა.

კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში აქტიურ, ოპერატიულ-აგენტურულ შესწავლას „რეაქციული“ და „პროგრესიული“ სასულიერო პირთა ჯგუფები დაექვემდებარნენ, რაც „პროგრესიულ“ სასულიერო პირთა მხრიდან არსებულ ხელისუფლებასთან ლოიალურ დამოკიდებულებაზე ან (მათ შორის აგენტურული) თანამშრომლობის მაღალ ხარისხზე უნდა მიანიშნებდეს.

განვითარებული მოვლენების ანალიზმა ცხადყო, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია დესტრუქციულ ძალად ითვლებოდა.

ბოლშევიკებისათვის სასურველი იყო ამ მიმართულებით *მცირე და ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლს დაქვემდებარებული სეგმენტის შენარჩუნება, საერთაშორისო ასპარეზზე სასურველი საზოგადოებრივი აზრის (ბოლშევიკები პატივს სცემენ რელიგიურ მრწამს) მობილიზების* მიზნით.

კონტრსადაზვერვო სახიათის ოპერატიულ-აგენტურული კონტროლის ფონზე მაღალი ავტორიტეტის ხარისხის შესამცირებლად საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების საქმიანობა *მართლმადიდებლური ეკლესიის კომპრომეტაციისკენ* იქნა მიმართული.

ასეთი ორგანიზების ფარგლებში საბჭოთა კავშირში, (რომლის შემადგენელი ნაწილი საბჭოთა სა-

ქართველოც იყო), არსებობდა პოლიტიკური ნების ვექტორი, რომლის მიხედვითაც კორდინირებულად მოქმედებდა სახელმწიფოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლება.

ამ კუთხით საინტერესეოა საბჭოთა კავშირის მეთაურის, ლენინის მიერ 1922 წლის 10 ნოემბერს, საბჭოთა ლიდერის ვ.მოლოტოვისადმი მიმართვა, რომლის მიხედვითაც აუცილებლობას წარმოადგენდა დაწყებულიყო „საეკლესიო განძეულობათა ამოღება ყველაზე გააფთრებული და დაუნდობელი ენერგიით, უკან არ დავიხიოთ ნებისმიერი წინააღმდეგობის ჩასახშობად.

განძეულობათა ამოღება ყველაზე მდიდარი ლავრებიდან, მონასტრებიდან, ეკლესიებიდან ჩატარდეს დაუნდობელი მოქმედებით.

ასე რომ, არაფერს მოვერიდოთ და ავასრულოთ კიდევ უმოკლეს ვადაში. ამ საბაბით, <u>რაც უფრო მეტ ბურჟუაზიისა და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელს დავხვრეტთ, მით უკეთესი</u>".[113]

ამ მიმართულებით საინტერესოა მიმოვიხილოთ საბჭოთა საქართველოში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესიის მისამართით საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული აგენტურული ღონისძიებები.

მათი დაწყების საკანონმდებლო საფუძვლად საქართველოს რევკომის 1921 წლის 15 აპრილის №21 დეკრეტი (დადგენილება "სახელმწიფოსაგან ეკლესიისა

[113]ზურაბ ოდილავაძე. „რუსული ოკუპაცია – 1921 – 1924 წლები." 25-02-2014,http://iveria.biz;;

და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ")[114]გახდა, რასაც პირველ ეტაპზე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადება, ხოლო უმოკლეს პერიოდში ქონების ჩამორთმევა მოჰყვა. საბჭოთა ლიდერის პოზიცია, ბოლშევიკური სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისი საკანონმდებლო ორგანიზება სპეცსამსახურების მომავალი მოქმედებების პროგნოზირების საუკეთესეო საშუალებას იძლეოდა: „იმ შემთხვევაში, უკე-თუ გამოაშკარავდება რელიგიური საზოგადოების მონაწილეობა კონტრევოლუციურ გამოსვლებში, ანდა, უკეთუ გამოაშკარავდება საეკლესიო ქონების ბოროტად გამოყენება ან მისი გაფლანგვა, ხელშეკრულება რელიგიურ საზოგადოებასთან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მოიშლება, ტაძარი სხვა რელიგიურ საზოგადოებას გადაეცემა, ხოლო დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენი კი მიეცემა სამართალში."[115] ***გამოდის რომ აქტიურ აგენტურულ შესწავლას რელიგიურ სექტორთან დაკავშირებული ყველა პირი, მათი დამოკიდებულებები და განწყობები წარმოადგენდა.***

საკანონმდებლო ორგანიზაციის ფონზე სახელმ-

---

[114]„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1932 წლებში." თავი I . www.library.church.ge;

[115][ი.ვარძიელი. „მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი, გაზ.„კომუნისტი", N294, 21 დეკემბერი, 1923 წ.] მ.ბურდიაშვილი. ი.გოგებაშვილის სახ. თელავის სახ.უნივ-ტი. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924 წლებში."ისტ. დოქტ. აკად. ხარ. მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თელავი. 2013. გვ.67;

წიფოს მხრიდან მიზანმიმართულად ორგანიზებული იყო ისეთი ოპერატიული ხასიათის ოპერაციული და აგენტურული პროცესები, როგორიცაა:

➢ *სასულიერო პირებზე ჭორების გავრცელება: [მათ შორის:*

- ოფიციალურ პრესაში მიზანმიმართულად არ წყდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო დისკრედიტაცია [მაგალითად, „სამღვდელოებამ შეთითხნა ჭორები, ინსინუაციები, ცილისწამებანი და გაგზავნა გენუის კონფერენციაზე იმ იმედით, რომ ევროპა იხსნიდა მათ.[116]], რაც *ამ სეგმენტზე კონტრსადაზვერვო ხასიათის აგენტურულ შეღწევადობაზე უნდა მიანიშნებდეს*.
- კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში *ოპერატიული კონტროლის უზრუნველმყოფ სახელმწიფო უწყებას* წარმოადგენდა *რელიგიის რწმუნებულთა აპარატი,* რომელსაც ევალებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კონტროლი, სასულიერო პირებზე ჭორებისა და ცილისწამების გავრცელება, დაშანტაჟება და ასე შემდეგ.[117]
- კონტრსადაზვერვო ორგანიზაციით მართლმადიდებელი ეკლესიის დასუსტების და დისკრედიტაციის

[116] „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1932 წლებში.“ თავი I. www.library.church.ge;

[117] „ინტერვიუ პროფ.ს.ვარდოსანიძესთან“. ნ.ხაჩიძე. „როგორ ამოიღეს ბოლშევიკებმა საფლავებიდან მერვე საუკუნის წმინდანების ნეშტები და რა განაჩენი გამოუტანა 12 საუკუნის მიცვალებულებს სასამართლომ.“ www.tbiliselebi.ge;

მიზნით, საბჭოთა სპეცსამსახურების მხრიდან აქტიური ღონისძიებები ტარდებოდა *სასულიერო პირებს შორის დაპირისპირირების ინსპირირების და მისი გაფართოების თვალსაზრისით.*;

1925 წლის შემოდგომაზე ქუთაისის ეპარქიაში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით დაიმედებული ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), წირვის შემდგომ, ქუთაისის მთავარანგელოზის საკრებულო ტაძარში მრევლს აცნობებს, რომ „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო, ეპარქიის ჩემდამი უარყოფითად განწყობილ ადამიანებში ცილს მწამებენდა ცდილობენ ჩემი ეპარქიიდან გადაყვანას.“[118]



მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე) [119]

[118] „საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დ.კაჭახიძე, საქმე#151523.“გვ.37[ს.ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“.გვ.122];

[119] „მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე) (1872-1935).“ www.orthodoxy.ge;

[1922 წლის 29 აპრილიდან დავითი ჭყონდიდის ეპარქიის მმართველია. ამ პერიოდში ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად რამდენიმე დღით აპატიმრებენ, ხოლო 1924 წლის მარტში საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით, ალავერდის ეპარქიაში, ხოლო 1924 წლის ნოემბრიდან მეუფე დავითი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინეს.

- ✓ „1927 წლის 4 იანვრის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებით უწმინდეს ამბროსის ჩამოართვეს საკათალიკოსო და საეპარქიო კანცელარია, რომელიც გადაეცა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას“.[120]

მიტროპოლიტი დავითის კონტრსადაზვერვო ხასიათის კომპრომეტაციის ორგანიზებაში მონაწილეობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს, ხასიათის და განწყობის დამადასტრურებელი, მისივე გაკეთებული ჩანაწერი:„ქუთათელმა ეპისკოპოსმა განაჩინა: კათალიკოზ -პატრიარქმა ამბროსიმ მოისვენოს საავადმყოფოში, ცოლიანი მიტროპოლიტი (?) კალისტრატე გაგზავნილ იქნას გამასწორებელ სახლში, რათა არეული აზრები დაიწყნაროს, საკათალიკოზო საბჭოს სხვა წევრებს... ალიყული“.

ყოველივე სპეცსამსახურების მიერ სასულიერო პირების ფსიქოლოგური პორტრეტის

[120]ს.ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“.გვ.133;

შექმნის მიზნით განხორციელებულ ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის ორგანიზებაზე მიანიშნებს.

კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის ხასიათის იდეოლოგიური პროპაგანდის ფარგლებში: საბჭოთა ხელისუფლება *სასულიერო პირთა სასამართლო პროცესებს ღიად* მართავდა, რასაც ქვემომინიშნებული ფოტო-სურათი და პროცესები ადასტურებს .



სასულიერო პირთა ღია სასამართლო პროცესი პეტროგრადში, საეკლესიო ძვირფასეულობაზე.[121]

„1924 წლის 10-19 მარტს ნაძალადევის სახალხო თეატრში (შემდგომში კინოთეატრი „საქართველო") საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების სასამართლო პროცესი მიმდი-

[121]1922. Май-июнь. Процесс в Петрограде по делу о церковных ценностях. www.apocalyptism.ru;

ნარეობდა.“[122] *განსაკუთრებული აქტივობებით მართლმადიდებლური ეკლესიის საწინააღმდეგო პროპაგანდა ხორციელდებოდა: ა)ბოლშევიკურ გაზეთებში* [რაზედაც მეტყველებს სასულიერო პირების კომპრომენტაციისათვის მომზადებული პუბლიკაციის სათაურები: „ბნელეთის მოციქულები“, „საბჭოთა ხელისუფლების შეუნიღბავი მტრები“];[123]

ბ)*კინო და თეატრის საღამოებზე[სურათის წყარო[124]*



[122]ს.ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II“. თბილისი. 2008. გვ.58;

[123]ს.ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“.გვ.69;

[124]„80 лет назад в СССР была объявлена "безбожная пятилетка"." http://foto-history.livejournal.com;

გ) ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში კარიკატურული პლაკატების გაკვრით[სურათის წყარო[125]]



– რწმენის კომპრომეტაცია

[საერთაშორისო ასპარეზზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებისაგან თავის არიდების მიზნით, საბჭოთა ხელისუფლების და სპეცსამსახურის მაორგანიზებელი კვალის დასაფარად, მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციისათვის მოსახლეობაზე სათანადო ფსიქოლოგიური ზემოქმედების და განწყობის შექმნის მიზნით, მოსახლეობის მასობრივი შეკრებების ორგანიზება და „სახალხო“ დოკუმენტალური გადაწყვეტილების მიღება. გამოთქმული მოსაზრების დასტურია, 1923 წლის 19 იანვარს ამბრო-

[125]Алексей Федько. „Антирелигиозная кампания советской власти в 1920-е годы на территории Донбасса.“ http://infodon.org.ua;

ლაურის მაზრის სოფელ სადმელში მიღებული სახალხო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც:"სოფელ სადმელის მცხოვრებთა კრება აღიარებს, რომ ეკლესია და სარწმუნეოება დღემდე ემსახურებოდა კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის განმტკიცების საქმეს, ახშობდა მშრომელთა მასების გონებას, რათა უკეთ დაემონავებინათ ისინი ძალა მქონეთათვის ამა ქვეყნისა. ეკლესია და სარწმუნებობა ეს კერა იყო სიბნელისა და გაუნათლებლობისა. სიამოვნებით ვეგებებით მომხსენებლის მოწოდებას, ვებრძოლოდ სარწმუნეობრივ გაიძვერობას, მოვსპოთ საყდარი და ავაგოთ ტაძარი სინათლისა და ცოდნისა. გაუმარჯოს კომუნიზმს."][126].

ეკლესიების ნგრევა, დარბევა



ბოლშევიკების მიერ მართლმადიდებლური ტაძრების ნგრევა[127]

[126]მიხ.ბასილაძე.„უღმერთოები".https://matiane.wordpress.com;

[127]„Большевиков нужно было уничтожать." http://nnm.me;

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს „საქართველოში მოქმედი იყო 1450 ეკლესია, 25 მონასტერი, ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600 კაცი“[128] „მარტო 1923 წელს საქართველოში დახურეს 600-ზე მეტი ეკლესია.“[129]

- *საეკლესიო სიძველეების ჩაბარების დროს საეკლესიო განძეულობის მიტაცება-მითვისება [მათ შორის:*



მართლმადიდებლური ტაძრების ძარცვა.[130]

- ✓ „საეკლესიო სიძველეების ჩაბარების დროს იყო არაერთი შემთხვევა, როცა ცალკეული უპასუხისმგებლო პირები ითვისებდნენ საეკლესიო განძეულობას.“ [131]

---


[128]ს.ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“.გვ.65-66;

[129]ს.ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II“.თბ. 2008. გვ.57;

[130]Война Троцкого и Ленина против Церкви. www.rusidea.org;

✓ „საქართველოში დარჩენილი სიწმიდეები ბოლშევიკებმა ოქრო-ვერცხლი ზოდებად ჩამოასხეს, ხოლო მათთვის უსარგებლო სიწმიდეები გაანადგურეს.“[132]

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტი,[133] პროცესის ორგანიზებულობაზე მიანიშნებს.



✓ *1936 წლისათვის საკანონმდებლო ორგანიზებით რაიონების მიხედვით ზარების ჩამოხსნა-ჩაბარების გეგმა არსებობდა.*


---

[131]ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, მ. ჯაფარიძე, „საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში.“ თბ., 2008 წ. გვ.126. [მ.ბურდიაშვილი. ი.გოგებაშვილის სახ.თელავის სახ.უნივ.„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924 წწ.“ ისტ. დოქტ. აკად. ხარ. მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თელ. 2013. გვ.67];

[132]მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. „საქართველოს ეკლესია 1918- 1921 წლებში“. 23 მარტი, 2007 წელი. http://meufeanania.info;

[133] სერგო ვარდოსანიძე:“ისევ საეკლესიო ზარების შესახებ.“ 25 ივნისი, 2015. http://reportiori.ge/old/?menuid=3&id=70179;

ბოლშევიკების მიერ დანგრეული და დარბეული მართლმადიდებლური ტაძრებიდან საელესიო ზარების გადასადნობად ჩამოხსნის, საეკლესიო ქონების განადგურების ორგანიზაცია ასახულია ამ ფოტოსურათებზე.[134]



ბოლშევიკების მიერ საეკლესიო სიმდიდრეები პირადი მოხმარების გარდა, ქვეყანაში უმძიმესი ოპერატიული, შესაბამისად, უმძიმესი პოლიტიკური, სოციალური,

[134] Н Е. Емельянов. „Оценка статистики гонений на Русскую Право-славную Церковь (1917–1952 годы "http://svavva ru;Пресса о ПСТГУ Преодоление или непреодолимая боль? http://pstgu.ru /news/press/2012/11/14/41279/, 1921, IKEA. М. Горький и Юра (музыкант) взвешивают абажуры. https.//unussr.dirty ru/1921-ikea-799228/;www.pravmir.ru/feliks-razumovskij-goneniya-na cerkovnachalis-do-oktyabrya-1917-goda/; Феликс Разумовский. Гонения на Церковь начались до октября 1917 года. Л.ВИНОГРАДОВ ,Ф.РАЗУМОВСКИЙ 21.10.2013Г. *www.pravmir.ru/feliks-razumovskij-goneniya-na-cerkov-nachalis-do-oktyabrya-1917-goda/;*В ЕВРОПЕ ВПЕРВЫЕ ПРОЙДЕТ ВЫСТАВКА, ПОСВЯЩЕННАЯ ГОНЕНИЯМ НА ЦЕРКОВЬ В СОВЕТСКИЕ ГОДЫ. *Москва, 14 марта 2013 г www pravoslavie.ru/ 60088 html;*

ეკონომიკური ვითარების გამოსწორებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სრულყოფისათვის გამოიყენებოდა.

სასულიერო პირების ეკლესიიდან დათხოვნის პირობების მიზანმიმართული შექმნა

[საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის პატიმრად ყოფნის დროს, 1923 წლის სექტემბერში საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით პატრიარქის „ყოფნა საქართველოს ეკლესიის სათავეში ამჟამად ვნებას აყენებს ეკლესიას".[135] მას ბრალად სდებდნენ ყველა უბედურებას, რაც ბოლშევიკებმა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ჩაიდინეს. მათ ქმედებათა გამომწვევ მიზეზად საქართველოს დამოუკიდებლობის ძალადობრივი დაკარგვის შესახებ პატრიარქის გენუის კონფერენციისადმი 1922 წლის 7 თებერვლის მიმართვა სახელდებოდა. ჩამოთვლილი მიზეზების გამო ურჩევენ პატრიარქს თავისი ადგილის დათმობას სხვა სასულიერო პირზე. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკულად უმოტივაციოთ, არსებული ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად მოქმედი ჯგუფის წევრებს [ურბნელი ეპისკოპოსი: ქრისტეფორე (ციცქიშვილი), ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ეპისკოპოსები: სვიმეონი (ჭელიძე), ნესტორი (ყუბანეიშვილი).] შორის საბჭოთა სპეცსამსახურებს არჩევანის საშუალება გააჩნდა. ***პრაქტიკულად სახეზე იყო*** საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი კათალიკოს-პატრიარქის, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობიდან ძა-

[135] „მღვდელმთავრობის ხანა." www.wmindagiorgi.ge;

ლადობრივი გზით ჩამოცილების ორგანიზება, რაც იმ პერიოდის სპეცსამსახურების მხრიდან კონტრსადაზვერვო აგენტურული და ოპერაციული პროცესის ორგანიზების შემადგენელ ნაწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ].

- *ტაძრების კლუბად, სკოლად ან პირუტყვის სადგომად, საპატიმროდ, გადაკეთება, რასაც სპეცსამსახურების კონტროლის ქვეშ წინ უძღოდა სათანადო საზოგადოებრივი აზრის მობილიზება:[მათ შორის:*
  - ✓ ქ.ზუგდიდში მცხოვრები მოქალაქე კონსტანტინე კილასონია ადგილობრივ ხელისუფალთაგან მოითხოვდა: „შუამდგომლობას ზუგდიდის ეკლესიის კლუბად გადაკეთების შეჩერების შესახებ.“[136]

  - ✓ 1923 წლის 19 იანვარს ამბროლაურის მაზრის სოფელ სადმელში მიღებული სახალხო რეზოლუციის მიხედვით მოსახლეობა აცხადებდა, რომ მზად ვართ პირველ მოთხოვნილებისამებრ გამოვიყენოთ ტაძრის შენობა სკოლისათვის, კლუბისთვის, სამკითხველოსთვის და სხვა. ძირს სარწ-

[136]საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი 1923–(სუიცსა), ფ.285, აღწ.1, საქ.480, 1923 წ. [მ.ბურდიაშვილი. ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახ. უნივ. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924 წლებში.“ ისტ. დოქტ. აკად. ხარ. მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თელავი 2013. გვ.67;

მუნოებრივი გაიძვერობა, გაუმარჯოს განვითარებისაკენ წინსვლას;[137]

- ✓ „1923 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაკეტილი ეკლესიების საყოფაცხოვებო ობიექტებად გადაკეთებისათვის 5 მილიარდი მანეთი გამოყო. ყველაზე ხშირად ტაძარს კლუბად, საწყობად და თეატრად იყენებდნენ. თბილისში ნაძალადევის რაიონის ეკლესია აბანოდ მოაწყეს, დაბა წყნეთში პურის საცხობი გახსნეს.
- ✓ აფხაზეთში ახალი ათონის მონასტერი არასრულწლოვანთა კოლონიად გადააკეთეს. დიღმის ეკლესიაში კი სასაკლაო გახსნეს, სადაც პირუტყვს პირდაპირ საკურთხეველთან ატყავებდნენ.“[138]
- ✓ „თბილისში კრწანისის #82-ში მდებარეობს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც ბოლშევიკების დროს საცხოვრებელ სახლად იყო გადაკეთებული].

➢ *სამარხებისა და წმინდა სავანეების ხელყოფა [მათ შორის:*

- ✓ 1923 წლის 23 იანვარს ქუთაისში რელიგიის მორიგი გასამართლება შედგა, სადაც დაადგინეს, რომ გაეხსნათ მოწამეთას მონასტერში დაცული წმინდანების: კონსტანტინესა და დავითის წმინდა ნაწილები.

  წმინდანთა ნეშთი კომუნისტებმა მოწამეთას მონასტრიდან ქუთაისში ჩამოიტანეს და ქალაქის ქუჩებში ორი კვირის განმავლობაში ურმით დაატარებდნენ.

---

[137] მიხეილ ბასილაძე.„უღმერთოები“.https://matiane.wordpress.co;

[138] იქვე;

იგივე მოხდა ნიკორწმინდაში, სადაც ნიკორწმინდის თემის კრებაზე ტაძრიდან წმინდა ნიკოლოზის მკლავი გამოიტანეს და საჯაროდ დაწვეს.][139];

- ***სპეცსამსახურების თანამშრომლების იდეოლოგიური დამუშავების შედეგად სასულიერო პირების მიმართ ზიზღის შთაგონება:[მათ შორის:***

- ✓ *[1924 წლის 11 სექტემბერს, გორის მაზრაში ბოლშევიკებმა აჯანყებაში ეჭვმიტანილ „სასულიერო პირებს ცოცხლად ჯერ წვერ-ულვაში დააგლიჯეს და მხოლოდ შემდეგ გამოასალმეს სიცოცხლეს...*
- ✓ *ტირიფონის ველზე დახვრიტეს ძმები პეტრე და ანდრია კარბელაშვილები. მათ კიდევ ორი ძმა ჰყავდათ–პოლიექტოსი და ვასილი.*

ოთხივენი საგალობლების შესანიშნავი შემსრულებლები და პოპულარიზატორები იყვნენ. ძმებიდან ერთ-ერთი, ვასილ კარბელაშვილი ქართლ-კახური საეკლესიო საგალობლების კრებულის ავტორი გახლდათ“.];[140]

- ***სხვადასხვა ძალადობრივი ზემოქმედებით მღვდლობის მიტოვებისათვის სათანადო პირობების შექმნა:***

- ✓ სასულიერო პირებს აიძულებდნენ, უარი ეთქვათ საღვთო მსახურებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქ-

---

[139]მიხეილ ბასილაძე..,,უღმერთოები“.https://matiane.wordpress.co;

[140]ზურაბ ოდილავაძე. „რუსული ოკუპაცია – 1921 – 1924 წლები.“ 25-02-2014,http://iveria.biz;

რებოდნენ გადასახლებით, განკულაკებით და დახვრეტითაც კი.[141]

- ✓ *მღვდლებზე წვერის იძულებითი გაკრეჭა;*
- ✓ *ტაძრების დაკეტვა, მრევლზე წირვა-ლოცვებზე დასწრებაზე ხელშეშლა;*

ხელისუფლების მითითებით, საბჭოთა სპეცსამსახურების მხრიდან დამრთგუნველი, ძალადობრივი ზემოქმედების მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მისამართით არ წყდებოდა საპროტესტო გამოსვლები].

<u>ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:</u>

- *საბჭოთა სისტემისათვის მართლმადიდებლური ეკლესია წეს-წყობილების შენარჩუნების თვალსაზრისით მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა;*
- *მართლმადიდებლური ეკლესიის გაუვნებელყოფა, საკანონმდებლო ორგანიზების ფონზე ხორციელდებოდა:*

ა) <u>ოპერატიულ-აგენტურული კონტროლით სასულიერო სექტორის უზრუნველყოფა</u>

<u>ოპერატიულ-ოპერაციული საქმიანობის მიმართულებები:</u>

---

[141] „ინტერვიუ პროფესორ ს. ვარდოსანიძესთან". ნ.ხაჩიძე. როგორ ამოიღეს ბოლშევიკებმა საფლავებიდან მერვე საუკუნის წმინდანების ნეშტები და რა განაჩენი გამოუტანა 12 საუკუნის მიცვალებულებს სასამართლომ . www.tbiliselebi.ge;

- *სპეცსამსახურების თანამშრომლების იდეოლოგიური დამუშავების შედეგად სასულიერო პირების მიმართ ზიზღის შთაგონება;*

- *დისკრედიტაციის მიზნით სასულიერო პირებზე ჭორების გავრცელება;*

- *სასულიერო პირებს შორის დაპირისპირების ინსპირირება და მისი გაფართოება;*

- *სასულიერო პირთა სასამართლო პროცესებს ღიად და მასშტაბურად გამართვის ორგანიზება;*

- *მართლმადიდებლური ეკლესიის საწინააღმდეგო პროპაგანდა ბოლშევიკურ გაზეთებში, კინო და თეატრის საღამოებზე, ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში კარიკატურული პლაკატების გაკვრით;*

- *ოპერატიულ-აგენტურულ-ოპერაციული ხასიათის პროცესებით ხელისუფლებისათვის მიუღებელი კათალიკოს-პატრიარქის მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობიდან ძალადობრივი გზით ჩამოცილების ორგანიზება;*

ბ) მღვდელთმთავრების მრევლთან ურთიერთობის აკრძალვის ორგანიზება მართლმადი-

დებლური ეკლესიის მოსახლეობაზე ზეგავლენის ნეიტრალიზაციისათვის„;

ოპერატიულ-ოპერაციული საქმიანობის მიმართულებები:

- სათანადო ფსიქოლოგიური ზემოქმედების და განწყობის შექმნის მიზნით, მოსახლოების მასობრივი შეკრებების ორგანიზება და „სახალხო“ დოკუმენტალური გადაწყვეტილების მიღება ტაძრების უმოქმედობის ორგანიზებისათვის;

- ეკლესიების ნგრევა-დარბევა;

- საეკლესიო სიძველეების ჩაბარების დროს საეკლესიო განძეულობის მითვისება;

- სასულიერო პირების ეკლესიიდან დათხოვნის პირობების მიზანმიმართული შექმნა ;

- ტაძრების კლუბად, საცხოვრებელ სახლად, სკოლად, პირუტყვის სადგომად, ან საპატიმროდ გადაკეთება;

- სამარხებისა და წმინდა სავანეების ხელყოფა;

- *ძალადობრივი ზემოქმედებით მღვდლობის მიტოვებისათვის სათანადო პირობების შექმნა.*

4. საბჭოთა საქართველოს კონტრსადაზვერვო მიმართულების ოპერატიული ხასიათის აგენტურული და ოპერაციული ორგანიზება.

საქართველოს გასაბჭოების პირველ ეტაპზე ოპერატიული ვითარების ანალიზი საბჭოთა სპეცსამსახურებს აძლევდა საშუალებას დასკვნებისათვის, რომლის მიხედვითაც, არსებობდა მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენის, გაძლერების მაღალი ალბათობა, რაც არსებული წეს-წყობილების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვან რისკებს შეიცავდა.

კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში ოპერატიული ხასიათის აგენტურული-ოპერაციული ორგანიზების მასშტაბებმა თანდათანობით გაფართოება დაიწყო.

1922 წლის საპროტესტო გამოსვლების დროს „დაკეტეს ეკლესიები, მიუჩინეს ყარაულები, ხოლო ეკლესიის ბევრი მსახური, ვინც გაბედა და ზარი დარეკა, მაშინვე დააპატიმრეს.“[142]

პირველ რიგში 1922 წელს დააპატიმრეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი /ხელაია/, რომელმაც 1921 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი გაგზავნილი წერილით [„ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ დაარწ-

[142]მაია ბურდიაშვილი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924 წლებში.“ ისტ. დოქტ. აკად. ხარ. მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თელავი 2013. გვ.93;

მუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე... დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ-დაცულ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა, მიტაცებისაგან.“][143]საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოება შეახსენა.

განცხადება საბჭოთა *წეს-წყობილების კომპრომენტირების თვალსაზრისით*, საერთაშორისო საზოგადეოებრივი აზრის მობილიზებისათვის ხელსაყრელი პირობა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ *სადაზვერვო აქტივობების ხელშემწყობი გარემოება* იყო. სწორედ ამიტომ, ამ ქმედებას კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში კათალიკოს-პატრიარქის და საკათალიკოსო საბჭოს წევრების *დაპატიმრება* მოყვა, რასაც სისტემისათვის დამახასიათებელი *ოპერატიული ხასიათის აგენტურული დამუშავების პროცესი* თან დაერთო.

პროცესის ირგვლივ *სახელმწიფოს შიგნით უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების და მასობრივი პროტესტის წარმოქმნის პრევენციის მიზნით*, საბჭოთა სპეცსამსახურების კონტროლქვეშ საბჭოთა პრესაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას *კომპრომეტაცია* დაიწყო, რაც *პრესა-*

[143]ს. ვარდოსანიძე. „კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი.“ თბ., გამომ-ცემლობა „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2011 წ. გვ.68;

*ში კონტრსადაზვერვო ხასიათის აგენტურულ შეღწევადობა*ზე მიანიშნებს.

ამ პროცესის უშედეგობის შემთხვევაში, (როგორც წინა თავში ავღნიშნეთ) საბჭოთა სპეცსამსახურებს გააჩნდათ კათოლიკოს-პატრიარქის ჩამნაცვლებელი პერსპექტიული ჯგუფი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების აღიარებასთან ერთად, სავარაუდოდ, საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა (ე.ი „პერსპექტიული ჯგუფის“ წევრები) კიდეც.

ისტორიკოსი ს.ვარდოსანიძე მიიჩნევს, რომ „ამ ჯგუფს შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი, ქრისტეფორე ციცქიშვილი და ქუთათელი ეპისკოპოსი, შემდეგ მიტროპოლიტი დავით კაჭახიძე ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც აცხადებდნენ, *რომ მოძველდა ის დოგმები*, ის მართვის სტილი, რაც საუკუნეების მანძილზე ჩვენს ხალხს დღემდე ასე შეუბღალავად მოუტანია.“[144]

გამოთქმული მოსაზრების სისწორეს ადასტურებს ის ფაქტი, რომ კათალიკოს-პატრიარქის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდგომ, *სპეცსამსახურების კონტროლირებადი ჯგუფის* ინიციატივით, *ამბროსი ხელაიას დაუკითხავად საეკლესიო კრებას იწვევენ და მას გადაყენებულად აცხადებენ*, რაც საეკლესიო ხასიათის *ძალადობრივ გადატრიალებას უნდა ნიშნავდეს*.

მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლეს იერარქიაზე

---

[144]ნინო მიქიაშვილი. „ეკლესიის წინააღმდეგ მენშევიკურ-ბოლშევიკური ბრძოლის მოუძველებელი მეთოდები). 07.12.09. http://internet.ge

სწორედ „პერსპექტიული ჯგუფის“ წევრების განფენა განხორციელდა.

პრაქტიკულად, მინიშნებული *არჩევნები* ეს იყო *სპეცსამსახურების ოპერაციული გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი* და რეაგირება "ჩეკას" თავმჯდომარე კოტე ცინცაძის მიერ კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაკითხვაზე ფიქსირებულ პასუხზე [„დასმულ შეკითხვაზე „ვინ მოგცათ უფლება ხალხის სახელით გამოსვლისა, ვინ ამოგირჩიათ თქვენ საქართველოს ოპეკუნად?" უწმიდესი ამბროსის პასუხი იყო ღირსეული - ამომირჩია გელათაში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ, მორწმუნე ქართველობისაგან შემოკრებილმა, შემოსილი ვარ იურიდიული და ზნეობრივი უფლებებით, როგორც მამამთავარი აღვიმაღლო ხმა, როდესაც ჩემს ერს საქმე უჭირს, როდესაც ისეთი ვითარება იქმნება, რომელშიც შეუძლებელი ხდება ერის რელიგიურ-ზნეობრივი სახის შენარჩუნება, როდესაც ერს ერთმევა საშუალება თავისუფალ მოქალაქეობისა"[145]].

სისტემისათვის დამახასიათებელი, *კონტრსადაზვერვო ხასიათის ანალიტიკური და ოპერაციული ორგანიზების* დამადასტურებელია ხელსაყრელი პირობის, *პატრიარქის პატიმრობისას მართლმადიდებლური*

[145]„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1932 წლეებში. თავი I საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში /1921-27წ.წ.“ www.library.church.ge;

ტაძრების დახურვის პროცესის ორგანიზება: „1923 წლის თებერვალ-მარტში...სენაკის მაზრაში დაიხურა ყველა ეკლესია, თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისის მაზრაში 160, შორაპნის მაზრაში 148, ოზურგეთის მაზრაში 130, რაჭა-ლეჩხუმში 255, გორის მაზრაში 78, ზუგდიდის მაზრაში 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის ზონაში 60 ეკლესია-მონასტერი".[146]

სასულიერო პირთა კონტრსადაზვერვო ხასიათის მყარ ოპერატიულ-აგენტურულ შეღწევადობას ადასტურებს, ფაქტობრივი (არსებული) ხელისუფლების, წეს-წყობილების ძალადობრივი დამხობის მაორგანიზებელ ძალასთან თანამშრომლობის კონტროლი:

- 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით საქართველოს საგანგებო კომისიის („საქჩეკა") მიერ დახვრეტილი იქნა 45 საეკლესიო პირი.[147]
- „1924 წელს ქუთაისში დახვრიტეს ეპისკოპოსი ნაზარი /ლეჟავა/, *აჯანყებულთა თანადგომისათვის* 1924-37 წლებში განადგურებულ იქნა ქარ-

[146] ი.კვესელავა "ანტირელიგიური ღონისძიებანი საქართველოში 1921-25 წლებში" იხ. ჟურნალი "მაცნე" ისტორიის სერია 1979 წ. №1. გვ 72. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1932 წლეებში. თავი I საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში /1921-27წ.წ. www.library.church.ge;

[147] თენგიზ ენდელაძე. „ტრაგიკული 1924." თბ.2004. გვ.33;

თული სამღვდელოების საუკეთესო ნაწილი, დაიკეტა და დანგრეულ იქნა მრავალი ეკლესია.

იმხანად სახელმწიფოს მიზანი იყო საეკლესიო ქონების მიტაცება და ოპოზიციურად განწყობილი სამღვდელოების განადგურება“,[148] რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოს მოსახლეობაში მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა საკმაოდ მასშტაბური იყო, რაც ბოლშევიკთა კერპებად და საბჭოთა წეს-წყობილების მისაღებად ქცევის პროცესს ხელს აშკარად უშლიდა.

მართლმადიდებლური ეკლესიის ნეიტრალიზაციის მიზნით საბჭოთა კავშირში კონტრსადაზვერვო ხაზით აგენტურულ-ინფორმაციული ორგანიზების უზრუნველმყოფი სახელმწიფო სტრუქტურის, რელიგიის რწმუნებულთა აპარატის შექმნა-საქმიანობა ხორციელდებოდა.

1947 წლიდან 1990 წლამდე საბჭოთა საქართველოში რელიგიის საქმეთა რწმუნებულების ინსტიტუტი ანხორციელებდა დამთრგუნველი ზემოქმედების მაინსპირირებელ ისეთ ქმედებებს, როგორიცაა:[149]

- ✓ სასულიერო პირებისთვის დიდი საშემოსავლო გადასახადების დაწესება;

---

[148] ნინო ყიფშიძე. „საპატრიარქოს საგანძურის გატანა და პატრიარქის არჩევნების გაყალბება.“ http://www.oldorthodox.ge;

[149] „სუდარის ჩამოხსნა ეკლესიიდან.“ [სერგო ვარდოსანიძე, "ახალი 7 დღე"]; http://boqlomi.blogspot.com;

- ✓ მიუღებელი სასულიერო პირების მიმართ შეურაცხმყოფელი ჭორების გავრცელება.“

გამოდის, რომ ამ პერიოდისათვის მართლმადიდებლური რელიგია და სასულიერო პირები საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის და წესწყობილებისათვის მიუღებელ და დესტრუქციულ ძალას წარმოადგენდა.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

- ✓ *საბჭოთა სისტემისათვის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ძლიერება და ერთიანობა რუსეთის იმპერიის მსგავსად კატეგორიულად მიუღებელი იყო;*
- ✓ *მართლმადიდებლური ეკლესიის დასასუსტებლად საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციაში კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში წარმატებულად შეძლეს ოპერატიული ხასიათის აგენტურული და ოპერაციული, სისტემურობით გამორჩეული ციკლის წარმოება;*
- ✓ *სპეცსამსახურების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სასულიერო პირების მხრიდან საბჭოთა წეს-წყობილების კომპრომეტირების თვალსაზრისით საქმიანობის აღკვეთა წარმოადგენდა, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო არენაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზების გამოსარიცხად, რადგან იგი სადაზვერვო აქტივობების ხელშემწყობი გარემოება იყო.*

- ✓ საბჭოთა სპეცსამსახურებმა სასულიერო პირების მასობრივი დაპატიმრება-ოპერატიული დამუშავების პროცესების პარალელურად სასულიერო პირების მასშტაბური კომპრომეტაცია განახორციელეს, რომელსაც წინ უსწრებდა პრესის წარმატებული ოპერატიულ-აგენტურული კონტროლი, რაც მასობრივი პროტესტის და არეულობის თავიდან აცილების პრევენციის საშუალებად გამოიყენებოდა;
- ✓ საბჭოთა სპეცსამსახურების კონტროლქვეშ, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში განხეთქილების შეტანის და გაფართოების მიზნით სასულიერო პირთა შორის ჩამოყალიბდა ე.წ. მოდერნისტული ფრთა, საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით პატრიარქის ძალადობრივი გადაყენების ოპერაციაში აქტიური მონაწილეობის მიღების მიზნით;
- ✓ კონტრსადაზვერვო ოპერატიულ-ანალიტიკური და ოპერაციული ორგანიზებისას მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის გასანეიტრალებლად პატრიარქის პატიმრობის პარალელურად და შემდგომ სასულიერო პირების დაკავება-გადაბირება, დახვრეტის პროცესებთან ერთად, მართლმადიდებლური ტაძრების მასშტაბური დახურვის უზრუველყოფა ხდებოდა;
- ✓ სასულიერო პირთა კონტრსადაზვერვო ხასიათის მყარ ოპერატიულ-აგენტურულ შეღწევადობას და კონტროლს განაპირობებდა მართლმადიდებლური ეკლესიის ნეიტრალიზაციის მიზნით კონტრსადაზვერვო ხაზით მოღვაწე სახელმწიფო სტრუქტურის, რელიგიის რწმუნებულთა აპარატი;

- ✓ *სასულიერო პირთა აგენტურული კონტროლის თონ-ზე შესაძლებელი ხდებოდა ისეთი ხელსაყრელი დამრთგუნველი მეთოდების შერჩევა, როგორიცაა: მიზანმიმართული დისკრედიტაციის თონზე სასულიე-რო პირებისთვის დიდი საშემოსავლო გადასახადე-ბის დაწესება;*

4.1. ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობა კათალიკოს პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის წინააღმდეგ

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მწყემსმთავრობა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს [სურათის წყარო][150] 1932-1952 წლებში მოუწია.



ის საბჭოთა ხელისუფლებისათვის და შესაბამისად არსებული წყობილებისათვის მიუღებელი პირი იყო, რასაც ადასტურებს მის მიმართ განხორციელებული ქმედებები:

1923 წლის იანვარში დეკანოზ კალისტრატე ცინცაძე, საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის დააპატიმრებას დაექვემდებარა.

დაკავებულებზე *ოპერატიული დამუშავების* პროცესში ხორციელდებოდა შემდეგი ქმედებები:

- ✓ საკვების არ მიწოდება;
- ✓ უძლურებაში მყოფებთან ექიმების არ დაშვება;

[150] თ.ნოზაძე. „კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე." (1932 -1952 წწ.) 25.10.2011 www.ambioni.ge;

1925 წლის ნოემბერში მიტროპოლიტი კალისტრატეს კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ დანიშვნას, საბჭოთა ხელისუფლების ზეგავლენას დაქვემდებარებული „ეპისკოპოსების–დავითსა (კაჭახიძე) და ქრისტეფორეს (ციცქიშვილი)"[151]გააქტიურება, საეკლესიო კრების გამოყენებით მოსაყდრეობაზე მიტროპოლიტის მხრიდან უარის თქმა მოჰყვა.


ხელისუფლების მხრიდან მიღწეულის ირგვლივ არასაკმარისობაზე მიანიშნებს 1927 წლისათვის მიტროპოლიტ კალისტრატეს რიგით მღვდლად დატოვების ორგანიზება.

1930-1938 წლებში საბჭოთა სპეცსამსახურების მხრიდან აქტიური აგენტურული კონტროლის დამადასტურებელია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის („НКВД"), სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს IV განყოფილების უფროსის ქობულოვის მიერ შედგენილი ცნობა სრულიად საიდუმლო გრიფით. ირკვევა, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსის 1871 წელს დაბადებული, ვენიამინ ანტონისძე კანდელაკის



[151]თ.ნოზაძე. „კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (1932-1952 წწ.) 25.10.2011 www.ambioni.ge;

დაპატიმრების საფუძველს:[152] ეპისკოპოსის მიერ 1930 წლიდან კათალიკოსთან ცინცაძესთან ახლო კავშირების დამყარება და მასთან ერთად რელიგიური ხასიათის კონრევოლუციური მუშაობის წარმოება გახდა.



Сов.секретно.

СПРАВКА.

КАНДЕЛАКИ Вениамин Антонович, 1871г.рождения, гр-н СССР, архиерей грузино-православной церкви в гор.Тбилиси.

Сын его в первые годы советизации Грузии приговорен к расстрелу за к-р работу.

С 1930г. КАНДЕЛАКИ установил весьма близкие отношения с католикосом ЧИЛАДЗЕ и совместно с ним содействовал активизации религиозно-к-р работы.

В последнее время КАНДЕЛАКИ оказывал материальную помощь семьям арестованных контрреволюционеров из церковных средств.

Подлежит аресту.

НАЧАЛЬНИК 4 ОТДЕЛА УГБ НКВД ГССР
(КОБУЛОВ)

"[illegible]" июля 1938г.

4/ПК

საბჭოთა სპეცსამსახურებმა შეძლეს ეპისკოპოს ვენიამინ კანდელაკის *გადაბირება, თუმც აგენტურული საქმიანობა მის მიერ განხორციელებული არ ყოფილა.* ამ კუთხით საყურადღებოა დ.ჭიჭინაძის დაკითხვის ოქმის ჩანაწერი: „როგორც კ.ცინცაძისათვის

[152]შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო. ფ.6. საქმე 13856-59, საარქივო 38841-07 გვ.8 [კანდელაკის სურათის წყარო იქვე];

ისე ჩემთვის *ცნობილია, რომ* კანდელაკი *იყო НКВД-ს აგენტი,* მაგრამ *არაფელ ღირებულს არ აცნობებდა მათ.* მისი „თანამშრომლობა“ *სანქცირებული იყო* ცინცაძის მხრიდან, რომელიც *მართავდა მის მუშაობას.*“[153]

კონსპირაციის დაცვის კუთხით ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის პროცესში არსებული ვითარების შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის 1938 წლის 4 დეკემბერს იმავე კანდელაკის დაკითხვის ოქმიდან ამონაწერი, რომლის მიხედვითაც: „*НКВД*“-*ს* „თანამშრომელთან მიხაილოვთან მისვლისას კიბეზე შეხვდა *სემიონ პეტრე-ძე ათანოვს(იხ.სურათი)*[154]



[153]შსს არქივი. საქართველოს სახ.უშიშრ. სამინისტრო, ფ.6. საქმე 13856, ტომი 3, საარქ. 38841 ყ.159, გვ.4;

[154]შსს არქივი. საქართველოს სახ.უშიშრ.სამინისტრო, ფ.6, ტ.3, საქმე 13856-59, საარქივო 38841-07, ყ.159, გვ.27;

[რომელიც მოსკოვის ოლქში დაიბადა, მღვდლობას 1924 წლიდან ეწეოდა. 1927 წელს ანტისაბჭოთა რწმენით დატოვა კომკავშირი, რომლის შემდგომაც მიდის ხარკოვის მონასტერში.

1933 წელს გადმოდის თბილისში ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მღვდლად.], რომელიც მიხაილოვიდან [სპესამასახურის თანამშრომელი-ავტ.] გამოდიოდა,"[155] რის გამოც კანდელაკი მას თვლის აგენტად და ამის შესახებ აცნობებს კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს.

ათანოვის დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ იგი გადაბირებულია[156] „*НКВД*"-ს მიერ 1935 წელს და მას ევალებოდა ინფორმაციების შეკრება:

- ✓ ანტისაბჭოთა გამოსვლების შესახებ;
- ✓ მართლმადიდებლურ ტაძრებში არსებული ვითარების შესახებ,

რაც პრაქტიკულად მისი მხრიდან არ განხორციელებულა.

სასულიერო პირების აქტიურ აგენტურული კონტროლს ადასტურებს მღვდელ რუმიანცევზე განხორციელებული მეთვალყურეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შსს არქივშია დაცული. სააღრიცხვო-

[155]შსს არქივი. საქართველოს სახ. უშიშრ. სამინისტრო, ფ.6. ტ.3 საქმე 13856-59, საარქივო 38841, ყ.159, გვ.77;


[156]შსს არქივი. საქართველოს სახ. უშიშრ. სამინისტრო, ფ.6,ტ.3, საქმე 13856-59, საარქივო 38841, ყ.159, გვ.173;

აგენტურული საქმის მემორანდუმიდან ირკვევა, რომ მღვდელი რუმიანცევი დაკავებულია გუდაუთის პოლიციის მიერ. დაკავების საფუძვლად მიჩნეულია აგენტურული შეტყობინებები, რომლის მიხედვითაც 1923 წლის ივლისისათვის სოფელ პეტრე-პავლოვკაში რუმიანცევის მიერ: ქადაგებით ინსპირირებულია მოსახლეობის მხრიდან კომუნიზმის, საბჭოთა ხელისუფლებისადმი და „ცოცხალი ეკლესიის“ [Жива́я Це́рковь][157] მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება [ეს ორგანიზაცია 1917 წელს, რუსეთის გასაბჭოების შემდგომ, ზეგავლენის შესამცირებლად, რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მასშტაბური განხეთქილების ინსპირირების მიზნით შეიქმნა. იგი მოქმედებდა რუსული სპეცსამსახურების კონტროლის ქვეშ. ამ კუთხით საინტერესოა ცნობილი ფილოსოფოსის ნ.ბერდიაევის შეფასება: „მე ვიყავი გაოგნებული, რომ სახელმწიფო პოლიტიკური ბიუროს შესასვლელი და მისაღები სავსე იყო სასულიერო პირებით. ისინი სუყველა „ახალი ეკლესიის“ მიმდევრები იყვნენ...მათ თავიანთი საქმიანობა პატრიარქის და საპატრიარქო ეკლესიის დაბეზღებით დაიწყეს.“[158] პრაქტიკულად სახეზეა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დასუსტების მიზნით სასულიერო პირთა შორის გან-

[157] „Обновле́нчество (официальное самоназвание - Православная Российская Церковь.“https://ru.wikipedia.org

[158] Олег Смыслов. „БОГОБОРЦЫ ИЗ НКВД.“ www.litmir.co;

ხეთქილების ინსპირირება, ამ სეგმენტზე კონტრსადაზვერვო ხასიათის მასშტაბური აგენტურული შეღწევადობის უზრუნველსაყოფად, რომლის მიღწევის შემდგომ არასაკმარისი კონტროლის მიმანიშნებელია, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებით ახალი რელიგიური მიმდინარეობის საბჭოთა სპეცსამსახურების კონტროლქვეშ ჩამოყალიბება და საქმიანობა. ანალოგიური ქმედებები ხორციელდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.



МЕМОРАНДУМ

учетно-архивного дела И.....

Свящ. РУМЯН

С о д е р ж а н и е

За подлом от II-го июля по I4-е
мент. в Сел.Петро-Павловке замечается сплан-
ное возбуждение против коммунизма и
Совласти, главным инициатором чего
является сельский поп Со своей про-
поведью да Православную Церковь и
против "Новой Церкви"; посещение
вольной молодежи собраний ЮСМ умень-
шилось на половину.

Священник Села Петро-Павловского
РУМЯНЦЕВ допускает незаконное, проти-
речащие закону поступки, а именно:
Слуга в сельском Исполкоме Секретарь
и хорошо знал законы ЗАГСА Совершает
все религиозные обряды, как то: венча-
ние, похороны, крещение и т.д.-Совершен-
но незаконно, обходя все Постановления
ЗАГСА.

საარქივო-აგენტურული საქმის მემორანდუმი[159]

[159]შსს არქივი. საქართველოს სახ. უშიშრ. სამინისტრო, ფ.6. საქმე 21654-61, საარქივო 2350, ყ.13, გვ.206

ზემოგანთავსებული აგენტურული შეტყობინება მიანიშნებს, რომ საბჭოთა სპეცსამსახურები მართლმადიდებელი ეკლესიის ზეგავლენის შეცირება, შეწყვეტისათვის პროპაგანდირებას უწევდნენ „ცოცხალი ეკლესიის“ ფუნქციონირებას, ხოლო მართლმადიდებელ სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ საკუთარი რწმენის დასაცავად შენიღბული „მართლმადიდებელი“ სასულიერო პირების მხილება].


აგენტურული შეტყობინებების ანალიზის მიხედვით:

- კვლავ ხორციელდება ისეთი რელიგიური ჩვეულებები, როგორიცაა: ჯვრისწერა, გასვენება, მონათვლა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის [მოძღვრისათვის-ავტ.] ცნობილია, რომ კანონმდებლობით ეს პროცედურები ე.წ. მოქალაქეთა რეგისტრაციის ორგანოებმა [„ЗАГС“] უნდა განახორციელონ და სხვა;

სასულიერო პირების მიმართ საპატიმრო ადგილებშიც აქტიურად მიმდინარეობდა აგენტურული საქმიანობა. ქვემოთ განთავსებული დოკუმენტით ირკვევა, რომ 1941 წლის აპრილში, ამურლაგეს საპატიმრო ბანაკში, კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის დაპატიმრებული დავით მელიტონის-ძე ჭიჭინაძე პატიმრობის ადგილზე იმავე საქმიანობისათვის დაექვემდებარა დაკითხვას, რომლის



დროსაც იძლევა ჩვენებას კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატეს კონტრევოლუციურ საქმიანობაში იდეოლოგიური ორგანიზატორის როლით მონაწილეობის შესახებ. ჩვენებამ ჭიჭინაძე საბჭოთა სპეცსამსახურების მხრიდან *ოპერატიული დამუშავების ობიექტი* კვლავ გახადა.[160]



НАРОДНОМУ КОМИССАРУ ГОСУДАРСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ
ГРУЗИНСКОЙ ССР, КОМИССАРУ ГОСБЕЗОПАСНОСТИ
3-го Р А Н Г А

тов. Р А П А В А.-

Р А П О Р Т.-

Оперативно-чекистский Отдел Амур-лага НКВД сообщил от 10 февраля с.г., что находящийся в лагере осужденный органами НКВД Грузинской ССР за к-р работу - ЧИЧИНАДЗЕ Давид Малитонович, за время к-р работы среди осужденных подвергался допросу.

В процессе следствия - ЧИЧИНАДЗЕ Д.М. дал собственноручное показание, что ему известно идеологические организаторы грузинских националистов, под названием "Тетри-Георгий" и приверженцы к ней патриарха грузинской церкви - ЦИЦИАДЗЕ Калистрата и др.

Как видно из сообщения Амур-лага - заключенный ЧИЧИНАДЗЕ Д.М. для нас представляет оперативный интерес, о чем докладываю и прошу разрешить указанного ЧИЧИНАДЗЕ затребовать обратно для дальнейшей разработки его.-

НАЧАЛЬНИК СПО НКГБ ГРУЗИНСКОЙ ССР
КАПИТАН ГОСБЕЗОПАСНОСТИ (НИКЛАДЗЕ)

апреля 1941г.
г.Тбилиси.

[160]მსს არქივი. საქართველოს სახ. უშიშრ. სამინისტრო, ფ.6. საქმე 13856-59, საარქივო 38841-07 [ფოტოსურათის წყაროც იქვე];


გამოდის, რომ კათალიკოს-პატრირქის მიზანმიმართული კომპრომეტაციის პროცესი 1938-1941 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა, ხოლო ამ მიზნით *დოკუმენტალური მტკიცებულებების შექმნის კუთხით აგენტურულ კონტროლს (განწყობების, საუბრები, კავშირები) ექვემდებარებოდნენ პატიმრობაში მყოფი სასულიერო პირები, რომლებიც პატრიარქის ახლო გარემოცვას მიეკუთვნებოდნენ.*

სპეცსამსახურების მხრიდან კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში სასულიერო პირთა მიმოწერის კონტროლს ადასტურებს შსს არქივში დაცული დოკუმენტი,[161]საიდანაც ირკვევა, რომ კონტრევოლუციური საქმიანობისათვის 1939 წელს დაკავებულ სასულიერო პირს ვარლამ მელიტონის-ძე მახარაძეს კონტრევოლუციურ გამონათქვამებად უფასებენ, სასულიერო პირისადმი გაგზავნილ წერილში პირადი განწყობების შესახებ გაკეთებულ შეფასებებს, რომელიც პრაქტიკულად ასახავს საქართველოში არსებულ ვითარებას, მოქალაქეებზე სახელმწიფოს მხრიდან შექმნილ დამთრგუნველ განწყობებზე.

მიმოწერის კონტროლის შესახებ გამოთქმული მოსაზრების დადასტურებაა, შსს არქივში დაცული ქვემომოყვანილი დოკუმენტი (ბრალდებულ ვარლამ მელიტონის-ძე მახარაძის დაკითხვის ოქმიდან ამონა-

[161]შსს არქივი. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო. ფ.6. საქმე 13856-59, საარქივო 38841, ტ.3, ყ.159. გვ.135;

წერი),[162] რომლის მიხედვითაც განხილული წერილის ირგვლივ ს.მახარაძე:



„ადასტურებს რომ ჩემს [ე.ი.-მის (ავტ.)] მიერ დაწერილი იყო კონტრევოლუციური ხასიათის წერილი, რომლის ასლი ჩემიდან ამოღებული იქნა დაკავების დროს.

[162]შსს არქივი. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, ფ.6. საქმე 13856-59, საარქივო 38841, ტ.3, ყ.159. გვ.80;

ამონაწერზე დართული ზემოაღნიშნული[163] წერილი არ ჰგავს და არ შეიძლება წარმოადგენდეს დოკუმენტის ასლს, რადგან მყარი ოპერატიული კონტროლის პირობებში წერილის ასლის შენახვა დამატებითი საფრთხის შემცველი დოკუმენტალური მტკიცებულება გახდებოდა, რის შესახებაც არ შეიძლება სცოდნოდა სასულიერო პირს. ზემოაღნიშნული პირების საბრალდებო დასკვნაში მითითებული იყო, რომ ისინი იყვნენ კონტრრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაციის წევრები, რომლებიც ამზადებდნენ კადრებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ასაჯანყებლად და დასამხობად, კაპიტალისტური წყობის აღსადგენად. სახეზე იყო კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის ფარგლებში ძალადობრივი ქმედებებით უზრუნველყოფილი გადაბირებები სასულიერო პირთა შორის და ანგარიშსწორება ოპერატიული თანამშრომლების მხრიდან, ე.წ. არასანდო აგენტურული ორგანიზების თვალსაზრისით.

<u>ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:</u>

- ***მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის, დათრგუნვის, ოპერატიულ-აგენტურული შეღწევადობის უზრუნველსაყოფად, საეკლესიო იერარქიის მაღალ და დაბალ საფეხურზე მდგომი სასულიერო პირების პატიმრობი-***

[163] „პერლუსტრაცია [პერლუსტრაცია [< ლათ. perlustro ვათვალიერებ] - ფოსტით გაგზავნილი წერილის ფარულად გახსნა სახელმწიფო ორგანოების მიერ].“www.nplg.gov.ge;

სას, დამთრგუნველი ზემოქმედების უზრუნველმყოფი შიმშილის და ავადმყოფობის განგრძობადობის მაინსპირირებელი პირობები მიზანმიმართულად იქმნებოდა, რაც კოტრსადაზვერვო ხასიათის ოპერატიული და ოპერაციული ციკლის ნაწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ;

- ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობაზე დამაზიანებლად მოქმედი, საბჭოთა სპეცსამსახურების კონტროლს დაქვემდებარებული, ე.წ. მოდერნისტ სასულიერო პირთა გამოყენება, პოლიტიკური სისტემისათვის მიუღებელი სასულიერო პირის მიმართ პატრიარქის მოსაყდრეობაზე უარის თქმის, აგრეთვე სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი პირის, რიგით მღვდლად გადაყვანის ორგანიზებისათვის, კონტრსადაზვერვო ხასიათის ოპერატიულ-ოპერაციული ციკლის ნაწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ;
- სასულიერო პირების ახლო წრის, კავშირების და მათი ხასიათის გამოკვეთა საბჭოთა სპეცსამსახურების ოპერატიულ-ოპერაციული და აგენტურული ციკლის შემადგენელი ნაწილია;
- სპსეცსამსახურების კონტრსადაზვერვო ხასიათის აგენტურული ორგანიზების სიუსტეზე მეტყველებს გადაბირებულ სასულიერო პირთა

ოპერატიული თვალსაზრისით გამოუყენებლობის და საიდუმლო თანამშრომლობის გაშიფრვის პროცესები, რომლებიც სპეცსამსახურის მიზნების, ამოცანების, ქმედებების, ზემოქმედების ობიექტების შესახებ სრულიად საიდუმლო და საიდუმლო ინფორმაციების გაშიფრვას, სახელმწიფოს კომპრომეტირების და სხვა სახის სახელმწიფო ინტერესების დამაზიანებელ ორგანიზებას უკავშირდება;

- სპეცსამასახურების აგენტურულ კონტროლს არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ მოსალოდნელი გამოსვლების, სასულიერო პირთა პროცესებისადმი დამოკიდებულებების, მათი ქადაგების შესახებ ინფორმაციები ექვემდებარებოდა;
- მართლმადიდებლური ეკლესიის დასუსტების მიზნით მასშტაბური აგენტურული შეღწევადობის მიუხედავად, არასაკმარისი კონტროლის აღმოსაფხვრელად მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებით ახალი რელიგიური მიმდინარეობის ჩამოყალიბება და საქმიანობა, ახალი მიმდინარეობის სასარგებლო, ხოლო მიუღებელის საწინააღმდეგო პროპაგანდის ორგანიზება კონტრსადაზვერვო ხასიათის ოპერაციული ციკლის შემადგენელი ნაწილი იყო;

- *სასულიერო პირების საპატიმრო ადგილებში აგენტურული დამუშავების პროცესის ორგანიზება დათრგუნვა-გადაბირების ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა;*
- *სპეცსამსახურები სასულიერო პირთა განწყობების და ქმედებების შესახებ აგენტურულ, ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მათი მიმოწერის პერლუსტრაციით ანხორციელებდა, რაც საფოსტო სექტორის როგორც, კონტრსადაზვერვო ხასიათის ოპერატიული უზრუნველყოფის ობიექტზე უნდა მიანიშნებდეს;*

პრაქტიკულად ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის (საბჭოთა კავშირი-საბჭოთა საქართველო) პირობებში, ხელისუფლებამ საქართველოს მისამართით გამოიყენა ოპერატიულ-ოპერაციული სადაზვერვო ხასიათის ისეთი ქმედება, როგორიცაა ეროვნული სახელმწიფოს სულიერების შემნარჩუნებელი ძირითადი რგოლის მართლმადიდებლური ეკლესიის ნეიტრალიზება. გამოდის რომ, *სტრატეგიული პარტნიორობის პირობებშიც კი ეროვნულ სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის მნიშვნელოვან მიმართულებას მართლმადიდებლური ეკლესიის კომპრომეტაცია-ნეიტრალიზების პროცესის დროული გამოვლენა, თავიდან აცილება-აღკვეთა უნდა წარმოადგენდეს.*

5. რელიგიური ხასიათის ჯაშუშობის (სადაზვერვო) ორგანიზების კლასიფიკატორი

5.1 სასულიერო პირების (რელიგიური მიმდი-ნარეობის) მიმართ სადაზვერვო ხასიათის საზოგადოებრივი აზრის შექმნის და კომპრომე-ტაციის მეთოდები:

სასულიერო პირების (რელიგიური მიმდი-ნარეობის) მიმართ სადაზვერვო ხასიათის საზო-გადოებრივი აზრის შექმნა-კომპრომეტაცია მიმ-დინარეობს, ეროვნულ სახელმწიფოში მცხოვ-რები მზვერავი სახელმწიფოს ეთნიკურად ან რელიგიურად თანხვედრილი ჯგუფების გამო-ყენებით:

- *სასულიერო პირებზე ჭორების და დეზინ-ფორმაციის გავრცელება პროპაგანდის ორ-განოების მეშვეობით [რაც მათი გავრცელე-ბის დროულობას და მასშტაბურობას უზრუნ-ველყოფს];*
- *სადაზვერვო ზეგავლენას დაქვემდებარებული რელიგიური მიმდინარეობის ავტორიტეტის მნიშვნელოვნად განმსაზღვრელი ისტორიუ-ლი სინამდვილის დამხინჯების ორგანიზება;*
- *სადაზვერვო ზეგავლენას დაქვემდებარებული რელიგიური მიმდინარეობის წევრების ეთნი-კური მახასიათებლების კომპრომეტაცია და ამ კონკრეტული ეთნიკური ნიშნის მიმართ ანტი-განწყობების ინსპირირება;*
- *სადაზვერვო ზეგავლენას დაქვემდებარებული რელიგიური მიმდინარეობის სასწავლებლებ-ში ეროვნულ ენაზე სწავლების შეფერხების ორგანიზება;*

- დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში ეროვნული იდენტობის, ერთიანობის განმაპირობებელი, მშობლიური ენის ეტაპობრივი განდევნის ფონზე, მზვერავი სახელმწიფოსათვის მისაღები ენის ძალდატანებითი გავრცელების ორგანიზება [რაც აგენტურული ურთიერთობისათვის(მზვერავი-აგენტი), პროგანწყობების შექმნისათვის ხელსაყრელი პირობაა];
- რელიგურად თანმხვედრი სახელმწიფოს სასულიერო პირების დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში სპეციალური სტატუსით მივლენა და მათ კონტროლქვეშ: ეროვნულ ენაზე რელიგიური მსახურების აკრძალვის, პატრიოტიზმით გამორჩეული რელიგიური მიმდინარეობის სასულიერო პირების თანამდებობიდან ჩამოცილების, მზვერავი სახელმწიფოს ეთნიკური თანხვედრით გამორჩეული სასულიერო პირებით ჩანაცვლების, სეპარატიზმით გამორჩეულ რეგიონებში მოღვაწე სასულიერო პირების, მაღალი იერარქიის სასულიერო პირებთან დაპირისპირების საფუძვლების, მზვერავი სახელმწიფოსათვის მადესტაბილიზირებელი ობიექტების დევნა, მეთვალყურეობის გამოვლენა, დასჯა, დარბევის, ორგანიზება;

5.2. სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარების ხელსაყრელი პირობები:

- ✓ რელიგიურ სეგმენტზე კონტრსადაზვერვო ორგანიზების განმხორციელებელი ქვეყნის კონტროლიდან განთავისუფლების შემდგომ, იმავე სახელმწიფოს სადაზვერვო კონტროლის ორგანიზებისას კონტრსადაზვერვო აგენტურული აპარატის, სადაზვერვო აპარატის სტატუსით აღჭურვა და გამოყენება;
- ✓ რელიგიური მრწამსის თანმხვედრი სახელმწიფოს მხრიდან დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში შექმნილი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით მფარველობაზე ცრუ-განწყობების წარმატებული ორგანიზება;
- ✓ სადაზვერვო აგენტურული ორგანიზებით ისტორიულად, ეროვნული სახელმწიფოს გამაერთიანებელი რელიგიური მიმდინარეობის, გამაერთიანებლის სტატუსის დასაზიანებლად ამ მიმდინარეობაში „რადიკალური“ სასულიერო პირების ჩანერგვა-გააქტიურებით განხეთქილების ინსპირირება;
- ✓ რწმენის მიმართულებით მზვერავი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების სასარგებლოდ და საკუთარი სახელმწიფოს სტრა-

ტეგიული ინტერესების საზიანოდ მოაზროვნე და მოქმედი სასულიერო პირების და მრევლის სიჭარბე;

- ✓ უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების დამაზიანებელ ქმედებებზე ოპერატიულ-ანალიტიკური მონაცემების არქონა ან არსებობა და მისი მიზანმიმართული გამოუყენებლობა;

5.3. სადაზვერვო შეღწევადობას დაქვემდებარებულ [ეროვნული სახელმწიფოს გამაერთიანებელ] რელიგიურ მიმდინარეობაზე ზემოქმედების ნიშნები:

- *სპეცსამსახურების თანამშრომლებზე სასულიერო პირების მიმართ ზიზღის შთაგონებაზე ხელშეწყობა;*
- *დისკრედიტაციის მიზნით, სპეცსამსახურების აგენტურული აპარატის მეშვეობით სასულიერო პირებზე ჭორების გავრცელება;*
- *სპეცსამსახურების აგენტურული აპარატის მეშვეობით სასულიერო პირებს შორის დაპირისპირების ინსპირირება ან უკვე არსებულის გაფართოების ორგანიზება;*
- *მოსახლეობაზე, სასულიერო პირებზე დამთრგუნველი ზემოქმედების მისაღწევად სპეცსამსახურების ინიცირებით და კონტროლქვეშ სასულიერო პირთა სასამართლო პროცესების ღიად და მასშტაბურად გამართვის ორგანიზება;*
- *სპეცსამსახურების კონტროლქვეშ, გაზეთებში, კინოს და თეატრალურ საღამოებზე, ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში არაკეთილსაიმედო რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო პროპაგანდის ორგანიზება;*
- *სპეცსამსახურების კონტროლქვეშ, რელიგიური მიმართულების აგენტურული აპარატის გამოყენებით მიუღებელი რელიგიური ლიდე-*

რის მმართველობიდან ძალადობრივი გზით ჩამოცილების ორგანიზება;

- სპეცსამსახურების კონტროლქვეშ, რელიგიური მიმართულების აგენტურული აპარატის გამოყენებით მიუღებელი რელიგიური ლიდერების მრევლთან ურთიერთობის შეზღუდვის, აკრძალვის ორგანიზება.
- სპეცსამსახურების კონტროლქვეშ, მოსახლეობის მასობრივი შეკრებების ორგანიზება, „სახალხო“-დოკუმენტალური გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფოს გამაერთიანებელი რელიგიური მიმდინარეობის საკულტო ნაგებობების უმოქმედობის, სასულიერო პირების სამსახურიდან დათხოვნის პირობების მიზანმიმართული შექმნა, ორგანიზება;
- სპეცსამსახურების კონტროლქვეშ და წაქეზებით საკულტო ნაგებობების ნგრევის, დარბევის, განძეულობის მითვისების, კლუბად, საცხოვრებელ სახლად, სკოლად, პირუტყვის სადგომად, ან საპატიმროდ გადაკეთების ორგანიზება;
- მზვერავი სახელმწიფოს ინტერესებისათვის მიუღებელი ეროვნული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სასულიერო პირების მხრიდან მზვერავი სახელმწიფოს მაკომპრომენტირებელი ოპერატიული (შესაბამისად აგენტურული) კონტროლის ორგანიზება;

- *სპეცსამსახურების მხრიდან მზვერავი სახელმწიფოსათვის მიუღებელი რელიგიური მიმდინარეობის სასულიერო პირების მასობრივი დაპატიმრება, საკნობრივი ოპერატიულ-აგენტურული ხასიათის დამუშავების ორგანიზება;*
- *საბჭოთა სპეცსამსახურების კონტროლქვეშ, მზვერავი სახელმწიფოსათვის მიუღებელ რელიგიურ მიმდინარეობაში განხეთქილების შეტანის, მისი გაფართოების მიზნით სასულიერო პირთა ჯგუფზე აგენტურული შეღწევადობით ე.წ. მოდერნისტული ფრთის, რელიგიური მიმდინარეობის წესების უხეში დარღვევით რელიგიური მმართველობის პირველი პირის ძალადობრივი გადაყენების ოპერაციის ორგანიზება;*
- *დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მზვერავი სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ, სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციული უზრუნველმყოფი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე და საქმიანობაზე ხელშეწყობა.*

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. რელიგია, როგორც სადაზვერვო ზემოქმედების სეგმენტი.....16-39;

2. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია რელიგიური სექტების მონაწილეობით.....40-77;

2.1. რელიგიური (სექტანტური) ხასიათის ჯაშუშობის [სადაზვერვო] კლასიფიკატორი.....78-85;

3. ოპერატიულ-აგენტურული ორგანიზაცია სასულიერო პირების კონტროლის მიზნით

3.1. საქართველო, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.....86-109;

3.2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921).....110-126;

3.3. საბჭოთა საქართველო, საბჭოთა კავშირის (რუსეთის) შემადგენლობაში.....127-148;

4. საბჭ. საქართველოს კონტრსადაზვერვო მიმართულების ოპერატიული ხასიათის აგენტურული და ოპერაციული ორგანიზება....149-157;

4.1. ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობა კათა-

ლიკოს-პატიარქ კალისტრატე ცინცაძის წინააღმდეგ.....158-172;

5. რელიგიური ხასიათის ჯაშუშობის ორგანიზების კლასიფიკატორი

5.1 სასულიერო პირების (რელიგიური მიმდინარეობის) მიმართ სადაზვერვო ხასიათის საზოგადოებრივი აზრის შექმნა-კომპრომეტაციის მეთოდები.....174-175;

5.2. სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარების ხელსაყრელი პირობები.....176-177;

5.3. სადაზვერვო შეღწევადეობას დაქვემდებარებულ [ეროვნული სახელმწიფოს გამაერთიანებელ] რელიგიურ მიმდინარეობაზე ზემოქმედების ნიშნები.....178-180;